

ნუგზარ წულუკიძე

არჩიან-ქართლიდან მოსულნი



გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2010

ადგილმდებარეობა არიან-ქართლისა, რომელიც „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით ქართველთა წინარე სამშობლოა, მიკელეულად არ ითვლება. წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ორი ურთიერთდაკავშირებული გამოკვლევისაგან – „არიან-ქართლელთა გამოსვლა“ და „ინდური პლასტი ქართულ მითოსში“ – შედგება, არის ცდა ამ პრობლემის გადაჭრისა.

აქტორი არიან-ქართლიდან მცხეთაში მოსულებს, დამკვიდრებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, ქართულენოვან ელემენტად არ მიიჩნევს. ისტორიულ წყაროებზე, ზეპირგადმოცემებზე დაყრდნობით, ქართული და ინდური უძველესი რწმენა-წარმოდგენების, წესჩვეულებების, ტოპონიმების, ონომასტიკონის ანალიზით იკვეთება, რომ არიან-ქართლიდან მოსულები ინდოარიელები იყვნენ. ისინი ალექსანდრე მაკედონელმა თავისი ცნობილი პროექტის (ვეროპა-აზიის დაახლოება) განხორციელების მიზნით ინდოეთის ისტორიული ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიებიდან გადმოსახლა დიდი საქარაენე გზის მნიშვნელოვან მონაკვეთზე, საქართველოში.

საქართველოსა და ინდოეთს შორის 2300 წლის წინათ განხორციელებული დიდი კონტაქტის გამომჟღავნება ახალ საძიებო პერსპექტივებს ქმნის პუშანიტარული მეცნიერებისათვის. ისტორიკოსებთან ერთად, ეს თემა დააინტერესებს მითოლოგებს, ეთნოლოგებს, ენათმეცნიერებს, პალეოგრაფებს, ქართული წარმართობით, რელიგიური ფილოსოფიით დაინტერესებულ მკითხველებს.

რედაქტორი სიმონ გოგიტიძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი

რეცენზენტები უჩა ოჭროპირიძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი
ოთარ თურმანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

შესავალი

არიან-ქართლი ქართველთა წინაპრების სამშობლოა, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით. ამ წყაროს ცნობით, არიან-ქართლის მეფის ძეს, აზოს, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა, მამის სამშობლოდან მოუყვანია 18 გვარი, რომლებიც მცხეთასა და მის მიდამოებში დაუსახლებია. თითქოს ასე გაჩენილან და გამრავლებულან ქართველები საქართველოს მიწა-წყალზე.

არიან-ქართლის, როგორც ქართველთა მამების, წინაპრების სამშობლოს შესახებ საუბრობენ წმინდა ნინოს ცხოვრების ვრცელ რედაქციაში წმინდა ნინო, მეფე მირიანი, ასევე არსენ ბერი. არიან-ქართლის, როგორც ქართველთა წინარე სამშობლოს, არსებობა მათთვის ეჭვგარეშეა. იგივე თემას, ივერიელთა გადმოსახლებას, ეხმაურება სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაციც.

ამასთან, ქართული საისტორიო წყაროები არ მიუთითებენ, თუ სად მდებარეობდა არიან-ქართლი. ეს ტერმინი მოფიქრებულად, განსაზღვრულ საფუძველზე დაყრდნობით შეთხზული ჩანს.

არიან-ქართლის თემას არაერთი მეცნიერი შეეხო, მაგრამ, თუ სად მდებარეობდა იგი, რამ განაპირობა ამ მხრიდან ხალხის გადმოსახლება, რატომ აკავშირებენ მათ მოსელას ალექსანდრე მაკედონელთან, თუ სხვა, — პასუხები ამ კითხვებზე ვერ მოინახა. ამასთან, მკვლევრები თითქმის ერთსულოვნად მიიჩნევენ, რომ არიან-ქართლი საძიებელია კავკასიის სამხრეთით, ქართველური ტომების თავდაპირველი განსახლების ადგილებში. ამ თეალსაზრისს ლოგიკურობა არ აკლია, მაგრამ, როცა ისტორიკოსთა მთელი თაობები ვერ პოულობენ არიან-ქართლად წოდებულ მხარეს, როგორც ჩანს, მას იქ არ ეეძებთ, სადაც საჭიროა. იქნებ ისტორია გვთავაზობს რებუსს და იბერიაში მოვიდნენ ქართველად თუ ქართლებად წოდებული უცხოტომელები?

არიან-ქართლში ირანის მიერ დაპყრობილ და აქედან გამომდინარე, არიულ ქართლად წოდებულ მხარეს მოიაზრებდა გ. მელიქიშვილი. ინდოეთიც ირანივით არიული ქვეყანაა, მაგრამ არიან-ქართლი იქ არავის უძებნია, მიუხედავად იმისა, რომ საამისო საფუძველი არსებობს. დიდი ხანია შემინეულია საოცარი, აუხსნელი დამთხვევები ინდურ და ქართულ ტოპონიმებში, ონამასტიკაში, ეთნონიმებში, ზოგ წესწევულებაში, ღვთაებათა სახელებში, სიტყვებში. ინდის აუზის მოსახლეობასთან გევანათესავენს კავკასიური თავის ქალებიც და სხე. მიჩნეულია, რომ ეს არის ქართული კვალი ინდოეთში. მაგრამ ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ოდესღაც დიდი რაოდენობით ქართველთა შეღწევა-განსახლების ძიებას წარმატებები არ მოპყოლია. როგორც ეტყობა, იმიტომ, რომ უპირველესად საძიებელია ინდური კვალი საქართველოში. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ არიან-ქართლიდან მოსულნი ინდოარიელები იყვნენ, რომლებიც სპარსთა მფლობელობაში მყოფი ინდური ტერიტორიებიდან აღ. მაკედონელმა გადმოასახლა იბერიაში.

პირველ დაბრკოლებას ასეთი ძიების გზაზე ქმნის გაბატონებული შეხედულება, რომ აღ. მაკედონელს იბერიაში არ ულაშქრია. მაგრამ არსებობს საპირისპირო თვალსაზრისიც. ალექსანდრეს მიერ ქართლის დაპყრობაზე წერენ ძველი ქართული საისტორიო წყაროები. სომეხი ისტორიკოსის, მოვსეს ხორენაცის მიხედვით, ივერიელებს მთავარს ალექსანდრე უნიშნავს. ანტიკური ხანის წყაროებშიც, ცნობილ ფსევდოკალისტენეს გარდა, ალექსანდრეს მიერ იბერიის დაპყრობაზე წერენ პლინიუსი, სოლინიუსი. იგივეს აღნიშნავს თავად აღ. მაკედონელი დედისადმი მიწერილ წერილში და ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ ეს წერილი ნაყალბეგია. არიანეს „ანაბასისშიც“ კი შეიძლება იყოს მინიშნება ალექსანდრეს მიერ კავკასიის დაპყრობაზე. ს. კაკაბაძის მიხედვით, „მთელი რიგი წყაროები ამტკიცებენ, რომ ალექსანდრე მაკედონელი, სპარსეთზე ლაშქრობის დროს, ორი კვირით იყო ძველ ქართლშიც“. მას მოჰყავს სპარსელი ტაბარის (X ს.), ნიზამი განჯე-

ლის (XII ს.), თურქი ევლია ჩელების (XVII ს.) და სხვათა ცნობები, სადაც ძველსპარსულ, ფაქლურ წყაროებზე დაყრდნობით საუბარია ალ. მაკედონელის ქართლში მოსვლაზე. ასე რომ, ცნობილი თვალსაზრისის - ალექსანდრეს ქართლში არ ულაშქრია - აქსიომად მიღება არ შეიძლება.

მაგრამ რისთვის უნდა გადმოესახლებინა ალ. მაკედონელს კავკასიაში ინდოარიელთა, როგორც ეტყობა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი ჯგუფი? მიზეზი უნდა ყოფილიყო ალექსანდრეს ცნობილი პროექტი: არისტოტელესეული იდეალური სახელმწიფოს შექმნის მიზნით ევროპისა და აზიის დამოიყვრება, მათ შორის სავაჭრო და კულტურული კავშირის სტიმულირებისათვის დიდი საგზაო არტერიების მშენებლობა, ხალხთა გადასახლებანი ევროპიდან აზიაში და პირიქით (დიოდორე). ინდოარიელებიც ამიტომ უნდა უნდა გადმოესახლებინა დიდი საქარაენე მარშრუტის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთზე იბერიაში, მცხეთაში და როგორც ირკვევა, არა მხოლოდ აქ.

საქართველოში გადმოსახლებულ ინდოარიელთა ერთი ნაწილი სპარსულ ბაქტრია-ბალხს ემეზობლებოდა, ისინი ერთმანეთთან ახლო კავშირში იყვნენ. კავკასიისაკენ გზაც იმ დროს ბაქტრიიდან იწყებოდა და ალექსანდრემ გადასახლებულ ინდოარიელებს, ჩანს, სპარსელი ბაქტრიელი მეომრებიც მეგზურებად და მცველებად გამოყოლა. ამ დროიდან ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებში საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩნდებიან „ბაქტრიიდან გამოსულები“ - ინდოელები და ბაქტრიელები, რომლებსაც ჩვენ არიან-ქართლიდან გამოსულებთან ვაიგივებთ. საქართველოში სპარსელ-ბაქტრიელთა სახელი ჩანს ზეპირგადმოცემებში, განსაზღვრული რაოდენობის ტოპონიმებში, ონამასტიკაში, თეონიმებში, რომელიც თავისი არსით ინდურია (მაგ. ბახტრის წმ. გიორგი) და სხვა.

ეტყობა, იმის გამო, რომ დასავლეთ საქართველოში ერთხანს ინდოელთა თვალშისაცემი სიჭარბე შეიმჩნეოდა, ალ. მაკედონელის თანამედროვე თეოპომპე ქიოსელი წერს, რომ

„კოლხები ინდოელი სკეითებია...“ ორფიკული „არგონავტიკის“ ავტორიც. კოლხეთისაკენ მიმავალ გზაზე მოიხსენიებს „ხინდებს“.

სახელი ინდოეთი ჩანს ქართულ ტოპონიმებში: ინდურთა - სოფელი თუშეთში, ინდუსა და ინდაბრიანთა ნახსენებია „ქართლის ცხოვრებაში“, ხილოტანის - „მინდოსტანის“ მთები მდებარეობს ხევში. ხევსურული გადმოცემის ერთ-ერთი გმირის გვარია სინდიურისძე, სხვა გადმოცემაში მას ინდოურა პქვია. სინდი მდინარე ინდის ქვემო წელში მდებარე ინდურ მხარეს ერქვა. სოფელი სახელით სინდიეთი გვხვდება აჭარაში, მაჭახლის ხეობაში. არაგვისპირა სოფლის სახელი არანისი კი არიელებით დასახლებულ ადგილს უნდა ნიშნავდეს.

ინდოეთი ვედური სიბრძნის ქვეყანაა. როგორც ეტყობა, ინდოარიელთა საქართველოში მოსვლის შემდეგ ჩნდება სეანეთში სოფლების სახელები: ზედა ვედი, ქვედა ვედი. იქვე მოედინება მდინარე ვედური, ლოცვისას ევედრებიან ვედის ჯვარს და ა.შ.

ინდური წარმომავლობის ტოპონიმები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში რამდენიმე ასეული მაინც უნდა იყოს. ქართულ მაკროტოპონიმიაში საგულისხმო დასკვნების გაკეთების საშუალებას შეიძლება იძლეოდეს ინდური „მეფეთა დამსხმელების“ - რაჯაკარტარების სახელი. ასევე მშობლიურ ასოციაციას იწვევს ინდური მითოსის კოლორიტული გმირი კარტავირია.

ქართული მითოსის ძირებზე ჩაღრმავებას ხშირად ინდურ მითოსთან, უმეტეს შემთხვევაში, ძველინდურ ეპოსებთან, „მაჰაბჰარატასა“ და „რამაიანასთან“ მივყავართ. ქართულ მითოლოგიურ პერსონაჟებთან ერთად, ცნობილ ისტორიულ პიროვნებებზე: ვახტანგ გორგასალზე, თამარ მეფეზე, ლაშა გიორგიზე, ერეკლე მეფეზე გაერცელებული ხალხური გადმოცემებიც, არაიშვიათად, ინდური მითოსიდან მომდინარეობენ. ჩვენი ნაშრომი - „ინდური პლასტი ქართულ მითოსში“ არის ცდა მიუთითოს ამ ტენდენციაზე. ჩანს, რომ ქართული

მითოსის ფერადოვანი ხალიჩა მნიშვნელოვანწილად ინდურ ქარგაზეა ნაქსოვი.

აღმ. საქართველოს მთიანეთის, სვანეთის წარმართული სალოცავები, ჯვარხატები, მათთან დაკავშირებული გადმოცემები, საკულტო ნაგებობათა პირამიდული ფორმები ძე.წ. IV საუკუნის ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთისათვის დამახასიათებელი ნიშნებითაა აღბეჭდილი.

უძველესი ქართული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების კვლევას, ხშირ შემთხვევებში ვედური ეპოქის მომდევნო პერიოდის ინდოეთში მივყავართ. აღნიშნულ საკითხებზე წიგნში გამოთქმული ჩვენი შეხედულებები ზოგჯერ დაფუძნებულია ჩვენს მიერ ადრე გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომებზე. მათ შესახებ მივუთითებთ დამოწმებებში.

ინდოეთიდან მოსულები მშობლიურ, იმდროინდელ ძველ ინდურ ენაზე მეტყველებდნენ და ესეც აღიბეჭდა ქართულ ენაში. ბროსე, ბოპი და სხვებიც ამჩნევდნენ საოცარ შეხვედრებს ქართულსა და ძველინდურს - სანსკრიტს შორის.

ქართული ანბანის მოხაზულობაშიც შენიშნულია მსგავსება ძველინდურ ასონიშნებთან (კლაპროტი, ბროსე...). აღნიშნული საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ქართული ანბანის შექმნა ფარნაეაზს მიეწერება, მეფეს, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით წაანაცვლა ქართლში ალექსანდრე მაკედონელის შემწეობით დამკვიდრებულ არიან-ქართლელთა, ჩვენი აზრით, ინდოარიანთა მმართველობა. ფარნაეაზმა მოსულთა ერთ ნაწილთან კეთილი ურთიერთობა შეინარჩუნა და დასაშვებია, რომ ქართული დამწერლობის ერთ-ერთ საფუძვლად მათი მშობლიური ანბანიც გამოიყენა. აღნიშნული კარგად ჯდება იმდროინდელი ისტორიული მოვლენების მიზეზშედევობრივ ჯაჭვში და საკმაოდ მიახლოებით მიუთითებს ქართული დამწერლობის შექმნის დროსა და ვითარებაზე.

არიან-ქართლიდან მოსულები ინდოარიელები იყვნენ, რომლებმაც უღრმესი კვალი დატოვეს ქვეყნის ისტორიაში, კულტურასა და ყოფაში. არ უნდა ველოდებოდეთ, როდის

შეისწავლიან ამ ვრცელ, ზოგადეთნოლოგიური მნიშვნელობის თემას ჩვენი საზღვაგარეთელი კოლეგები. ქვეყნის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებში ამ საკითხისადმი გამოვლენილი ინდიფერენტიზმის მიუხედავად, ვფიქრობთ, იგი მაინც აღმოჩნდება შემოქმედებით მეცნიერთა ძიების საგანი.

არიან-ქართლიდან მოსულნი

*„ჩვენ ქართველნი შეიღწი ვართ
მათ არიან-ქართლით გამოსრულთანი.“
არსენ ბერი*

„მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, ქართველი ხალხის თავდაპირველი სამშობლოა არიან-ქართლი. ამ წყაროს ცნობით, ალექსანდრე მაკედონელს ჩვენს ქვეყანაში ულაშქრია და შემდეგ აქ მმართველად არიან-ქართლის მეფის ძე აზო დაუტოვებია. აზო წასულა მამის ქვეყანაში - „არიან-ქართლად“, იქიდან წამოუყვანია 18 სახლი, ანუ გვარი და მცხეთასა და მის მიდამოებში დაუსახლებია. თითქოს ასე გაჩენილა ქართული მოსახლეობა აწინდელ საქართველოს მიწა-წყალზე.

„და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოი, ძე არიან-ქართლისა მეფისაი და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაი ცროლისა და წარვიდა, ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამა - მძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყუანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გაიმ. და ესე იყო პირველი მეფე მცხეთასა შინა, აზოი, ძე არიან-ქართლისა მეფისა და მოკუდა“ (მოქცევა, 1964:81)

„ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი მეორე თვალსაზრისი ქართველთა წარმომავლობას ბიბლიურ გადმოცემებს უფარდებს და ქართველებს თარგამოსიანთა შთამომავლებად და კავკასიის უძველეს მკვიდრებად მიიჩნევს (ქართლის ცხოვრება, 1955: 3-8).

ქართულ შუასაუკუნოვან ისტორიოგრაფიაში ქართველთა წარმომავლობის შესახებ პოლარულად განსხვავებული ორი თვალსაზრისიდან ერთ-ერთის უარყოფა კი არა, მათი შეთანხმება, ჩვენი აზრით, დაეხმარება ჭეშმარიტების დადგენას.

არსებობს საფუძველი, ვამტკიცოთ, რომ ინდური სამყაროდან გამოსულ ინდურენოვან არიან-ქართლელთაგან დაირქვა ახალ-შექმნილმა სამეფომ ქართლი, ერმა – ქართლელი/ქართველი. რამდენად იმსახურებენ არიან-ქართლიდან გამოსულები – ვიხსენიებდეთ ჩვენს წინაპართა შორის, ამაზე საუბარი შეიძლება მას შემდეგ, როცა მათ შესახებ გვეცოდინება ყველაფერი. წინამდებარე გამოკვლევა ასეთი ძიებისათვის გზის გაკვალვის მცდელობაა.

არიან-ქართლის საკითხი, ჩვენი აზრით, არ უკავშირდება ქართველი ხალხის წარმომავლობის თემას, იგი შეეხება კავკასიაში, იბერიაში ადრე სპარსთა მიერ დაპყრობილი, შემდეგ კი ალექსანდრე მაკედონელის მფლობელობაში გადასული ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ისტორიული ტერიტორიებიდან, ალექსანდრეს ნებით, მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ძალის მხარდაჭერით, ინდოარიელთა დიდი ჯგუფის გადმოსახლებას, რამაც ღრმა კვალი დატოვა ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში, კულტურასა და ყოფაში.

პირველ დასაძლევ ბარიერს ასეთი ძიების გზაზე ქმნის ალექსანდრე მაკედონელის იბერიაში ლაშქრობის საკითხი. ჯერ კიდევ რიგი ძველი ბერძენი ავტორების, ასევე – თანამედროვე, მათ შორის ქართველი მეცნიერების მიერ ალექსანდრე მაკედონელის იბერიაში ლაშქრობის ფაქტი უარყოფილია. მიჩნეულია, რომ „ცნობა ლეგენდარულია, ალექსანდრე მაკედონელს ქართლი არ დაუღალაშქრავს“ (ნარკვევები, I, 1970:437). აღნიშნულის საპირისპიროდ, ასევე ბერძნულ ისტორიულ წყაროებთან ერთად, „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკები და ქართული ოფიციალური საისტორიო ძეგლი „ქართლის ცხოვრება“, ერთმანეთისაგან განსხვავებული ვერსიებით მოგვითხრობენ ქართლში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ისტორიას. „მოქცევაის..“ არიან-ქართლის მეფის ძეს, აზოს „ქართლის ცხოვრებაში“ ალექსანდრეს თანამემამულე და თანამებრძოლი აზონ იარედოსის ძე ჩაენაცვლა. ამავე წყაროს ცნობით, ალექსანდრეს ქართლი სრულად მეორედ ლაშქრობის დროს დაუპყრია, მცხეთაში პატრიკად აზონი

დაუნიშნავს, მისთვის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალაც დაუტოვებია და სხვ. (ქართლის ცხოვრება, 1955:18).

„ბერძნული წყარო ლეონტისა არის ფსევდოკალისტენეს პოპულარული რომანი „ალექსანდრიანი“.... ამ წიგნიდან უნდა იყოს შემოტანილი ჩვენს მატრიანეში, საზოგადოდ, ცნობა ალექსანდრე მაკედონელის ჩვენში ყოფნის შესახებ“, მიიჩნევა და კორნელი კეკელიძე (კეკელიძე 1981:255). იგივე თვალსაზრისზე იდგა სიმონ ყაუხჩიშვილიც.

„ალექსანდრიანში“ ნახსენებია იმ ეპოქაში გახმაურებული ლეგენდა, რომ ალექსანდრე ეგვიპტის ფარაონ ნექტანეზ მეორის შვილი იყო. ლეონტი მროველი ალექსანდრეს ამბის თხრობის დასაწყისშივე ახსენებს ამ გადმოცემას და დასძენს, „ვითარცა წერილი არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასაო“. რაც ქართულ ისტორიკოსებში განამტკიცებს იმ შეხედულებას, რომ ის ბერძნული წიგნი „ალექსანდრიანი“ უნდა ყოფილიყო (სანიკიძე, 1984:359).

„ორ ქართულ წყაროში მოტანილი ცნობები ალექსანდრეს იბერიაში ლაშქრობის შესახებ მიმდინარეობს ფსევდოკალისტენეს რომანის რომელიღაც ვერსიიდან და მას უძველეს, ჩვენამდე მოღწეულ ალექსანდრეს ისტორიებთან არაფერი აქვს საერთო. კერძოდ, არიანეს „ანაბასისში“ მსგავსი არაფერია, თუ არის რომელიღაც წყაროს მიხედვით ალექსანდრეს მომავლის გეგმებზე ლაპარაკი, აქ სახელდება უფრო ახლანდელი დასავლეთი საქართველო და შავი და აზოვის ზღვის სანაპიროები ივარაუდება და არა აღმოსავლეთი. ამ მხრივ, უფრო საყურადღებოა პლინიუსის ცნობა“ (ყაუხჩიშვილი, 1983:150), წერს თ. ყაუხჩიშვილი. ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ ალექსანდრეს ლაშქრობათა მიწურულს დასაპყრობად მონიშნული ქვეყნების ჩამონათვალში იბერია არც არიანესთან და არც სხვა ავტორებთან გვხვდება, იმ დასკვნის გაკეთების საშუალებასაც შეიძლება იძლეოდეს, რომ იბერია უკვე დაპყრობილი იყო. როდის შეიძლება ეს მომხდარიყო? ბროსე ფიქრობდა, რომ „არბელის გამარჯვების შემდეგ (ძ.წ. 331), ალექსანდრე უეჭველად დაედგენა დარიოსს სპარსეთის

ჩრდილოეთ მხარეებში და იძულებული შეიქმნა სომხეთი და შემდეგ ივერია დაეპყრა“ (ბროსე, 1998:21).

არიანეს „ალექსანდრეს ანაბასისში“, როცა ალექსანდრე ჩამოთვლის დაპყრობილ მხარეებს, ამბობს, რომ თავად არის „ის, რომელმაც გადალახა კავკასოსი კასპიის ბჟის ზემოთ...“ (VII,10,5-6). „თუ აქ ხსენებული კავკასოსი კასპის ბჟის ზემოთ, თუ გაღმაა სავარაუდებელი, რომელ კავკასოსზეა ლაპარაკი? არიანეს მთელი ნაწარმოების მიხედვით, ალექსანდრეს ჩვენი კავკასიონის ქედი არ გადმოუღახავს. ეს ადგილი დამაფიქრებელია!“ - შენიშნავს თ. ყაუხჩიშვილი (ყაუხჩიშვილი, 1983:184).

დასაშვებია, ალექსანდრეს ზემოაღნიშნულ სიტყვებში მჟღავნებოდეს სიმართლე, მის მიერ კავკასიონის გადმოღახვა, რამაც ასეთი ფორმით, თავი შემოინახა არიანეს ნაწერებშიც.

„...დავიმორჩილე მიდია, არმენია და იბერია“, წერს ალექსანდრე მაკედონელი წერილში, რომელსაც თავის დედას ოლიმპიას და მასწავლებელს, არისტოტელეს უგზავნის. რადგან ისტორიკოსებში მიღებული თვალსაზრისით, ალექსანდრეს იბერიაში არ უღაშქრია, ითვლება, რომ აქ რაღაც გაუგებრობაა - წერილის სხვა ხელნაწერ ვარიანტში „ბეროია“ წერია, ასეთი სახელწოდების ქალაქი არის სირიაშიც და მაკედონიაშიც და ა.შ. უძველეს ისტორიულ ხელნაწერებზე მუშაობისას მსგავსი ცთომილებების შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, მუდამ გასათვალისწინებელია, მაგრამ იგი არ უნდა იქცეს შესაძლო მცდარი თვალსაზრისის მცდარ მტკიცებულებად. თ. ყაუხჩიშვილის მართებული შენიშვნით, „ამ წერილში (სხვა საკითხია - იგი ნამდვილია, თუ ნაყალბევი) მიდია - არმენიის კონტექსტში „იბერია“ უკეთ ზის, ვიდრე სირიის ქალაქი „ბეროია“ (ყაუხჩიშვილი, 1983: 149).

ქვეყნების, გეოგრაფიული მხარეების სახელთა მსგავსება-იგივეობა, როგორც ცნობილია, ძველად, ნაკლები ინფორმირებულობის პირობებში, ქმნიდა საფუძველს „ინდოეთის კავკასიონთან“ მდებარე მხარეები არეოდათ „ნამდვილ“, „სკეითის

კავკასიონთან“ მდებარე იბერიაში და მცდარი ცნობებიც გავრცელებულიყო, მაგრამ აქვე არსებობს ტოლფარდი საპირისპირო ცთომილების შესაძლებლობაც. მაკედონელებს შეეძლოთ ელაშქრათ კავკასიაში, იბერიაში, მოგვიანებით კი, როცა წარსულის ხსონა ისტორიულ ხელნაწერებსდა შემორჩა, მათზე მომუშავე ძველ ბერძენ სწავლეულებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ აქ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ „ინდოეთის კავკასიონზე“ და მის მიმდებარე ქვეყნებზე.

იგივე შეცდომის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო არიანესთან ხშირად ნახსენები „კასპიის ბჭე, კარი“, რომელშიც არიანე გულისხმობდა ცნობილ გასასვლელს ტავრიის მთებში, მის აღმოსავლეთ ნაწილში, პირკანიასა და პართიაში. მაგრამ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში (იოსებ ფლავიუსი, დონ კასიუსი, პლინიუსი) „კასპიის კარი“ ალანთა კარიცაა, იგივე დარიალანი, რომლის მიღმაც იბერია იწყებოდა (ყაუხჩიშვილი, 1983:137-138).

აღნიშნულის გარდა, აღმოსავლეთ ტავროსის ქედი, სადაც ცნობილი კასპიის კარი მდებარეობდა, არც ძველი იბერიისათვის ყოფილა უცხო. ძვ.წ. VI საუკუნიდან იბერიის ტერიტორია კავკასიონიდან სწორედ მცირე აზიის აღმოსავლეთ ტავრიის მთების კალთებამდე ვრცელდებოდა. ასეთნაირად, აღმ. ტავრიის მთები იბერიის სამხრეთ კარიბჭედაც შეიძლება ჩათვალიდა და „კასპიის კარებშიც“ არეოდათ.

და კიდევ: არიანეს მიხედვით, აზიის მთების ზოგადი სახელია ტავროსი, ხოლო მისი ცალკეული განშტოებებია სკვითიის კავკასოსი, ასევე პაროპამისოსი - ინდოეთის კავკასიონი და სხვა (ყაუხჩიშვილი, 1983:138). როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, არსებობდა საკმაო საფუძველი, რათა ძველ ისტორიკოსებს „სკვითის კავკასოსი“, მიმდებარე ქვეყნებითურთ, არეოდათ „ინდოეთის კავკასიონში“ და პირიქით.

ამ ფონზე, საგულისხმოა პირველ საუკუნეში მოღვაწე პლიუნისის ცნობა. პლინიუსი, რომელსაც კარგად მოეხსენებოდა „კასპიის კარის“ ორმაგი მნიშვნელობა (ყაუხჩიშვილი, 1983:138), თხზულებაში „ბუნების ისტორია“ წერს: „...ასეთია

მაკედონია (და ალექსანდრე მაკედონელი), რომელსაც ოდეს-
ღაც ხელთ ეპყრა მთელი ქვეყანა და რომელმაც გადაიარა
აზია, არმენია, ჰიბერია, ალბანია, კაპადოკია, სირია, ეგვიპტე,
ტავროსი და კავკასოსი“ (IV.39) (სანიკიძე, 1984:356). როგორც
ეხედავთ, პლინიუსი პირდაპირ მიუთითებს, რომ არმენიაში,
იბერიაში, ალბანიასა და კაპადოკიაში იმყოფებოდა ალექ-
სანდრე მაკედონელი.

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, პლინიუსის ნაშრომის საფუ-
ძველზე, იგივე სიტყვები გაიმეორა მესამე საუკუნეში მოღვაწე
სოლინიუსმა თავის „ღირშესანიშნავე მოგონებათა კრებულში“
(IX.9): „ალექსანდრე დიდმა დაიპყრო აზია, არმენია, იბერია,
ალბანია... გადავიდა ტავროსის და კავკასოსის მთებზე“
(სანიკიძე, 1984:356).

თ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ ზემოთ ხსენებული პლი-
ნიუსი მიჩნეულია თავისი ეპოქის ერთ-ერთ უგანათლებულეს
პიროვნებად, თუკი რამ არსებობდა ბერძნულად და ლათინუ-
რად დაწერილი ალექსანდრეს შესახებ, მას ყველაფერი ეცო-
დინებოდა. ფაქტია, არსებობდა რაღაც წყარო, რომელიც
პლინიუსმა გამოიყენა (ყაუხჩიშვილი 1983:146).

როგორც ეხედავთ, ფსევდოკალისტენე არ არის ერთა-
დერთი ძველ ბერძენ ავტორთაგან, ვინც ალექსანდრეს მიერ
იბერიის დაპყრობას გვამცნობს. ამასთან, მნიშვნელოვნად მეტ-
ნი არიან ისინი, თანამედროვე მეცნიერთა ჩათვლით, რომ-
ლებიც საწინააღმდეგო აზრზე დგანან. მაგრამ, როდესაც რა-
ღაცის საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, მართებული, არაიშვია-
თად, უარყოფილი თვალსაზრისი აღმოჩნდება.

ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნეში მოღვაწე პეროდოტეს „იტო-
რიიდან“ ვიცით, რომ აქემენიდური სპარსეთის მე-18 და მე-19
სატრაპიებში, სხვებთან ერთად, ქართველური ტომები: სასპე-
რები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მარები
შედიოდნენ (III, 94). ისინი მონაწილეობდნენ სპარსელთა
ლაშქრობებში, მათ შორის საბერძნეთის წინააღმდეგ, იხდიდ-
ნენ ხარკს და ა.შ. (პეროდოტე, 1976, I:226).

სპარსეთის საბოლოო დამარცხების შემდეგ, ალექსანდრე მაკედონელს შეეძლო მასშტაბური საომარი მოქმედებების გარეშე, თავისი ძალაუფლება გაეფრცვლენინა სპარსთა სახელმწიფოში შემავალ, თუ მისდამი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ხალხებზე, მათ შორის იბერებზე, არსებობდა საამისო პრაქტიკული მიზეზიც. კავკასიაში შემავალი გზისა და კარის მფლობელი იბერიის კონტროლი ალექსანდრეს ჩრდილოეთში მომთაბარე ტომების სამხრეთში მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში შემოღწევის აღსაკვეთადაც დასჭირდებოდა. და კიდევ, გაუგებარი უფრო ის იქნებოდა, მთელი მსოფლიოს დასაპყრობად შემართული ალექსანდრე ასე რომ არ მოქცეულიყო. აღნიშნულზე მითითება არიანეს „ანაბასის-შიცაა“. როდესაც ალექსანდრე, პრაქტიკულად, ლაშქრობის მიწურულს, დაპყრობილ ქვეყნებს ჩამოთელის, სხეასთან ერთად აღნიშნავს: ჩვენს ხელთაა... სპარსელები, მიდიელები და ყველა ისინი, ვისაც სპარსელები და მიდიელები განაგებდნენ და აღარ განაგებდნენ...“ (ყაუხჩიშვილი, 1983:182).

აღნიშნულიდანაც ჩანს, მყარი საფუძველი არ გააჩნიათ მათ, ვინაც ფიქრობს, რომ ალექსანდრეს იბერიაში არ ულაშქრია.

იქნებ სპარსულ წყაროებს შეუძლიათ ამ საკითხში მეტი სიცხადის შეტანა? პროფ. ს. კაკაბაძის მიხედვით, „მთელი რიგი წყაროები ამტკიცებენ, რომ ალექსანდრე მაკედონელი სპარსეთზე თავისი ლაშქრობის დროს, ორი კვირით იყო ძველ ქართლშიც. აქვე იხსენიებენ თბილისის ციხესაც. ეს ცნობა მოყვანილი აქვს X საუკუნის ავტორს, ტაბარის, რომელიც არაბულად წერდა, მაგრამ ის სპარსელი იყო და სარგებლობდა ძველი ფაშლაური წყაროებით (პირველი საუკუნეების მანძილზე ჩვენს ერამდე და შემდეგ ჩვენი ერით VII საუკუნის ჩათვლით, შუასპარსულ ენას ფაშლაური ეწოდებოდა). ასეთივე ცნობა მოთავსებულია ძველ არაბულ უსახელო „ისტორიების კრებულში“.

XII საუკუნის გამოჩენილი პოეტი ნიზამი განჯელი, რომელიც სპარსულად წერდა, თავის პოემაში ალექსანდრე

მაკედონელის შესახებ, პირდაპირ ამბობს, რომ თბილისს (იგულისხმება თბილისის ციხე) საფუძველი ჩაყრილი აქვს ალექსანდრე მაკედონელის მიერ და რომ ეს ცნობა მას აღებული აქვს ფაქლაური მატრიანებიდან.

თურქი მეცნიერ-მოგზაური ევლია ჩელები წერდა 1648 წლის ახლოს, რომ სპარსული ნაწარმოების, „შერეფნამეს“ თანახმად, თბილისი გაშენებული იქნა ალექსანდრე მაკედონელის ხაზინადარის ბიტლისის მიერ“ (კაკაბაძე, 1958:17).

არ ვფიქრობ, რომ ეს ცნობები სრულ ჭეშმარიტებად მივიღოთ. ისინი გადასამოწმებელია და მოსაძიებელია ამ თემაზე სხვა სპარსული ცნობებიც, ჩანს, ისინი არსებობენ. ამასთან, ს. კაკაბაძის - წყაროთმცოდნის, აღმ. ენების სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი წერილის მიხედვით, როგორც ვხედავთ, სპარსული წყაროები ადასტურებენ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ყოფნას.

იბერიის დასამორჩილებლად გაგზავნილ ლაშქარს, თუ ასეთ შესაძლებლობას დაეუშვებთ, ალექსანდრე თავად რომ გასძლოლოდა, თან ეყოლობოდა მისი აპოლოგეტი სწავლულები, ისტორიკოსები თუ სხვანი, და ამ ლაშქრობის შესახებ ზოგი რამ მაინც ისევე დაწვრილებით გვეცოდინებოდა, როგორც, მაგალითად, სპარსეთსა და ინდოეთში მისივე საომარი ექსპედიციებისას. მოვლენის არსს, ამ შემთხვევაში, შეიძლება გადმოსცემდეს მოვსეს ხორენაციის მიერ დომიციანე კეისარზე თქმული სიტყვები: „იგი თვითონ არ მოსულა ჩვენში, მაგრამ, რადგან ბრძანება გასცა და გამოგზავნა ლაშქარი, თქმულებაში გადაასხვაფერეს ეს და მოსვლაც მიაწერეს“ (ხორენაცი, 1989:145).

ქართლში ალექსანდრეს ლაშქრობის ამსახველ ორ ძველ-ქართულ ისტორიულ ვერსიას სრულ ჭეშმარიტებად, რა თქმა უნდა, ვერ მივიღებთ. ამასთან, თვალსაზრისი, რომ ორივე ავტორიტეტული ქართული წყარო (რომ აღარაფერი ვთქვათ ხორენაციის ცნობაზე) ცდება, ან უფრო უარესი - ტყუის, ფსევდოკალისთენესაგან გადმოიღეს შეთხზული ცნობა ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის შესახებ, შეაზავეს სხვადა-

სხვა გამონაკონით, და ერის მატრიანეში რეალობად გაასაღეს მთელი ეს ზღაპარი, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართლის სამეფოს შექმნა („მოქცევაის...“ მიხედვით) ალექსანდრე მაკედონელისათვის დაეკავშირებინათ, მეტი რომ არა ეთქვათ, დაუმსახურებელი უნდობლობაა ქართველ შემატრიანეთა გონებრივი შესაძლებლობებისადმი. ისინი, მაღალი ავტორიტეტისა და რელიგიური ცენზის მქონე ღვთისმსახურები, თუ დაარღვედნენ მცნებას „არ იცრუო“, ამას გააკეთებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლიდნენ, რომ ასეთი ქცევა აუცილებელი და სარგებლობის მომტანი იქნებოდა რელიგიისათვის, რომელსაც ემსახურებოდნენ და ქვეყნისათვის, რომლის მოქალაქენიც ისინი იყვნენ. საამისო განსაკუთრებული მოტივები, ჯერჯერობით, გამოკვეთილად არ გვესახება.

არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, როცა ალექსანდრე მაკედონელის მცხეთაში მოსვლის შესახებ წერდნენ, შუა საუკუნეების ქართველი ისტორიოგრაფები ძირითადად ვყრდნობოდნენ საქართველოში შემონახულ ცნობებს.

ალექსანდრემ 180 ეროვნების ხალხი დაიმორჩილა. ეს ძალიან დიდი ციფრია და ჩვეულებრივი ადამიანის გონება ამ ხალხის ჩამონათვალს ვერც დაიმახსოვრებს. „ქვეყნიერების კიდზე“, კავკასიონზე შეფენილ იბერიაში ბერძენ – მაკედონელთა ყოფნის შესახებ ბერძნებს დროთა განმავლობაში გადაავიწყდებოდათ, აღნიშნული ცნობების შემცველი ხელნაწერები კი შესაძლოა გაცრეცილიყო ან დაკარგულიყო. ამასთან, ძალიან დიდხანს და ბევრს დაიმახსოვრებდა ის ქვეყანა და ხალხი, რომელთაც დამპყრობელ ბერძენ მაკედონელთაგან გადაიტანეს ომის მთელი სისასტიკე, ახლობელთა დაღუპვა, დამცრობა, ხიზნობა თუ სხვა. ეს ყველაფერი დაიღეჭებოდა ხალხის მეხსიერებაში, ზეპირგადმოცემებში, წერილობით წყაროებში, ენაში, უცხოელთაგან შემოტანილ და დამკვიდრებულ რწმენა-წარმოდგენებში, ტოპონიმებში, მატერიალური კულტურის ძეგლებში, ნუმიზმატიკაში. როცა მათ ვიპოვით და წარმოვაჩინთ, არსებითი მნიშვნელობა იმასაც აღარ ექნება,

უარყოფენ თუ ადასტურებენ ალექსანდრეს კავკასიაში ლაშქრობას ისტორიკოსები.

მაგალითად აქ ინდოეთი არ გამოდგება. პარადოქსია, რომ ინდოეთს არ შემოუნახავს არც ერთი ზეპირგადმოცემა, წერილობითი წყარო თუ სხვა, ამ ქვეყნის ვრცელი ნაწილის დამპყრობ დიდ მაკედონელზე. მისგან განსხვავებით, საქართველოში არსებობს რამდენიმე ზეპირგადმოცემა ალექსანდრე მაკედონელზე (ვირსალაძე, 1964: 266-273). ასევე, თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელი ქართლში, თითქოს, „დარუბანდის გზით“ მოსულა (ისტორია ივერიისა, 1848:109). მხოლოდ ეს არაფერს ამტკიცებს. უფრო საყურადღებოა აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს მოჭრილი ოქროს მონეტა, ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, მისი მინაბაძების იბერიაში გავრცელების საკმაოდ ფართო არეალით, გვხვდება ჩრდილო კავკასიაშიც. მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცულ ამ კატეგორიის მინაბაძთა საერთო რაოდენობა დაახლოებით ასამდეა. აქედან დიდი უმეტესობა, სამ მეოთხედზე მეტი, საქართველოს მუზეუმებშია დაცული. თავად საქართველოში მინაბაძების გავრცელების გეოგრაფია ცალსახად მიუთითებს ძე.წ. III საუკუნის იბერიაზე (კაპანაძე, 1965:34-36). მაგრამ, ჩვენი ძიებისათვის ღირებულ არგუმენტის მნიშვნელობა ამ ფაქტმა შეიძლება შეიძინოს მხოლოდ სხვა ანგარიშგასაწევი მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ. ასეთი კი მოინახება.

კვლევა გამოაქვს, რომ საქართველო ინახავს საძიებო პერიოდისათვის ნიშანდობლივ, ერთმანეთში ჩაწნულ ბერძნულ-მაკედონურ, სპარსულ-ბაქტრიულ და ინდოარიულ ანაბეჭდებს. აღნიშნული სამიდან, იმდენად ღრმა და შთამბეჭდავია ინდოარიული პლასტი, რომ ბერძნულ-მაკედონური ანაბეჭდი მის ჩრდილქვეშ ექცევა. მკრთალია სპარსულ-ბაქტრიული კვალი, მაგრამ მისი არსებობაც ეჭვს გარეშეა.

ინდოარიული, ბერძნული და სპარსულ-ბაქტრიული პლასტის არსებობას საქართველოში ხსნის აღმოსავლეთში ალექსანდრე მაკედონელის საომარი ექსპედიციები და მისი ცნო-

ბილი იღუა ეეროპისა და აზიის დამოყუერება-დამეგობრების შესახებ, პროექტი, რომლის რეალიზაციისათვის ალექსანდრეს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაციამ ჩვენს დრომდე ველარ მოაღწია.

* * *

ფსეედოკალისტენეს ისტორიულ რომანს ყველა ქართველი მეცნიერი ბოლომდე სკეპტიკურად არ ეკიდებოდა. „ალექსანდრიანში“ ნახსენები არიანა მოსე ჯანაშვილს არიან-ქართლს აგონებდა (ჯანაშვილი, 1906: 52-53. 57-62). ვფიქრობთ, ინტუიცია ამ შემთხვევაში მას სწორ გზაზე აყენებდა.

ტერმინი „არიანა“ ანტიკურ ლიტერატურაში შემოღებულია ბერძენი სწავლულის ერატოსტენეს (ძვ.წ. 276-194) მიერ, აღნიშნავდა ირანის პლატოს აღმოსავლეთ ნაწილს. არიანაში მოიაზრებდნენ პედროსიას, კარმანიას, არახოტიას (არახოსიას), დრანგიანას, პაროპამისადებს, არეიას და პართიას. ბერძნული სახელწოდება არიანა წარმოსდგება ირანულიდან – „არიანაშ“, რაც ნიშნავს არიელების ქვეყანას, არიანთა სამეფოს (ბსე, 1970:191).

„მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკებში არიან-ქართლად წოდებული მხარე არიანაში შემავალი შვიდი მხარიდან ერთ-ერთი, პაროპამისადების მხარეც უნდა იყოს. პაროპამისადები (პარაპამისანები) პინდიქუშის მთავარი ქედის სამხრეთით, თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე (ქაბულის მხარე) მდებარე, ინდოეთის ისტორიული ჩრდილო-დასავლეთის მთიანი მხარის და იქ მცხოვრებ მთიელთა რიცხეგცირე ტომების (ბოლითიების, ამბავთიების, ფარსების, პარგიეტების და სხვა) აღმნიშვნელი კრებითი ტერმინია, რომლებიც ინდურ ან ინდოელთა ნათესავ ტომებად ითვლებოდნენ (ბსე, 1955:150). „ავესტის“ მიხედვითაც, ინდოარიელებით დასახლებულ სიერცედ აღმოსავლეთ ქაბულისტანი მიიჩნეოდა (რიგვედა, 1989:442). ბერძნულ წყაროებში მათ მთიელ ინდოელებს, ხოლო მთებს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ინდოეთის კავკასიონს უწოდებდნენ.

არიან-ქართლიდან იბერიაში გამოსულთა შორის პაროპამისადების სამხრეთელი მეზობლები, ასევე არიანაში შემავალი არახოტებიც (არახოსიელები) შეიძლება ყოფილიყვნენ.

არიანაში შემავალი ინდოეთის უძველესი ტერიტორიები დიდხანს (ძვ.წ. 558-დან), ალექსანდრე მაკედონელის ამ სივრცეებში ლაშქრობამდე, აქემენიდურ სპარსეთს კქონდა დაკურობილი. გავგამელას ბრძოლის ველზე, ძვ.წ. 331 წლის პირველ ოქტომბერს, დარიოს კოდომანის დროშის ქვეშ, მთიელი ინდოელები და არახოტები ალექსანდრეს ლაშქარს ერთად ებრძოდნენ. არიანეს „ალექსანდრეს ანაბასისის“ მიხედვით: „ბარსაენტმა, არახოტების სატრაპმა მოიყვანა არახოტებიცა და მთიელებად წოდებული ინდოელებიც“ (ყაუხჩიშვილი, 1983:167). მეორე ნაწილი ინდოელებისა „ინდოეთის კავკასიიდან“ (პაროპამისადებიდან) მათმა მეზობელმა, ბაქტრიის სატრაპმა ბესამ მოიყვანა (სანიკიძე, 1984: 132). პაროპამისადები აღ. მაკედონელის ამ სივრცეში ლაშქრობის დროს (ყაუხჩიშვილი, 1977:109), შესაძლოა მანამდეც, მეზობელ სპარსულ ბაქტრიასთან ერთ სატრაპიაში შედიოდა და ბრძოლის ველზე მათი ერთად მოსვლაც შეიძლება ამით აიხსნას.

გავგამელას ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, გაქცეულ დარიოსს კქონდა გეგმა: „თუ ალექსანდრე წამოვიდა მის წინააღმდეგ, იგი წაეა ზევით... ვიდრე ბაქტრამდე, მთელს ქვეყანას ააოხრებს და [ამით) შეუძლებელს გახდის ალექსანდრესათვის წინ წასვლას“ (ყაუხჩიშვილი 1983:170). მაგრამ ამ გეგმის განხორციელება მან ვეღარ შეძლო. ბაქტრიის სატრაპმა ბესამ ღალატით მოჰკლა მასთან ერთად გაქცეული დარიოსი, თავზე მისი სამეფო გვირგვინი დაიდგა, ბაქტრიას მიაშურა და მაკედონელის წინააღმდეგ ჯარების შეყრას შეუდგა. ბესას ბრძანებით, დარიოსის გეგმისამებრ, ბაქტრიამდე გასაეღელი გზის გასწვრივ, რომელიც პაროპამისადებზეც გადიოდა, ყველაფერი გადაწვეს და მოაოხრეს, მაკედონელის ლაშქარს თავის შესაფარებელი და საჭმელი ლუქმა რომ ვერ ეპოვა (სანიკიძე, 1984:190).

329 წლის ადრიან გაზაფხულზე ალექსანდრე მაკედონელი ბესას დასასჯელად დაიძრა. ბაქტრიისაკენ მთებში, პაროპამისადებზე გამავალ გზაზე, ლაშქარი 14 დღის განმავლობაში გზას მიიკვლევდა გადამწვარ-გაეერანებულ, მოსახლეობისა და ყოველივე ცოცხალისაგან დაცლილ მხარეში (სანიკიქე, 1984:191). მრისხანე მტრის მოახლოებით დაშინებული მოსახლეობა ხიზნობისას, ჩვეულებრივ, იმ მხარეს მიაშურებს, სადაც მათი მფარველი და მტრის შემაკავებელი ძალა ეგულება, ასეთ ძალად და საიმედო თავშესაფარ მხარედ მთიელი ინდოელებისათვის მაშინ ბაქტრია - ბალხეთი უნდა ყოფილიყო. ბაქტრიის კიდევ ერთი სახელი იმ დროს იყო ბალხი. „ბაქტრია, ბალხი ე.ი. რაიონი მდებარე პინდიქუშსა და ამუდარიას შორის“, ასე განმარტავენ თავად ინდოელი ისტორიკოსებიც (სინხა, 1945:77).

მთიი აცოცხლებს ისტორიას და მთიელი ინდოელების ბალხეთ-ბაქტრიაში გადახვეწა, როგორც ეტყობა, არიან-ქართლელთა იბერიაში გამოსვლის შემდეგ ჩაეწნა, აირეკლა ამირანის თქმულებაში. სახლ-კარდამწვარი, დაობლებული მითოსური გმირები ჰყეებიან:

„ბადრი, უსუჰი, ამირან ობლები დავიყარენით, დევების დაშინებულნი, ჩაბალხეთს ჩავიყარენით“ (ჩიქოვანი, 1947:313)

„ჩავიყარენით“ – აქ „ჩა“ ზმნისწინიც მიუთითებს მთებიდან დაბალ სივრცეში გადაადგილებაზე, ბაქტრია-ბალხეთი ვაკეზე მდებარეობდა. ბაქტრიაში მაკედონელთან ომისთვის ემზადებოდნენ, რის გამოც პრობლემებს, რაც ხიზანთა ჭარბი რაოდენობის იქ შესვლას მოჰყვებოდა, თავს არიდებდნენ. ამიტომ, მითის მიხედვით, ძმებმა თავი ვაჭრებად გაასაღეს:

„ავდექით, ბალხეთს წავედით, ვაჭრულად შავიპარენით, მოჯამაგირედ დავდექით, ბეზირგან დავეტანენით.

გვითხრა: არ გავთ მოჯამაგირეს, ადექით, გამეცალენით“...

(ჩიქოვანი, 1947: 395-396).

ხიზნების ვინაობით ბალხი ქალებიც დაინტერესებულან:
„კითხვედეს ბალხთა დედანი: ამირან, საყმო ხარ ვისი?

- რას მკითხავთ ბალხნო დედანო, მე საყმო ვიყავ არეისი.

ხელი დაიდო ხმალზედა: ჯერ ღეთის ვარ, მემრე ამისი“.

(ჩიქოვანი, 1947 : 340).

ასეთი პასუხი, ინდოელთაგან, ყველაზე უფრო ქმატრიათა - მეფეთა და მეომართა კასტის წარმომადგენელს შეეფერება.

ამირანის თქმულებაში გვხდება არა მხოლოდ ტოპონიმი ბალხი, არამედ იმავე ქვეყნის მეორე სახელიც „ბაქტრია“, ფორმით - „ბახტრი“:

„სამნი ჩვენ, ცხრანი დევები ბაზარზე შავიყარენით,

თავს ვეცით ბახტრის ბაზარსა, ბოლოჩი გავიყარენით“

(ჩიქოვანი, 1947:340).

მაგრამ, რატომაა აქ, და სხვა ვარიანტებშიც, საუბარი არაკეთილმოსურნეებთან შეჯახებისას ბაქტრიის თავიდან ბოლომდე გავლაზე? აღნიშნულიც ისტორიული ფაქტის ხსოვნას ინახავს. გაუკაცრიელებული პაროპამისადებიდან შემოჭრილმა ალექსანდრეს ღაშქარმა მართლაც თავიდან ბოლომდე, ოღონდ უბრძოლველად გაიარა ბაქტრია და მეზობელ სოგდიანაში გადავიდა, იქ გაქცეულ ბესას გამოედევნა. ომი იმ დროის მსოფლიოს უძლიერეს მეომრებთან ამაო იყო (სანიკიძე, 1984: 191-193), რაც აისახა ამირანის თქმულებაშიც:

„თავს ვეცით ბალხის კარავსა, ბოლოჩი გავიყარენით.

ომისა ვერა გავიგეთ, ფარის ქვეშ მოვიმალენით“

(ჩიქოვანი, 1947: 313).

თუ ვინმეს ამირანის თქმულების ინდურ სამყაროსთან კავშირი ეეჭვება, მან უნდა გაიხსენოს, რომ თქმულების ოსურ ვარიანტში ამირანი ყამარს ინდოეთში ეძებს (ჩიქოვანი, 1947:392), ხოლო მოსე ხონელის სარაინდო რომან „ამირანდარეჯანიანში“ (მე-12ს.), რომლის საფუძვლადაც ითვლება, რომ ავტორს ხალხური ამირანიანი გამოუყენებია, ბალხეთი და ინდოეთი ამირან დარეჯანის ძის სამოქმედო არეალია. რომანის ბოლოს იგი ბალხეთის მეფე ხდება. მისი ამბის თხრობის მიზეზად კი რომანში ინდოთ მეფე სახელდება. „ბალხეთით კერძო წყალი ჩამოდიოდა დიდი, და მისსა პირსა

ქალაქი იყო მეტად მშვენიერი, და კართა მის ქალაქისთა შესავალსა ამირან დარეჯანის ძე ეწერა ცხენსა ზედა მჯდომი. ერთმანეთსა ეგრე არქვეს: - აჰა, კაცი რომლისათვის შეიჭირვებს პატრონი ჩვენი ინდოთ მეფე“ (ხოხელი, 1987:285) და სხვ.

ბალხეთისა და ინდოეთის შემდეგ, უძველესი ქართული მითის გმირები საქართველოში, საჩალეში ჩნდებიან: „ბუერი ბენაობა გამოიარეს ძმებმა. სულ ცის ქვეშ აღამებდნენ და ათენებდნენ, კერა-ნაცარი ენატრებოდათ.

ბადრი, უსიპი, ამირან ობლები მოვიყარენით:

ღველფ არ გვინახავს, კერაი, საჩალეს მოვიზარდენით“

(ჩიქოვანი, 1947:313).

ხეკსურული გადმოცემით, დევნილმა ძმებმა თავი საჩალის მაღალ მთას შეაფარეს და იქ დაიზარდნენ (ქხპ, 1972:272).

რა მიზეზს, მოვლენათა როგორ მდინარებას უნდა გადმოესროლა ბაქტრია-ბალხში ჩახიზნული მთიელი ინდოელები შორეულ იბერიაში?

იმ დროს ალექსანდრე მაკედონელი შეპყრობილი იყო აღმოსავლურ-დასავლური დიდი სამეფოს შექმნის იდეით. დიოდორე სიცილიელის გადმოცემით, „ახლად მოწყობილ ქალაქებში უნდა გადაეყვანათ მოსახლეობა ევროპიდან აზიაში და პირიქით, აზიიდან ევროპაში, რათა (სამყაროს) ამ ორ უდიდეს ხმელეთს შორის დამყარდეს საერთო თანხმობა და ნათესაობაზე დაფუძნებული მეგობრობა“ (ყაუხჩიშვილი, 1977:109). იბერია (მცხეთაც) ამ ნიშნით უნდა შერჩეულიყო, იგი მდებარეობდა დიდი სავაჭრო მარშრუტების უმნიშვნელოვანეს მონაკვეთზე.

კავკასიაში აღ. მაკედონელს სპარსელი ბაქტრიელები ნაკლებად სჭირდებოდა. სპარსელები ისედაც ემეზობლებოდნენ და ურთიერთობდნენ იბერიელებთან. ალექსანდრეს პროექტის მიხედვით, როგორც ჩანს, იბერიაში უნდა დამკვიდრებულიყვნენ ინდოელები თავიანთი ოჯახებით, ღმერთებით, ტრადიციებით, ინდური სოციალური სტრუქტურით. ინდოელებს, რომელთაც მანამდე სამოყვროდ თუ სამტროდ პირი

დასაველეთისაკენ არასოდეს უქნიათ, კავკასიაში უნდა დაეგულებინათ დიდი ინდოეთის „ნატეხი“, თავისიანები, რათა გასწენოდათ სტიმული სავაჭროდ, სამეგობროდ თუ უბრალოდ, თავისიანების მოსანახულებლად შემსხდარიყვნენ აქლემებზე და გადაედგათ ის პირველი ნაბიჯი, რომლითაც იწყებოდა ათასობით კილომეტრი სიგრძის გზა დასაველეთისაკენ.

- შენ იქნები მეფე, ოღონდ კავკასიაში! - დაახლოებით ასეთი შინაარსისა უნდა ყოფილიყო დიდი მაკედონელის შეთავაზება - ულტიმატუმი თანამემამულეებთან ერთად, ოჯახებითურთ ბაქტრიაში ტყვედ ჩავარდნილი არიანელი უფლისწულისადმი, ქართული წყაროებით აზო-აზონისადმი, რომელსაც გავერანებული, მთებს გადაღმა დარჩენილი სამშობლოსაკენ მისახედიც აღარ დარჩენოდა. არიან-ქართლიდან გამოსულები ტყვეებად რომ ითვლებოდნენ, ეს მე-5 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაციის ცნობებიდანაც ჩანს, რომელიც ალექსანდრე მაკედონელთან ერთად ახსენებს „ტყვედ მოყვანილ (ი)ვერიელთა მოღვმას“ (ხორენაცი, 1984:107.111).

გამოსულა ბაქტრიიდანვე უნდა მომხდარიყო. სტრაბონის ცნობით, აქ გადიოდა დიდი საქარაენე გზა: „ასე ამბობენ, რომ ოქსოსი (ამუ-დარია) საზღვრავს ბაქტრიანას სოგდიანასაგან და კარგია სანაოსნოდ. ისე, რომ ინდური საქონელი მიაქვთ მასზე და ადვილად შემოაქვთ პირკანიაში და მის მეზობლად მდებარე ადგილებში, ვიდრე პონტომდე, მდინარეების მეშვეობით“ (სტრაბონი, 1957:84). ცნობილია, იმ დროში მდინარე ამუ-დარია ერთეოდა კასპიისა და არა არაღის ზღვას, როგორც ეს ამჟამადაა. მაშინ მდინარეებიც უფრო დიდი და წყალუხვი იყო, რაც მნიშვნელოვნად აადვილებდა ინდოეთიდან, ბაქტრიიდან დასაველეთში მოგზაურობას.

კავკასიისაკენ მიმართულ ინდოელებს ალექსანდრე, რა თქმა უნდა, გააყოლებდა ბერძნებს მეთაურად და მოლაშქრეებსაც, მაგრამ ისინი თავადაც ძალიან სჭირდებოდა. ამიტომ, სავარაუდოა, რომ გამყოლებად ბევრი სპარსელი, მათ შორის ბაქტრიელი მეომრები იქნებოდნენ. ცნობილია, ალექ

სანდრე მათ ხშირად თანამემამულეებზე მეტად ენდობოდა, თანაც სპარსელებმა კარგად იცოდნენ გზა მეზობელი კავკასიისაკენ და ვითარებაც ადრე სპარსეთის მოხარკე ქართველურ ტომებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს არიანეს მიერ „ანაბასისში“ მოთხრობილი შემთხვევა (IV.15, 1-7). შუა აზიაში ლაშქრობისას, დაახლოებით 329-327 წლებში, დაახლოებით მდინარე ოქსოსთან, ალექსანდრესთან მივიდა ხორაზმელთა მეფე ფარასმანი 1500 მხედრით. „ფარასმანესმა თქვა, რომ ის ცხოვრობს კოლხთა მოდგმისა და ამაზონი ქალების მეზობლად, და თუ ალექსანდრეს სურს თავს დაესხას კოლხებსა და ამაზონებს და დაიმორჩილოს ეექსინის პონტომდე რომ ვრცელდებიან ის ტომები, იგი ჰპირდება, რომ იქნება მისი მეგზური და მოუმზადებს ლაშქრობისათვის პროვიანტს“ (ყაუხჩიშვილი, 1983: 123).

არაერთ მეცნიერს ხორაზმის მეფისგან აღნიშნული საკითხის დასმა საუჭვოდ ეჩვენება. თ. ყაუხჩიშვილი წერს, რომ ხორაზმელები კასპიისა და არალის ზღვებს შორის ყარაყუმის უდაბნოში ცხოვრობდნენ, ამიტომ მათი მეფე კოლხთა მეზობელი ვერ იქნებოდა. „ხომ არ უნდა გეეფიქრა, რომ ის არაა ხორაზმელი“? (ყაუხჩიშვილი, 1983:123).

არიანეს მიერ ხორაზმის მეფედ მოხსენიებული ფარასმანესი, ჯერ კიდევ დარიოს კოლომანის დროიდან, პართიის სატრაპი ფრატაფენი ან მისი ვაჟი, ფარასმანიც შეიძლება ყოფილიყო. ხორეზმი პართიას ნრდილოეთიდან ეკვროდა და ორივე ეს მხარე მე-16 სატრაპიაში შედიოდა. ასევე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ძვ.წ. I საუკუნეში მოღვაწე კეინტიუს კურციუს რუფუსი გვამცნობს, რომ 327 წლის გაზაფხულზე ხორეზმის სათავეში მდგომმა ფრატაფერნმა გაგზავნა ხალხი, რათა ალექსანდრე მის მორჩილებაში დაერწმუნებინა (VIII. I, 7,8) (გოილაძე, 1984:158).

ლ. სანიკიძის მიერ მოძიებული ცნობებით, ძვ.წ. 329 წელს პართიის სატრაპი ფრატაფერნი, არეიაში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ბაქტრიის ქალაქ ზარიასპაში ალექსანდრესთან

მივიდა და აჯანყებულთა შეპყრობილი თავკაცებიც მიჰგვარა. იმავე ხანებში, იქვე, ზარიასპაში ჩნდება ზემოთ ხსენებული ხორეზმის მეფე ფარასმანესი, კოლხეთისაკენ ლაშქრობის იღვით (სანიკიძე, 1984:203-205). თუ ეს მართლაც ფრატაფერნი იყო, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, მას უნდა სცოდნოდა კოლხეთისა და მითიური ამაძონებისაკენ სავეალი გზები. არიანეს მიხედვით, ფრატაფერნესი მართავედა პირკანიასაც (III.8, 3-5). დარიოსის სიკედილის შემდეგ მის მხარეზე გადასულ ფრატაფერნს, რომელსაც თან ორი ვაჟკაცი ვაჟიშვილი ახლდა, ალექსანდრემ სამმართველოდ, პართიასთან ერთად, პირკანიის სატრაპიაც დაუტოვა (სანიკიძე, 1984:168). ისიც გასათვალისწინებელია, რომ იმ დროს, თუნდაც სპარსთა გავლენა ნომინალური ყოფილიყო, აქემენიდთა დროიდან, ეს გავლენა ძველ ქართულ ტერიტორიებზე კავკასიონამდე აღწევდა. ლოგიკურია ვიფიქროთ, პართია-პირკანიის სატრაპი ფრატაფერნი ქართველური ტომების, მათი საბინადრო სივრცეების შესახებ სხვებზე უკეთ იჩნებოდა გათვითცნობიერებული. აღნიშნული თემის კვლევას კავკასიაში მივყევართ.

მოვისეს ხორენაციის ცნობით, ალექსანდრემ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას მთავრად დაუსვა დარიოს მესამის ნახარარის (სატრაპის) შთამომავალი (ხორენაცი, 1984:107). „ქართლის ცხოვრების“ ცნობით კი მცხეთაში დასმულ აზონს, მაკედონელი, ჯართან ერთად, თანაშემწეს უტოვებს „რომელსა ჰქვია ფროტათოს... ესე ფროტათოსელნი იყვნენ კაცნი ძლიერნი და მხნენი და ეკირთებოდეს ქვეყანასა პრომისასა“ (ქართლის ცხოვრება, 1955:18). აღნიშნული ცნობების შერჩევით შეერთებას ისევ, დარიოს III-ის ყოფილ სატრაპთან პართიაში, სპარსელ დიდებულ ფრატაფერნთან (ბერძ. ფრატაფერნესი) მივყავართ. ფრატაფერნ/ფრატაფერნესი თავის ორ ვაჟთან ერთად მხარში ედგა ალექსანდრე მაკედონელს. ალექსანდრეც პატივს მიაგებდა მათ ერთგულებისა და სიმამაცისათვის. დარიოს მესამის ყოფილი სატრაპის ვაჟებს ფარისმანი და სისინი ერქვათ (სანიკიძე, 1984:370). ქართულ და სომხურ მონაცემთა შეჯერება შედეგის მომცემი ჩანს: ორივე

შემთხვევაში საუბარია ძლიერ კლანზე, ემთხვევა ბიოგრაფიული მონაცემებიც: დარიოსის ყოფილი სატრაპი, შემდეგ ალექსანდრეს ერთგული, რომლის შთამომავალიც მან მთავრად დაუსვა „ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას“. გვარიც - ფრატაფერნ/ფრატაფერნესი ჰგავს ფროტათოსს. ფრატაფერნესის ერთ-ერთი ძის ფარისმანის მსგავსი სახელები: ფარსმანი, ფარნავაზი, ფარნაჯომი პოპულარული იყო ძველ ქართლში, მათ შორის სამეფო კარზე. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ალექსანდრეს მიერ აზოს შემწვად დატოვებულ ერთ-ერთ ფროტათოსელში, დიდი ალბათობით, ფარასმან ფრატაფერნის/ფრატაფერნესის ძე უნდა ამოვიცნოთ. იგი, უნდა ვიფიქროთ, ალექსანდრეს დავალებით გამოწყებოდა ბაქტრიიდან გამოსულებს.

* * *

ინდოარიელთა კავკასიაში მოსვლას, შესაძლოა, ეხმაურებოდეს აფხაზთა ამირან-აბრსკილის თქმულებაში მოხსენიებული „ქერა-ჭრელთვალებიანი“, „ცისფერთვალება და გრძნეულებით შემოსილი“ ადამიანები, რომელთაც „შეეძლოთ თავისი ავი თვალებით ხალხის გაფუჭება (გათვალება)“. ისინი, როგორც ეტყობა, ადგილობრივნი არ იყვნენ და უცხო სარეველების, მათ შორის, გვიმრის თესლებიც შემოჰყოლიათ, რომელთაც აფხაზეთში გაუხარიათ და კულტურული მცენარეები შეუეწირობიათ. აღნიშნულის გამო აბრსკილი მათ უპირისპირდებოდა (ჩიქოვანი, 1947: 386-389). შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ესენი ჩრდილოელი სლავები იყვნენ, მაგრამ ქერა და ცისფერი თვალების მქონე იყვნენ არიელებიც. გრძნეულება-გათვალებაც ინდოარიელთა უძველესი „პროფესიაა“, ვედების მე-3 წიგნი „იაჯურვედა“ მთლიანად მაგიურ შელოცვებსა და რიტუალებს ეხება, რომელთა სწორად გამოყენების შემთხვევაშიც, არამცთუ ადამიანთა გათვალება, თითქოს თავად ღმერთებიც კი ადამიანთა ნების შემსრულებელნი ხდებიან (რიგვედა, 1989:463). გვიმრის ტიპის მცენარეებიც ბევრგან ხარობს, მაგრამ არსად ისე, როგორც

ინდოეთში. ამასთან, ჩვენი დაკვირვებით, აფხაზეთში შეინიშნება ინდური წარმოშობის ტოპონიმები, ხოლო ინდურ მითოსთან კავშირი ჩანს თავად აბრსკილის თქმულებაში, გამოკრთის აფხაზურ ნართულ ეპოსშიც და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და ჩრდ. კავკასიაში, რომლებიც უშუალოდ ემეზობლებიან აფხაზეთს, შემჩნეულია სანსკრიტული დიალექტის ანაბეჭდი (ტრუბაჩევი, 1977).

ინდოარიანთა კავკასიაში, იბერიაში გადმოსახლება ბაქტრიის დაპყრობის შემდეგ, ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებამდე, ანუ ძვ.წ. 329-323 წლებს შორის პერიოდში უნდა მომხდარიყო. დაახლოებით ამ დროიდან ბერძნულ წერილობით წყაროებში ჩნდება ცნობები კოლხეთში ბაქტრიიდან გამოსულთა, ინდოელთა და ბაქტრიელთა ყოფნის შესახებ.

ანონიმურ პერიპლუსში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ ნათქვამია, რომ ფაზისში (ფოთში) თავმოყრილ ტომთა შორის „არიან ინდოეთისა და ბაქტრიის ბარბაროსები“ (ინაძე, 1968:103). ფიქრობენ, რომ ანონიმი ავტორის ამ ცნობის პირველწყარო უნდა იყოს ტიმოსთენე (ძვ.წ.III ს.), ან ევოროე (ძვ.წ. IV ს.), (ინაძე, 1968:79).

კოლხთა ქალღმერთ რეა-კიბელეს (რომელიც, ჩვენი აზრით, საკმაოდ ემსგავსება ინდურ ქალღმერთ კალის) შესახებ სტრაბონი ამბობს: „ტიტანებმა რეას გადასცეს კორიბანტები შეიარაღებულ მცველებად, მათზე ზოგი ამბობს, რომ ისინი ბაქტრიიდან არიან გამოსულნი, ზოგი კი, რომ კოლხთაგანი არიან“ (სტრაბონი, 1957:105). შორეული ბაქტრიიდან თავიანთი მფარველი ქალღმერთის მცველად კოლხები უცხოელებს არ მოიწვევდნენ. ბაქტრიიდან გამოსულ ვაჭრებსაც არ დააყენებდნენ ღვთაების დარაჯად. „ბაქტრიიდან გამოსულები“, აქ, როგორც ეტყობა, არიან-ქართლელთა, იგივე არიანელ-ინდოელთა (უფრო ფართო გაგებით – ინდოელთა, ბერძენთა და ბაქტრიელთა) აღმნიშვნელ სინონიმურ ტერმინად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნულ თვალსაზრისს მხარს უმაგრებს ალ.

მაკედონელის თანამედროვე თეოპოშქე ქიოსელის ცნობა: „კოლხები ინდოელი სკვითებია, რომელთაც ლაზებიც ჰქვიათ და ცხოვრობენ მეზობლად აბასგებისა-უწინდელი მასაგეტებისა“ (ურუშაძე, 1965:295). თეოპოშქეს ეს მოსაზრება ასევე გამეორებული აქვს მე-12 საუკუნის ბიზანტიელ კომპილატორს, ცეცეს.

„კოლხები – ინდოელი სკვითები“, აღნიშნულ შემთხვევაში, „ბაქტრიიდან გამოსულთა“ მსგავსად, არიან-ქართლიდან გამოსულთა შესატყვის ტერმინად გვესახება.

საგულისხმოა, რომ „მოქცევაის...“ მიხედვით, არიან ქართლის მეფის ძის, აზოს მსგავს სახელებს ატარებდნენ ძვ.წ. II საუკუნეში აზ პირველი და აზ მეორე, მეფეთმეფენი ინდოსაკებისა-ინდოელი სკვითებისა (ბონგარდ, 1985:392). სახელთა აღნიშნული მსგავსება, თეოპოშქეს მიერ კოლხთა ინდოელ სკვითებად გამოცხადების ფონზე, მეცნიერულ ინტერესს აღვივებს, მით უფრო, რომ ეთნონიმ „საკ“-ის იდენტური ფუძე სიტყვა ქართულ ონამასტიკაში იშვითობას არ წარმოადგენს.

არიან-ქართლელთა გამოსვლის დროიდან, მიახლოებულ პერიოდში, ბერძნულ წერილობით წყაროებში კოლხეთში ინდური და ბაქტრიული ტომების ერთად მოხსენიება, ამ ორ ხალხს შორის სიახლოვესთან ერთად, იმაზეც მიანიშნებს, რომ ბაქტრია - პაროპამისადების სატრაპიიდან გამოსულ არიან-ქართლელებში ინდოელებთან ერთად ბაქტრიელებიც იყვნენ.

მხოლოდ ელინურ წყაროებს არ შემოუნახავს არიან-ქართლიდან გამოსულთა ვინაობა, არიან-ქართლელთა ბაქტრიიდან გამოსვლის შემდეგ უნდა გაჩენილიყო უძველეს ქართულ ზეპირგადმოცემებში ეთნონიმი თუ მაკროტოპონიმები ბალხი, ბალხეთი, ბახტრი.

„ღვეების დაშინებულნი ჩაბალხეთს ჩავიყარენით“ ნათქვამია ამირანის თქმულებაში. „ჩაბალხეთით გადვიხედე, წარბი წვრილად გადგეხარა...“ ეს სიტყვები ხალხურ ლექსშია (კოტეტიშვილი, 1961:27). ასევე ხალხური ლექსიდანაა „ბალხეთ-ბაყაყაწის ქალი, ზევით ამომავალი“ (ძიძიგური, 1970:212).

„ერთა წავედით და მივედით ბალხეთს, იყო დიდი, მაღალი ქედი. მას ზედა წავადეგით და დაეხედენით...“ ნათქვამია „ამირანდარეჯანიანში“ (ხოხელი, 1987:497). როგორც ვხედავთ, აქ მოყვანილ ოთხ სხვადასხვა ტექსტში, საქართველოსათვის უცხო და შორეული ქვეყანა ჩაბალხეთი/ბალხეთი სადღაც დაბლა, ქვემოთ მდებარეობს. „ამირანდარეჯანიანი“ აზუსტებს, რომ ბალხეთი „დიდი, მაღალი ქედის“ ქვემოთაა, თუ გადაღმაა. ჩვენი აზრით, ეს ისტორიული მეხსიერებაა „ინდოეთის კავკასიონიდან“ - პაროპამისადებიდან გამოსული არიან-ქართლებებისა, რომლებმაც შთამომავლებს დაუტოვეს ცნობა, რომ ბალხეთ-ბაქტრია, რომელთანაც მეზობლობდნენ და ურთიერთობდნენ, მათი მშობლიური მთების გადაღმა, ვაკეზე მდებარეობდა.

საეარაუდოდ, იმავე მოვლენას უკავშირდება საქართველოში ტოპონიმები: ბახტრიანი - სოფლის სახელი კახეთში. „ბაქტრიანა“, „ბაქტრიანები“ - მაკროტოპონიმისა და ეთნონიმის სწორედ ამ ფორმებს იყენებენ ბერძენი ავტორები ძველ წერილობით წყაროებში (ყაუხჩიშვილი, 1977:145). ხაშურის რაიონში არის სოფელი ნაბახტევი, როგორც ეტყობა ადრე ერქვა „ნაბახტრევი“ და ა.შ. მესხეთში, ბარაღეთის საკრებულოში, სოფლის სახელია ბალხო, რაც ძველინდურად იგივეა რაც ბალხეთი - ბაქტრიელების დასახლება, ო(პ) დაბოლოება სანსკრიტში სახელს კუთვნილების ფორმას ანიჭებს (რასაც ქართულ ენაში ნათესაობითი ბრუნვა შეესაბამება) და ხშირად ტოპონიმად აქცევენ მას. ასეთი ო(პ)ზე დაბოლოებული, ჩვენი აზრით, ინდური წარმომავლობის ტოპონიმები ხშირია ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე, მესხეთში, აჭარაში, გვხვდება ჩრდ. კავკასიაშიც, მაგრამ განსაკუთრებით უხვადაა აღმ. საქართველოს მთიანეთში.

„ბახტრიმ“ შეაღწია ქართულ ონომასტიკაშიც: ბახტურიძე, ბახტაძე, საბახტარიძე, ბახტარაშვილი (ბაქტრა ერქვა ბაქტრიის მთავარ ქალაქს).

საქართველოში დღემდე შეინიშნება, მაგ. მთარაჭულ დიალექტში, ოცობით თვლის არქაული ფორმები: შეიდოცი,

თხუთმეტოცი (ძიძიგური, 1970-202). მსგავსი დამახასიათებელი იყო ბაქტრიელთათვის. დემნა შენგელაია, განიხილავს რა ბაქტრია-ბალხსა და საქართველოს შორის წარსულში არსებული კავშირის ნიშნებს, აღნიშნავს, რომ „ბერძნულ-ბაქტრიული ოცობით თელა და ანგარიში ამ კულტურათა ოდინდელ მჭიდრო ურთიერთობას უსათუოდ გვაფიქრებინებს“ (შენგელაია, 1964:264,269,270).

ქართულ ზეპირგადმოცემებში, ტოპონიმებსა და ონომასტიკაში აღბეჭდილი ბაქტრიული კვალის ახსნა მხოლოდ იმ გარემოებით, რომ იგი დატოვეს საქარაენე გზას მოყოლილმა ბაქტრიელმა ვაჭრებმა, სარწმუნოდ არ გვეჩვენება. ჩვენი თვალსაზრისის მართებულობას ქვემოთ მოყვანილი შემთხვევებიც უნდა ადასტურებს.

ფშავ-ხევსურულ უძველეს სადიდებლებში, ლოცვებში ხშირად იხსენიება „მგზავრების პატრონი ბახტრის წმინდა გიორგი“ (ქსპ 1972:140,159,160) ასეთი სალოცავი ჯვარხატის მამული საქართველოში არ არსებობს. მგზავრების პატრონი ბახტრის – ბაქტრიის წმინდა გიორგი, გარდა იმისა, რომ „ხიდს დებს“ ბერძენ ავტორთა „ბაქტრიიდან გამოსულებთან“, იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ბაქტრია-პაროპამისადების სატრაპიიდან გამოსულთა რწმენით, იმ ურთულეს დროში, გრძელი და მძიმე გზა აღექსანდრე მაკედონელის ტყვეებისა ვერ დაიძლეოდა ზეციურთა მფარველობის გარეშე. აღნიშნულს უნდა უკავშირდებოდეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სპარსეთიდან ტყვეთა დამხსნელისა თუ გამომყვანის ხშირი ხსენება. მგზავრების პატრონი ბახტრის წმინდა გიორგის გარდა ეს ეხება სპარსეთიდან ტყვეთა დამხსნელ სპარსანგელოზსა და ლომისს. ორივე მათგანი, ისე როგორც მცხეთაში არიან-ქართლიდან მოსულთა მიერ აღმართული კერპი - გაცი, შივას კულტზე დაფუძნებული ღვთაებები ჩანან (წულუკიძე, 2007:44-66). ლომისს ხორასნიდან შეიდი ათასი ტყვე გამოუყვანია. ეს გადმოცემა არიან-ქართლელთა გამოსვლის ისტორიის კონტამინაცია უნდა იყოს. საქმე იმაშია, რომ ხორასანი, ფართო მნიშვნელობით, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი

არიანას კიდევ ერთი, სპარსული შესატყვისი სახელია: „არიანა, ანუ არია აღმოსავლეთ ირანის მხარის - ხორასნის ძველბერძნული სახელწოდებაა, რომელსაც ზენდ ავესტაში ჰქვია აროიუ, ხოლო დარიოს გისტაქსის წარწერებში არაივა“ (ენციკლოპედია, 1902:54).

„ხორასნის ლაშქრად ვიყავით ჩვენ, ლომნი ლომისისანი... (ქსპ, I.1972:139,348)

ეს ხალხური ლექსი გავგამელაზე სპარსთა ლაშქარში, ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ ომში მთიელ ინდოელთა მონაწილეობის ხსოვნას უნდა ინახავდეს. მთიან ინდოეთში შივას ეთაყვანებოდნენ (მერგაუტოვა, 1969:167). ინდური გადმოცემით, შივა ზის ეტლში, რომელშიც ათასი ლომია შებმული. აქედან უნდა იღებდეს სათავეს საქართველოში შივას მრავალთაგან ერთ-ერთი სახელი - ლომისი.

როცა არიან-ქართელები კავკასიისაკენ იძულებით მოემგზავრებოდნენ, იმ დროს არიანა-ხორასანი, ძველი ინდური ტერიტორიებითურთ და სპარსული ბაქტრიაც მაკედონელის მმართველობის ქვეშ იყო მოქცეული, მაგრამ მანამდე არიანა-ხორასანს 228 წლის განმავლობაში სპარსელები ფლობდნენ. ამიტომ, კონტამინირებულმა ხალხურმა გადმოცემამ შემოინახა სპარსეთ-ხორასნიდან ტყვეთა დახსნა და უკანე, სამშობლო საქართველოში მობრუნება. ის რომ წინაპართა სამშობლო ხორასან-არიანაში დარჩა, აღნიშნულ გადმოცემებში უკვე დავიწყებულა. ამასთან, როგორც ჩანს, ხალხის მეხსიერება მართლაც უკედავია, სპარსეთიდან გადმოსახლების ხსოვნა აქ 2300 წლის შემდეგაც ბეუტავს: „გოდერძაულები ძირად ირანიდან ყოფილან თათარი გამოქცეული, გოდერძი ჰქეივნებინავ და იმის გვარზე დაწერილან. მაშინ აქ არაეინ ყოფილა ხალხი, მემრეა აშენებული ეს ხატები, გოდერძის მემრე“ (ბარდაველიძე, 1974:184).

„იწუნ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსრულთანი და ენა მათი უწყით“, წერს არსენ ბერი (1971:47). მათი ენა ვიცით – არ უნდა ნიშნავდეს მაინცდამაინც ერთ ენაზე ლაპარაკს. ამ შემთხვევაში არსენ ბერს, როგორც

ეტკობა, მხედველობაში აქონდა სპარსული ენა. წარსულში ქართლში უცხო ენებიდან უპირველესად ეს ენა იცოდნენ, რაც განპირობებული იყო სპარსეთთან ტერიტორიული სიახლოვით, მრავალსაუკუნოვანი კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური კავშირით თუ სხვ. მართალია, არიან-ქართლიდან გამოსულები ინდოელები იყვნენ, მაგრამ ისინი გამოსულამდე დაახლოებით 230 წლის განმავლობაში სპარსთა სახელმწიფოში შედიოდნენ, თანაც ინდური და სპარსული ახლო მონათესავე, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ენებია. წარსულში ეს სიახლოვე უფრო გამოკვეთილი იქნებოდა.

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ეპოვე და ლექსად გარდაუთქვი...“, ამბობს რუსთაველი თავისი უკუდავი პოემის შესავალში. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტურ მსგავსებას ავლენს ინდურ ეპოს „რამაიანასთან“. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ „რამაიანა“ არიან-ქართლიდან გამოსულებად წოდებულმა ინდოელებმა გააერცვლეს საქართველოში. აღნიშნული ინდური ეპოსის ფრაგმენტები, ჩვენი დაკვირვებით, ეჭვმიუტანლადაა შემორჩენილი ქართულ ზეპირგადმოცემებში (რაც ასევე ცალკე მსჯელობის საგანია). აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტენდენცია, რომ თავისი ეპოქის უგანათლებულესი პიროვნება ამბობს: „ესე ამბავი სპარსული...“ ე.ი. უნდა ვიფიქროთ, არიან-ქართლიდან მოსულებს, იმ დროს სპარსეთიდან მოსულებად მიიჩნევდნენ.

უძველეს ქართულ ზეპირგადმოცემებში ხშირად ნახსენები ხორასანი, ხოროშანი და ხორეშანიც კი, ჩვენი დაკვირვებით, ხშირ შემთხვევაში, კავშირს ამუღავენებს არიან-ქართლელთა გამოსვლასთან დაკავშირებულ ისტორიასთან, ინდურ მითოსთან თუ სხვა. ხვეის კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარე ვულკანური მთის სახელწოდებაც - ხორისარი (ქსე, 11:501), დასაშვებია, თავიდან უღერდა როგორც ხორასანი. საქმე იმაშია, რომ მომთაბარე ინდოარიელები, როცა აღმოსავლეთისაკენ გადაადგილდებოდნენ, ახალ საბინადრო ადგილებს ძველ, შეჩვეულ სახელებს არქმევდნენ (რიგვედა, 1989: 441-442).

აღნიშნული ტრადიცია, როგორც ქვემოთ ვნახეთ, არ იქნა დაეიწყებული კავკასიაში გადმოსახლებულ ინდოარიელთა მიერაც.

მაკროტოპონიმი „ინდოეთი“ წარმოსდგება ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მდინარე ინდის სახელწოდებისაგან. თავად ინდის ნაპირზე მცხოვრებნი თავიანთ მხარეს სინდის უწოდებდნენ, სპარსელები პინდუს, ბერძნები ინდოსს, ხოლო აქ მაცხოვრებლებს ინდებს (ბონგარდ, 1985:7). სინდი, ისევე როგორც არიანას ინდური ტერიტორიები, დიდხანს იყო აქემენიდური სპარსეთის მფლობელობაში. სპარსული წყაროების მიხედვით, რაც დასტურდება პეროდოტესთანაც, სატრაპია პინდუ-ხინდუ (სინდი) მოიცავდა ინდის შუა და ქვემო წელში შემავალ რაიონებს და შესაძლოა მეზობელ მხარეებსაც (ბონგარდ, 1985:198).

აღექსანდრე მაკედონელის აქ ლაშქრობის შემდეგ, ძვ.წ. 326 წლიდან სინდი მის მმართველობაში გადავიდა. ხომ არ იყვნენ იბერიაში გამოსულ არიან-ქართლელთა შორის სინდებიც?

ორფიკულ „არგონავტიკაში“, ბერძნული წარმართული ეპიკური პოეზიის ერთ-ერთ უკანასკნელ ძეგლში, რომლის შეთხზვის თარიღად II-IV საუკუნეებია მიჩნეული, არგო ჩაუფლის პონტოს ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრებ ქართველურ, ასევე, მათ მეზობელ ტომებს, რომლებთან ერთადაც დასახელებულია „ხინდები“ (ურუშაძე, 1964:66.545). ბერძნები, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ინდებს (ხინდებს) უწოდებენ ინდისპირა სინდებს, სპარსელები ამ სატრაპიას უწოდებდნენ ხინდუს და ორფიკული „არგონავტიკის“ ანონიმურ ავტორს, ეტყობა, გააინდა რაღაც საფუძველი, რათა „ხინდები“ კოლხებთან თუ კოლხეთისაკენ მიმავალ გზაზე დაესახელებინა.

ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებში, თუ ლიტერატურულ ძეგლებში, მაგ. ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისაში“ (IX ს.), ასევე მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ (XII ს.) სინდს პქვია სინდეთი, იქ მაცხოვრებლებს

სინდები, ნახსენებია მაგ. „სინდთა მეფე“ და ა.შ. ვახტანგ მეფე და ამირანდარეჯანის ძეც ორთაბრძოლაში ამარცხებენ სინდთა მეფეს, მაგრამ არ კელავენ და ბოლოს მათ შორის მყარდება თბილი და მეგობრული ურთიერთობა. „მაშინ მეფე იგი სინდთა დაემოყურა ვახტანგს სიყვარულითა დიდითა...“, წერს ჯუანშერი (ქართლის ცხოვრება, 1955:195). აქედან ის დასკვნაც შეიძლება გაკეთდეს, რომ ისტორიული ქართული მენტალიტეტი წარსულში მათთან ნაომარ სინდებს მტრად კი არა, უფრო ახლობლებად მიიჩნევს. ისიც აღსანიშნავია, რომ ქართველები ინდისპირელებს მოიხსენიებენ სწორედ იმ ეთნონიმით, რასაც თავისთავს უწოდებდნენ სინდები. აღნიშნული, ჩვენი აზრით, მიუთითებს, რომ წარსულში სინდებს უშუალო კონტაქტი ჰქონიათ ქართველებთან, და დასაშვებია, რომ არიან-ქართლიდან გამოსულთა შორის სინდებიც ყოფილიყვნენ.

სინდი იკითხება ხევსურული გადმოცემის გმირის გვარში - სინდიურისძე. ამ გადმოცემასთან კავშირშია ხევსურეთში მდებარე მთა სახელწოდებით სინდიურისძის შალალი (კიკნაძე, 2007: 175-176). იგივე გადმოცემის სხვა ვერსიებში სინდიურისძეს სინდიურაი (ცანავა, 1991: 206) და ინდოურა პქვია (კოტეტიშვილი, 1961: 203), რაც ცხადყოფს ამ გვარის წარმომავლობის ინდურ სამყაროსთან, სინდთან კავშირს.

აჭარაში, რომელიც, ჩვენი აზრით, მდიდარია ინდური წარმომავლობის ტოპონიმებით, მაჭახლის ხეობაში მდებარე სოფელს პქვია სინდიეთი (ქსე, 9:370), და ამ სახელში ასევე იკითხება „სინდი“.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკმარისია იმისათვის, რომ ინდური სამყაროდან გამოსულ არიან-ქართლებთა შორის სინდების ყოფნის საკითხიც დაისვას. სამომავლოდ ამ საკითხში მეტი სიცხადის შეტანის შესაძლებლობაც, ჩვენი აზრით, არსებობს. მდინარე ინდის ქვემო წელში მცხოვრებ ბარელ სინდებს, ისევე როგორც მთიელ ინდოელებს, მიუხედავად საერთო ინდური წარმომავლობისა, ბედისწერისა (ჯერ სპარსთაგან შემდეგ ბერძენ-მაკედონელთაგან დაპყრობა),

გაანდართ ზოგი რამ, მხოლოდ თითოეული ამ მხარისათვის ნიშანდობლივი, რასაც ისინი გადმოსახლების შემთხვევაში მოიტანდნენ და გამოაქვდნენ იბერიაში. საჭიროა ამ განმასხვავებელი ნიშნების პოვნა... ჯერჯერობით, აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოდ გვესახება ორი საკითხი.

ანტიკური დროის ავტორთა ცნობებიდან, ასევე ეთნოგრაფიული გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის მთიან და ტყიან რაიონებში (ასეთი იყო პაროპამისადები), ძვ.წ. IV საუკუნეშიც შენარჩუნებული ჰქონდათ გვაროვნული თემის მეტად არქაული ტიპი. მაშინ, როცა ბარად, ქალაქებთან და სავაჭრო გზების გასწვრივ, მსგავსი აღარ შეიმჩნეოდა, უკვე ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუახანებიდან (ბონგარდ, 1985:293). ჩვენი აზრით, უძველესი ინდური თემებისა და აღმ. საქართველოს მთიანეთის, სვანეთის ძველი თემების შედარებითი შესწავლა მათ შორის ბევრ საერთოს გამოაჩენს.

ბერძენი მეგასტენესაგან, რომელიც ინდოეთში მაურთა სამეფო კარზე ელჩად იმყოფებოდა ძვ.წ. 311-302 წლებში, ჩვენ ვგებულობთ, რომ უკვე მაშინ მთიან რაიონებში ეთაყვანებოდნენ შივას, ბარად კი უპირატესობა ჰქონდა კრშნას, ვიშნუს ერთ-ერთ ინკარნაციას (მერგაუტოვა, 1969:167). თუ ამ ცნობას ჩვენს საძიებო ობიექტებზე გავაერცვლებთ, მაშინ გამოდის, რომ პაროპამისადებში მთიელი ინდოელები ეთაყვანებოდნენ შივას, ბარად კი, და ეს, რა თქმა უნდა, სინდეთიცაა, პატივს მიაგებდნენ ვიშნუს ინკარნაცია კრშნას. არიან-ქართლიდან გამოსულთა ნაწილში რომ შივაიტები, შივას მიმდევრები იყვნენ, აღნიშნულის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით, თუმცა ეს თემა არ ამოგვიწურავს (წულუკიძე, 2007:44). ასევე შენიშნული გვაქვს, რომ ქართული ზეპირგადმოცემების მეტად პოპულარული გმირის – ღვთისშვილ კოპალას მითოსური წინაპარი სწორედ უფალ ვიშნუს ინკარნაცია კრშნაა. კრშნას ერთ-ერთი სახელია გოპალა - „მწყემსების მფარველი“. განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთი ინახავს კრშნა-კოპალასთან დაკავშირებულ გადმოცემებს, თეონიმებსა და ტოპონიმებს (წულუკიძე,

2007:№1, №2). მსოფლიოში ცნობილი ინდური ეპოსი „მაჰაბჰარატა“ უფალ ვიშნუს (ქართვ. ლაშარის ჯვარი – ნ.წ.) ინკარნაციის, კრშნას აპოლოგიაა. როცა სინდურ უძველეს ლიტერატურულ ძეგლებზე საუბრობენ, უპირველესად, „მაჰაბჰარატას“ ახსენებენ, რომელიც უძველესი ზეპირგადმოცემებით, IX-X საუკუნეებიდან კი წერილობითაც შემოინახა უძველესმა ინდურმა მხარემ (ქსე, 9, 1985:371).

ეფიქრობთ, ძიება გამოავლენს, რომ ძველი ქართველები „მაჰაბჰარატას“ იცნობდნენ საოცრად კარგად, უნატიფეს ნიუანსებამდე (რაც ინდური რელიგიის ცოდნასაც ნიშნავს - ძველ ინდოეთში ლიტერატურა, რელიგია და მითოლოგია ერთი იყო). უძველეს ქართულ ზეპირგადმოცემებში, მითოსში შემონახული „მაჰაბჰარატას“ მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები სინდურ ვერსიასთან უფრო ახლოა თუ სხვებთან, ეს საკვლევეია.

„მაჰაბჰარატა“ იმ ფორმით, როგორადაც მან მოაღწია ჩვენამდე, დიდი ხნის განმავლობაში, ძე.წ. V საუკუნიდან ახ.წ. V საუკუნემდე ყალიბდებოდა. ინდუისტთა ბიბლიად წოდებული, ვრცელი - 18 წიგნისაგან შემდგარი ეპოსი ძველი ინდოეთის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროდაც ითვლება, მსგავსად ქრისტიანული ბიბლიისა. ისტორიკოსები „მაჰაბჰარატას“ მიხედვით იქმნიან წარმოდგენებს ძველი ინდოეთის სახელმწიფოებზე, ტომებზე და მათ შორის ურთიერთობებზე, სოციალურ სტრუქტურაზე, ცნობილ გეარებზე, სამეფო დინასტიებზე და სხვა. „მაჰაბჰარატა“, როგორც ისტორიული წყარო, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუნდაც ქართლი/საქართველოს სამეფო დინასტიების სათავეების კვლევისათვის მიიზიდავს ქართველ ისტორიკოსებს. ცნობილია მე-XII საუკუნეში მოღვაწე არსენ ბერის (მეტაფრასტის) სიტყვები: „...ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ [არიან-ქართლიდან გამოსულ] მეფეთა შვილის შვილნი არიან“ (არსენ ბერი, 1971:47). აღნიშნული საკითხების მკვლევართათვის, შესაძლოა, ინტერესის აღმძვრელი აღმოჩნდეს ჩვენი მცირე გამოკვლევა

„ბაგრატიონთა მითოსური წინაპარი „მაჰაბხარატადან“ (წულუ-კიძე, 2009: 38-47).

როგორადაც არ უნდა იწოდებოდნენ ძველი ინდური მხარეები და იქ მცხოვრებნი, მათ საერთო სამშობლოს ინდოეთი ერქვა და არიან-ქართლელთა გადმოსახლებათან დაკავშირებული ეს სახელიც ჩანს ქართულ ტოპონიმებში.

თუშეთში, წაროს თემსაზოგადოებაში შემავალი ძველი სოფლის სახელია ინდურთა (მაკალათია, 1933:20).

სამცხეში გვხვდება ტოპონიმი ინდუსა. მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილთან, „ინდუსას არის ხიდი მტკუარზედ“ (ქართლის ცხოვრება, 1973:666).

„ცხოვრება ვახტანგ გორგასალისაში“ ნახსენებია ტოპონიმი „ინდ“ ფუძით - ინდაბრიანთა. იქვე ქვემოთ ნათქვამია, რომ იგი მდებარეობს „შუა საზღვართა ქართლისათა“ (ცხოვრება...1981, 560-561).

პაროპამისადებს (პაროპამისოსს), რომლის სივრცეებშიც არიან-ქართლად წოდებული მხარის ნაწილს მოვიაზრებთ, შესაძლოა, უკვე მისახვედრი კანონზომიერებით, ბერძნები „ინდოეთის კავკასიონს“ უწოდებდნენ. სპარსელები მთელს მთათა სისტემას პინდიქუსს - „ინდოეთის მთებს“ ეძახდნენ. ამ მხრიდან კავკასიაში გადმოსახლებულმა ინდოელებმა, როგორც ჩანს, მშობლიური მთების სახელიც გადმოიტანეს ახალ სამშობლოში. კოპალასადმი მიძღვნილ ერთ ხალხურ ლექსში ნახსენებია „ხიდოტანი“. „ხიდოტან გადავიარე ყინელიან - მარახელიანი...“ (ოჩიაური, 1967:142). ასევე, ს. მაკალათიას თავის ეთნოგრაფიულ ნაშრომზე, „ხევი“ დართულ რუკაზე დატანილი აქვს ხიდოტანის მთები (მაკალათია, 1934), რაც, უნდა ვიფიქროთ, იგივეა, რაც „პინდოსტანის მთები“. ინდოეთის ამ ფორმით მოხსენიებაც უჩვეულო არ არის ქართული ზეპირგადმოცემებისთვის. „პინდისტანისა ქამხას ჰგეგხარ...“ ნათქვამია ხალხურ ლექსში და სხვ. (კოტეტიშვილი, 1961 : 57,118).

პაროპამისადებში მცხოვრებ ტომთა შორის ფარსებიც სახელდებიან. შესაძლოა, მათმა ხსოვნამ ქართული ტოპონიმით მაინც გამოაღწია, მათათუშეთში სოფლის სახელი ფარსმა.

ზემოთ აღინიშნა, მაკედონელის წინააღმდეგ, გაეგამელას ეელზე მთიელი ინდოელები მეზობელ, არიანელ არახოტებთან ერთად იბრძოდნენ. მეზობლობის, საბრძოლო თანამეგობრობის, თუ იმის გამო, რომ არახოტებიც (არახოსიელები) გადმოსახლდნენ კავკასიაში, არახოტიის - არხოტის სახელს ატარებს უღელტეხილი, მწვერვალი, ხეობა, მდინარე, სოფელი. პირიქითა ხევსურეთში მთავარი სათემო ღეთაება არხოტის ჯვარია (ქსე I, 1975: 618-619).

არიან-ქართლად მოაზრებული სიერციხის ნაწილი - პაროპამისადები თანამედროვე ავღანეთის ქაბულის მიდამოებია. მდინარე ქაბული (რიგვედაში კუბჰა, შემდეგ კოფენი) ინდის მარჯვენა შენაკადია. სახელი ქაბული, შესაძლებელია, შემოინახა სოფლის სახელმა ქობულომ, დუშეთის რაიონში. იგივე წარმომავლობისა შეიძლება იყოს ტოპონიმი ქობულეთი. ქობულეთმა, ერთადერთმა საქართველოში, შემოინახა პირდაპირი გადმოცემა ინდოეთიდან კავკასიაში, საქართველოში მოსულთა შესახებ (თანდილავა, 1977: 38-44). კელევა გამოაჩენს, რომ ამ ღეგენდას ინდურ მითოსურ-ისტორიულ გადმოცემაში აქვს ფესვები გადაღებული. მაგრამ ტოპონიმი „ქაბული“ რატომ უნდა ქცეულიყო ჩვენთან „ქობულად“? როგორც ჩანს, თავიდანვე ასე დამკვიდრდა. ვახუშტი ბატონიშვილიც მას სწორედ ამ სახელით იცნობს: „შაჰ-ისმაილ დაიპყრა სპარსეთი, ბალხი, ბუხარა და ქობული“ (ქართლის ცხოვრება, 1973:395).

გამყრელიძე-ივანოვის ცნობილი ნაშრომის მიხედვით, მდინარე ყუბანის (ირდ. კავკასია) და „რიგვედის“ კუბჰას (კოფენი-ქაბული) სახელწოდებებს ერთი წარმომავლობა აქვთ - უფრო ადრე წარმოიქმნა სახელი ყუბანი, შემდეგ კუბჰა და სხვა. აღნიშნული გამოკვლევის მიხედვით, ირდ. კავკასიაში შენიშნული სანსკრიტული დიალექტის ანაბეჭდი აიხსნა იმით, რომ იგი (სანსკრიტული დიალექტი) არიულ დასავლეთში

ჩამოყალიბდა და შემდეგ არიელთა მიერ ჩრდილო კავკასიის გავლითაც შეაღწია აღმოსავლეთში (გამყრელიძე, 1980: 917-919). ამჟამად, როცა არიან-ქართლელთა - ინდოარიანთა კავკასიაში მოსვლა იკვეთება, უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება საპირისპირო ვერსია: კოფენი-ყუბანი. ჩვენი აზრით, ინდოარიულ დიალექტზე მილაპარაკენი არ მოსულან მხოლოდ იბერიაში, ისინი განეფინენ კავკასიაში და კავკასიიდანაც.

პაროპამისადები ინდისპირეთს უკავშირდებოდა მდინარე ქაბულის გასწვრივ ხეობაზე გამავალი გზით (ხაიბერის ეს გასასვლელი ამჟამად ერთმანეთთან აკავშირებს ავღანეთ-პაკისტანს და ითვლება აზიის ერთ-ერთ საკვანძო საგზაო მონაკვეთად). გარდა აღნიშნულისა, მთიელ ინდოელებს აღმოსავლეთისაკენ გასასვლელი ჰქონდათ მდინარე ინდის მარჯვენა შენაკადებზე. მდინარე ინდის ამ მხარის შენაკადებისაგან „რიგვედაში“ ქაბულთან ერთად გეხდება მდინარეები კურამი (რიგვედის კრუმუ) და გომალი (გომათი) (რიგვედა, 1989: 442).

ჯერ კიდევ ველურ ეპოქაში, მდინარეებს ინდოეთში ადიდებდნენ ჰიმნებში, მათ უკავშირდებოდათ მითები და სხვ. თავად ქვეყანამ სახელი მდინარის სახელისაგან მიიღო. ინდოეთში ყველა მდინარე განღმრთობილია, მაგრამ ყველაზე წმინდად მაინც ის შეიდი მდინარე ითვლება, რომლებიც ჰიმალაებიდან იღებენ სათავეს (მერგაუტოვა, 1969:386-387). წმინდა დედამდინარეა ინდი. ინდოეთში, სადაც ყველაფერს მიეწერება ზემიწიერება და ღვთიურობა, შეუძლებელია არ განედიდებინათ კურამიც. წმინდა მდინარე ხომ მისი შენაკადებითურთ ერთი ღვთიური ორგანიზმია - მხოლოდ წმინდას შეუძლია ერთვოდეს წმინდას. თანაც კურამი ინდის მარჯვენა შენაკადია და ინდოეთში ისე როგორც საქართველოში, სასიკეთოდ და წარმატების მომტანად მარჯვენა მხარე ითვლება. როცა მომთაბარე ინდოელები ახალ საბინადრო სივრცეებში გადადიოდნენ, შენიშნულია, რომ გადაჰქონდათ მდინარეთა სახელებიც (რიგვედა, 1989:443) როგორღა მოიქცეოდნენ, სავარაუდოდ, ამ სივრცეებიდან იბერიაში გადმოსახლებული ინდოელები? ჩვენი აზრით, მათ გადმო-

ტანეს მდინარე კურამის სახელი და შეარქვეს აქ დედამდინარეს, რომელიც ცნობილია ორი ერთმანეთთან დაკავშირებული სახელით, მტკვარი და Kypa: კურამი-კურა. აღნიშნული თვალსაზრისის მართებულობას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ ჩრდილო კავკასიაში, სადაც აღბეჭდილია ძველი ინდური დიალექტის კვალი, საეარაუდოდ, არიან-ქართლებად წოდებულ ინდოარიანთა კავკასიაში მოსვლის დროდან, იმავე სახელწოდების მდინარე Kypa მიედინება და ნოღათის სტეპებში იკარგება. გასათვალისწინებელია, რომ ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსებიც (სტრაბონი, აპიანე, პლუტარქე) თავიანთ ნაწერებში მტკვარს წინა ასობგერების „მტ“-ს გარეშე, „კირ“, „კორ“, „კურ“ სახელებით მოიხსენიებდნენ.

ინდური მდინარის სახელი კურამი, ბოლო ასობგერების დაკარგვით, დროთა განმავლობაში, კავკასიაში, შესაძლოა, ქცეულიყო „კურად“. მაგრამ, თუ ასეა, როგორღა უნდა გაიხენილიყო მდინარის ძველ სახელწოდებაში – მტკურა, საწყისი „მტ“ ასობგერები, ხომ არ არის იგი მდინარის სახელს წამძღვარებული ასევე ინდური რომელიმე სიტყვის ნაწილი? ინდი ინდოეთის დედამდინარეა, საქართველოს დედამდინარედ კი მტკვარია ცნობილი. სანსკრიტზე სიტყვა „მატა“ აღნიშნავს დედას და იგი ზოგჯერ თან ერთვის ინდურ ღვთაებათა სახელებს. მაგ. შივას მეუღლის ერთ-ერთი სახელია ჯაგანმატა - „სამყაროს დედა“ (მითები, 2000: I, 360). დასაშვებია, ინდოეთიდან მოსულთა ზეობის ხანაში, საქართველოს დედამდინარის სახელი ჟღერდა, როგორც „მატაკურა“, რომლისგანაც დროთა განმავლობაში დარჩა. მტკურა – მტკვარი.

ძველი ქართველი ჟამთააღმწერლები მტკვარს „დიდ მდინარესაც“ უწოდებდნენ. „მაშინ წარვიდა მღვდელი იგი თავსა ზედა მდინარისა მის დიდისასა და მასთანა სიმრავლე ქრისტიანეთა“ (მოქცევა, 1964:184). მოვსეს ხორენაცსაც მოხსენიებული აქვს „დიდი მდინარე მტკვარი“ (ხორენაცი, 1984:141). გასათვალისწინებელია, რომ ტერმინი „დიდი“ შეიძლება გამოხატავდეს არა მხოლოდ ფიზიკურ სიდიდეს, იგი მტკვრის

ღვთაებრიობის გამომხატველი ეპითეტიც შეიძლება ყოფილიყო.

ინდოეთში მდინარეთა ერთმანეთთან შერთვის ადგილებიც წმინდად ითვლება, ამიტომაც აირჩევდნენ დიდი მდინარისა და არაგვის შერთვის ადგილს - მცხეთას, არიან-ქართლელები თავიანთ პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრად. უფრო დაწვრილებით ამ თემის განხილვა ამჟამად ვერ მოხერხდება. საქართველოს დედამდინარის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა პერიოდში გამოთქმული მოსაზრებანი ვერცლად აქვს მიმოხილული პროფ. გ. ბედოშვილს (ბედოშვილი, 2001:261-266). მისი გაცნობა, ვფიქრობთ, ჩვენი თვალსაზრისისადმი ნდობას განამტკიცებს. ინდური წარმომავლობის პიდრონიმების (და საერთოდ ტოპონიმების) კვლევა საქართველოში, თავის სპეციალისტებს ელის.

ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში „ფენჯაბში“ („ხუთმდინარეთი“) ინდის, მისი შენაკადების აუზში დაირწა ინდოეთის, მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ცივილიზაციის აკვანი, აქ შეიქმნა ვედები, რომელიც დღემდე ითვლება დიდ და ამოუწურავ საწყისად ადამიანის ცნობიერების გაფართოებისა და სამყაროს შეცნობის გზაზე. არიან-ქართლელები ინდოეთის სწორედ ამ სივრცეებიდან გამოვიდნენ. საქართველო ვედური კულტურის მემკვიდრეობასაც ატარებს, და ყოველი ინდოელისათვის წმინდა სიტყვა ვედა (სანსკრ. „ცოდნა“) არც აქ არის დავიწყებული. სვანეთში (მესტია, ხაიშის საკრ.) სოფლების სახელებია ზედა ვედი და ქვედა ვედი. იქვე მიუძინება მდინარე ვედური (ქსე, 10, 1986:509). სვანეთში, ახალი წლის პირველ დღეებში კუიმტარის დღესასწაულზე ოჯახის უფროსი მანდილოსანი, ლოცვისას, სხვა ღვთაებებთან ერთად ვედის ჯვარს ახსენებდა: „ჯვარო ვედისაო, შენ გვიშველე...“ (ბარდაველიძე, 1939: 176).

თავად არიანას - არიელთა ქვეყნის, თუ არიული ინდოეთის სახელი, ჩვენი აზრით, შემოინახა მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირას მთაზე შეფენილმა სოფელმა (დუშეთი, ეინვალის საკრ.) რომლის სახელიცაა არანისი, რაც, როგორც

ქართულად, ისე სანსკრიტზე ნიშნავს არიელების, არიანების საბინადროს, მოცემულ შემთხვევაში სოფელს. ნარიანი მრავლობითი, დასაშვებია, სანსკრიტიდან გადმოვიდა ქართულ ენაში (მრავლობითის ეს მაწარმოებელი, ჩვენი აზრით, ჩანს ძველ ინდურშიც) და იქნებ ამიტომაც, ძველ ქართულში იგი უფრო ხშირად გვხვდება. ასევე შედარებით იშვიათია ქართულ ენაში სახელთა ნათესაობითი ბრუნვის მწარმოებელი „სი“ ბოლოსართი, რომელიც სანსკრიტშიც იმავე ფუნქციის მატარებელი ჩანს. ასეთნაირად, ისეთი ტიპის ტოპონიმები, როგორცაა არანისი, ბიჯნისი, კრწანისი და სხვ. ისე როგორც მანგლისი, თუხარისი, ცხმორისი, წონიარისი (ბოლო ორი აჭარაშია) და სხვ. შეიძლება იყოს როგორც ქართული ისე ინდური წარმომავლობისა. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი დედაქალაქის სახელზე - თბილისი. ამ სახელში ფუძედ დევს ინდური ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი სიტყვა ტაპასი, რომელიც სანსკრიტიდან ითარგმნება როგორც „სითბო“, „სიცხე“, „ალი“. ინდურ მითოლოგიაში ტაპასი გამოხატავს კოსმიურ ცეცხლს, როგორც უნივერსალურ კოსმოგონიურ პრინციპს (მითები, II. 2000:494). სულხან-საბას მიხედვითაც, „ღმერთი გადმოითარგმნების ხელეად და წეად“ (სულხან-საბა, 1966, IV:253).

არიან-ქართლელთა გამოსვლის დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად მიმობნეული ინდური (და მცირერიცხოვანი, ისევე მათთან დაკავშირებული სპარსულ-ბაქტრიული) ძირის ტოპონიმები, ტოპონიმებად ქცეული ეთნონიმები, თეონიმები, ინდურ მითოსურ პერსონაჟთა სახელები, გარდა იმისა, რომ არიან-ქართლიდან გამოსულთა განსახლების კონტურებს გეიხაზავენ, მათი წინაპრების სამშობლო ინდოეთისკენაც მიგვითითებენ.

კელავაც ბევრია დასაზუსტებელი, ამასთან, უკვე ბევრი რამ მიუთითებს, რომ არიან-ქართლელები კავკასიაში, იბერიაში ინდური სამყაროდან მოვიდნენ. ჯერჯერობით იკვეთება, რომ ეს მხარეებია არიანაში შემავალი პაროპამისადები, შესაძლოა არახოტიაც, ასევე სინდჰი და ფენჯაბი. ინდოეთის

ეს უძველესი, ჩრდილო - დასავლეთი ისტორიული მხარეები აქემენიდურ სპარსეთს კქონდა დაპყრობილი, შემდეგ აქ ალექსანდრე მაკედონელმა დაამყარა თავისი მმართველობა და მცხოვრებთა ნაწილი ოჯახებითურთ გადმოასახლა კავკასიაში.

* * *

რატომ უწოდებს ჩვენი აზრით ინდური სამყაროდან გამოსულებს „მოქცევაი ქართლისაი“ არიან-ქართლებს? ეს ტერმინი ორი სიტყვისგან შედგება. პირველი სიტყვა „არიან“ ლოგიკურად გამოდის, რომ აღნიშნავს არიელ-არიანს, ინდოეთი, გამოსულთა სამშობლო არიული ქვეყანაა (ისევე როგორც ირანი). ამასთან, ვინც ტერმინი „არიან-ქართლი“ მოიფიქრა, იგი შესაძლოა „არიანს“ აკავშირებდა იმ არიანასთან, რომელშიც პაროპამისადები შედიოდა. მაგრამ ამით არსი არ იცვლება. არიანა ნიშნავს არიელებით დასახლებულ ქვეყანას, არიანთა სამეფოს. გ. მელიქიშვილიც, ცნობილია, რომ არიან-ქართლში არიული ქვეყნის, ირანის მფლობელობაში მყოფ ქართლს გაიაზრებდა (მელიქიშვილი, 1965:16).

გასარკვევია ტერმინ „არიან-ქართლის“ მეორე შემადგენლის – „ქართლის“ მნიშვნელობა. ჩვენი ერის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი ამ მაკროტოპონიმის ეტიმოლოგიის არიან-ქართლთან დაკავშირების მცდელობა ახალი არაა, მაგრამ ძიების კონკრეტული მიმართულებით წარმართვას შეუძლებელს ხდიდა არიან-ქართლის მიუგნებლობა. სიტყვა „ქართლი“ რომ უცხოენოვანი სამყაროს კუთვნილება შეიძლება ყოფილიყო, ამის დაჯერებაც ჭირდა (ბედოშვილი, 2001:42). რაკი, ჩვენი აზრით, არიან-ქართლები ინდური სამყაროდან მოვიდნენ, ინდურმა ენამ უნდა აგვიხსნას სიტყვა „ქართლის“ მნიშვნელობა, რომლის ეტიმოლოგიაც დადგენილად არ ითვლება.

აღნიშნული თვალსაზრისით, საყურადღებოდ გვეჩვენება მეფეთა დამსხმელთა ინდური ინსტიტუტი და მისი სახელწოდება. ძველ ინდოეთში მეფობა მემკვიდრეობით არ გადა-

დიოდა. მეფეს - რაჯას ირჩევდნენ სახალხო კრებაზე - „სამიტზე“. სამეფო ტახტის პრეტენდენტს, რომელიც აუციელებლად ქშატრიათა - მეფეთა და მეომართა კასტიდან გამოსული მამაკაცი უნდა ყოფილიყო (ყველა ქშატრიას პქონდა მეფობის უფლება, ითვლებოდნენ, ასე ვთქვათ, უფლისწულებად), მეფედ დასახმის ცერემონიაზე ძალაუფლების სიმბოლოს - ყელსაკიდს გადასცემდნენ გავლენიანი თანატომელები, მაღალი თანამდებობის მქონე ქშატრიები და თერთა მამასახლისები, რომელთაც რაჯაკარტარები - „მეფის შექმნელები“ ერქვათ (ბონგარდ, 1985:155).

მეფის აღმნიშვნელი ინდური სიტყვები - რაჯა და მახარაჯა (დიდი მეფე) საქართველოში უნდა სცოდნოდათ. რაჯა-შვილი, მაღაროსკარის თერთა გვარების ჩამონათვალში მოხსენიებული აქეს ს. მაკალათიას (მაკალათია, 1984:13). დუშეთის რაიონის ანანურის საკრებულოს სოფ. ციხისძირში კი სახნავე მამულს პქეია სამახარაჯოები (ხორნაული, 1974:59). როგორც ეტყობა, ინდოარიანთა ზეობის პერიოდში საქართველოში მეფე მახარაჯად იწოდებოდა, და მის კუთენილ მამულებს სამახარაჯოებს უწოდებდნენ.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ძველ ქართლშიც მეფობა, ისევე როგორც ძველ ინდოეთში, მემკვიდრეობით არ გადადიოდა (ჯავახიშვილი, VI, 1982:157-158). სტრაბონის სიტყვებით, რომ იბერიაში „მეფეებს სხამენ მახლობლისა და ასაკის მიხედვით...“ (ყაუხჩიშვილი, 1976:150), გულისხმობს მეფის ასარჩევად სახალხო კრების მოწვევას, ინდური რაჯაკარტართა შესატყვისი ინსტუტუტის არსებობას, რომელიც სამეფო ტახტისათვის უმაღლესთა გვარიდან ღირსეულ კანდიდატურას შეარჩევდა, ხალხს წარუდგენდა და მათი თანხმობის შემთხვევაში ძალაუფლების სიმბოლოებს გადასცემდა, მეფედ დასახამდა. „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, ქართლის პირველი სამეფო არიან-ქართლელებმა შექმნეს: „და ესე იყო პირველი მეფე მცხეთასა შინა, აზოი, ძე არიან ქართლისა მეფისა...“ (მოქცევა, 1964:81). კონსერვატიზმით, ტრადიციების ერთგულებით ცნობილი ინდოელები, უნდა ვიფიქროთ, ახალ

სამშობლოში პირველ მეფეს - მახარაჯას ინდური წესით, რაჯაკარტარების მეშვეობით და კურთხევით დასვა მდნენ.

ქართების ტომის ნაცვლად, რომლის შესაძლო არსებობაც ჯერჯერობით ვარაუდების სფეროს ვერ გასცდა, უფრო მართებული ჩანს ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. IV ს. ბოლო მეოთხედიდან იბერიაში ჩნდებიან არიან-ქართლებად წოდებულ ინდოარიანთა მიერ დამკვიდრებული რაჯაკარტარები, რომელთაც მცხეთაში პირველი მეფე დასვეს და ამ აქტით შექმნეს სამეფო. ქვეყანა რაჯაკარტარების, საზოგადოების ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ფენისაგან შეიქმნა, და ამიტომ სახელიც მათგან დაირქვა. დროთა განმავლობაში ამ სახელის პირველი შემადგენელი სიტყვა „რაჯა“ დაიკარგა, (წვეულებრივი მოვლენა ამ ტიპის სახელებისათვის) დარჩა „კარტარი“ (სანსკრ. შექმნა, კეთება, შემოქმედება). „კარტარი“ / „კარტარებისაგან“ ადვილად შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ეთნონიმი „ქართელი“, სამეფოს სახელი „ქართლი“ (აღნიშნულ თემაზე დაწვრილებით იხილეთ „რაჯა-კარტარები და არიელთა კავკასიური მოდგმა“ (წულუკიძე, 2007 :№1, №2).

ინდური სიტყვა კარტარისაგან მაკროტოპონიმ „ქართლის“ წარმოშობის შესაძლებლობას ისიც შეიძლება უმაგრებდეს მხარს, რომ ინდოეთში არსებობდა მსგავსი სახელის ქალაქი კარტრიპურა - „ქართლიქალაქი“ (ბონგარდ, 1985: 418).

იგივე თვალსაზრისით, საგულისხმოდ გვეჩვენება მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომლის მიხედვითაც, სომეხთა მეფე ვალარშაკმა, წარმომავლობით ქართველმა, ძვ. წ. დაახლოებით III ს. მეორე ნახევარში, ბაგარატ/ბაგრატიონს და მის ნაშიერს უფლება მიანიჭა ყოფილიყვენენ არშაკუნთა სამეფო გვირგვინდამრქმელნი (ხორენაცი, 1984:102), რაც ახლოა რაჯაკარტარების ფუნქციასთან. ცნობილი თვალსაზრისით, ბაგრატიონები, ძველი ქართლის სხვა მეფეებთან ერთად, არიან-ქართლის მეფეთა შთამომავლებად ითვლებიან (არსენ ბერი, 1971:47). აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ბაგრატიონები წარმომავლობით ინდოელი ქმატრიები არიან (წულუკიძე, 2009:38-47).

ვალარშაკმა, სავარაუდოდ, იცოდა რა ბაგრატიონთა წარმომავლობისა და „მეფეთა შემქნელების“ ინტიტუტის შესახებ. ეს წესი, როგორც არშაკუნიანთა მეფობის განმამტკიცებელი რიტუალური ატრიბუტი, თავისი კორექტივებით გადმონერგა მეზობელი „ქარტალების“ - ქართლის სამეფოდან. გვირგვინდამრქმელად ამ საქმეში ჩახედული ბაგრატიონი მოიწვია. წარმომავლობით ინდოელი ქშატრია - მეფეთა და მეომართა კასტიდან.

შეგვიძლია ვისაუბროთ ეთნონიმ ქართველის ინდური სამყაროდან წარმომავლობის კიდევ ერთ, თავისი არსით საქართველოში კარგად ცნობილ ვერსიაზე, რომელიც მეცნიერთა უმეტესობისაგან ჯერჯერობით უარყოფილია, რადგან მწიგნობრულ გამოწავლით არის მიჩნეული. ამ თემას შორიდან უნდა მიუეხლოდეთ.

ინდოელი ვედანტიკის სვამი პრაბჰუპადას ცნობით: „აბჰირები უწინ ქშატრია მეფეები იყვნენ რომლებიც ბრამანულ კულტურას მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ მათ გაწყვიტეს ეს კავშირი. ქშატრიები, რომელთაც პარაშურამასი შეეშინდათ და კავკასიონს შეაფარეს თავი, მოგვიანებით აბჰირებად გახდნენ ცნობილნი...“ პრაბჰუპადა მათ პროინცია სინდის მცხოვრებლებად მიიჩნევს (შრიმად ბჰაგავატამი, 1992:195).

პრაბჰუპადას ეს მითოლოგიზებული ცნობა არიან-ქართულთა კავკასიაში მოსვლას უნდა ეხმიანებოდეს. ვედანტიკი აქ სპეკულაციას არ ეწევა იმ ფაქტით, რომ კავკასიაში მეცნიერებმა ძველინდური დიალექტის კვალი აღმოაჩინეს. ისტორიული წყარო - „მაჰაბხარატა“, რომელსაც ბრაბჰუპადა ეყრდნობა, ჩვენი აზრით, სიმართლეს აირეკლავს. მის მიერ ხსენებულ ინდურ მითში ჩაღრმავება აელენს - ქშატრიათა კავკასიაში გადმოხვეწის მიზეზი შექმნეს მთელი დედამიწის მპყრობელმა, გასხივოსნებულმა მეფემ, არჯუნა კარტავირიამ და მისმა შვილებმა. კარტავირიას ქართულ მითოსშიც ეძებნება შესატყვისები, რომელთაც, ინდური ტრადიციისამებრ, სხვადასხვა, საკმაოდ ცნობილი სახელებით ვიცნობთ, მაგრამ ერთმანეთთან აღარ ვაკავშირებთ. თუ შევეცდებით ამ

მითოსური გმირების ერთ სახელში მოქცევას, ეს „ქართლის ცხოვრების“ მითოლოგიური გმირი, ქართველთა ეთნარქად მინიჭებული ქართლოსია, ჩვენი აზრით, იგივე თეთრი გიორგიც (არჯუნა სანსკრიტზე „თეთრის“ აღმნიშვნელია). კარტავეირია იბერიაში გადმოსახლებული ქშატრიების ნაწილის - ვიშნუს მიმდევართა (ლაშარის საყმო - ნ.წ.) ტომის მფარველი ღვთაება უნდა ყოფილიყო.

სამოქალაქო ომში გამარჯვებულმა ფარნავაზ მეფემ „ქმნა კერპი დიდი სახელისა თვისისა არმაზ . . . და აღმართა საფლავსა ზედა ქართლოსისასა, გაცის და გაიმს კერპთა შორის“ (ქართლის ცხოვრება, 1973:58). საპირისპირო ქმედება უფრო მოსალოდნელი იყო, დამპყრობლებზე გამარჯვებულმა ფარნავაზმა კი მათ ღვთაებებს, გაცსა და გაიმს ხელი არ ახლო, საკუთარი - ქართლელთა მამამთავრის საფლავი კი იავარპყო. ასეთი გაუგებარი ქმედება იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ „მამულად ქართლელმა“ - იბერიელმა ფარნავაზმა უცხოელთა ტომის ღვთაების, კარტავეირიას სალოცავი „მოთხარა“, უფრო მაღალი იერარქიის ღვთაებები გაცი და გაიმი კი დატოვა. ისინი ნაკლებად აწუხებდა, თანაც მის მხარეზე გადმოსულ აზოს მხედრებთან კეთილი ნების გამოსახატავადაც სჭირდებოდა. ხოლო თუ არსენ ბერის მინიშნება ქართველ მეფეთა წინაპრების არიან-ქართლიდან გამოსულობაზე სიმართლეა, მაშინ ახსნა ასეთი იქნება: თავადაც არიან-ქართლელთა მოდგმის, ესე იგი ინდური წარმომავლობის ფარნავაზმა, შივაიტმა, ვიშნუიტთა ტომის მფარველი ღვთაების კარტავეირია/ქართლოსის საფლავი თუ სალოცავი მოთხარა და თავად დაიჭირა მისი ადგილი - მფარველ ღმერთებს გაცსა და გაიმს (შივასა და კალის) საკულტო გამოსახულებებს შორის დაიმკვიდრა ადგილი.

თქმულება ქართლოსზე არ არის მთლიანად ლიტერატურული გამონაგონი, როგორც ეს დღეს მეცნიერთაგანაა მინიჭებული. თუმცა იგი, მიზეზთა გამო, რაზედაც ქვემოთ ვიტყვი, ძირფესვიანად გადაკეთებულია. კარტავეირია-ქართლოსის მითი ცოცხლობს ჩვენამდე მოღწეულ ქართულ

წარმართულ წარმოდგენებში, მას მხოლოდ შემჩნევა, გახსენება სჭირდება. ამისათვის, უპირველესად, იმის გათავისება საჭირო, რომ ქართული მითოსის ფესვები მნიშვნელოვანწილად ინდურიცაა. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ინდური სამების წევრ ვიშნუს და მის ინკარნაციებს ქართულ ზეპირგადმოცემებშიც კვავთ შესატყვისები. ესენია: ლაშარი, კიშა, კოპალა, იახსარი, ნაწილობრივ - ბერი სამება (ინდ. მითოსის დათატრეია) და სხვებიც.

ვიშნუს მიერ უძლეველობით დაჯილდოვებული, მსოფლიოს მპყრობელი, გასხივოსნებული კარტაეირია ბოლოს მისივე მწყალობელი უფლისაგან (ვიშნუს ინკარნაციისაგან) დაისაჯა, რადგან აღთქმა დაარღვია, ღვთის გზას გადაუხვია, გაამპარტავანდა და დაეცა. თუ შეიძლება ვილაპარაკოთ ქართული მითოსის გმირის, ამირანის დიდ სიახლოვეზე რომელიმე სხვა მითოსურ გმირთან, ეს უპირველესად ინდოელთა არჯუნა კარტაეირიაა, მსგავსება-სიახლოვე ზოგჯერ მქლავნდება ცალკეულ დეტალებშიც კი.

საგულისხმოა, რომ მართლმადიდებელთა შორის კარგად ცნობილ არქეტიპულ ფორმულას - ანტიქრისტე საქართველოში ტახტს ვერ დაიდგამს - საფუძველს ქართველთა ეთნარქისა და მფარველი ღვთაების კარტაეირია - ქართლოსის მითიც უქმნის. კარტაეირია, ინდური გადმოცემის მიხედვით, ერთადერთია მიწიერ ადამიანთა შორის, რომელმაც დაამარცხა ბოროტების უდიდესი ხორცშესხმა - რავანა, იგივე სატანას და შაითანის ინდური შესატყვისი.

კარტაეირია/კარტაეირიელებისაგან ეთნონიმ ქართველის, ქვეყნის სახელის წარმოქმნის შესაძლებლობა დაახლოებით იმავე ჭრილში გვესახება, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებაში“ ქართლოსთან დაკავშირებულ გადმოცემაშია ახსნილი. ასეთი შეხედულებაც განსაკუთრებულ სიახლეს არ წარმოადგენს. ბოლო წლებში, მკვლევარი გ. ბედოშვილიც თვლის, რომ ეთნონიმი ქართველი მიღებულია ეთნარქ ქართლოსისაგან (ფუტკარაძე, 2005:164). ტ. ფუტკარაძე, ავტორი წიგნისა „ქართველები“, მიიხსენებს, რომ ქართველთა ისტორიულ

მეხსიერებაში ქართველთა თვითსახელწოდება, და ქვეყნის სახელი, შეიძლება დიდი ღმერთის სახელისაგან მომდინარეობდეს (ფუტკარაძე, 2005:170.174).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ინდური სიტყვა კარტარი („შემქნელი“, „შემოქმედი“), ან ტომის მფარველი ღვთაების გვარი კარტავირია, შესაძლოა ერთიცა და მეორეც, ქართლი/ქართლელი/ქართველის საფუძველში დევს. ერმა და ქვეყანამ სახელი მოსული ინდოელი რაჯაკარტარებისაგან თუ კარტავირიელებისაგან დაირქვა. არსენ ბერი, როგორც ჩანს, ეყრდნობოდა სწორედ აღნიშნულს, თავს მიიჩნევდა არიან-ქართლიდან მოსულთა შთამომავლად, როცა წერდა: „ჩვენ, ქართველნი, შვილნი ვართ მათ, არიან-ქართლით გამოსრულთანი“. „ქართლის ცხოვრების“ ავტორს თურედაქტორს, თავის მხრივ, იბერიელთა პოზიცია აქვს გამოხატული ჩვენი წინაპრები ამ მიწაზე სახლობდნენ უხსოვარი დროიდან.

მოსულ არიან-ქართლელთა და დამხვედურ, კავკასიის უძველეს მკვიდრ იბერიელთა - ეს ორი თვალსაზრისი ასახულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

* * *

მოსული ინდოარიელები საუკუნეთა განმავლობაში შეერწყნენ იბერიელებს, ინდური ენაც თანდათან დაივიწყეს, მაგრამ იგი უკვალოდ არ გამქრალა. მარი ბროსე ფიქრობდა, რომ ქართული „დაკავშირებულია ძველ ინდიურ, ანუ სანსკრიტულ ენასთან“ (ბროსე, 1998:19-20).

ენათმეცნიერების ფუძემდებლად მიჩნეული გერმანელი აკადემიკოსი ფრანც ბოპი თვლიდა, რომ ქართული და ლაზური (ჭანური) საოცარ მსგავსებას ამჟღავნებენ სანსკრიტთან. ეს მსგავსება, მისი აზრით, დასტურდება სახელების ბრუნვაში, შედარების ხარისხში, ნაცვალსახელებში, ზმნებში და სხვ. (ბიბიგური, 1982:165).

ეს თემა დღეს აღარაა აქტუალური, მაგრამ ზოგჯერ მივიწყებული თეორიები ახალ სიცოცხლეს იძენენ. ჩვენი

აზრით, დიდი ალბათობით, არიან-ქართლის საკითხთან კავშირში უნდა აიხსნას ჩრდილო კავკასიაში, ჩრდილო შავი-ზღვისპირეთსა და კასპიისპირეთში მეცნიერთაგან შემწნეული სანსკრიტული დიალექტის კვალი, რომლის წარმოქმნის დრო და ვითარება დადგენილად არ ითვლება. ისე, ჩანს, ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ძველთაგან მომდინარე ძმობა, ეთნოლოგიური, ლინგვისტური სიახლოვე ინდოარიული ძაფითაცაა ნაკერი.

უძველეს ქართულ ზეპირგადმოცემებში, ჩვენი დაკვირვებით, ინდოეთი ყველა სხვა ქვეყანაზე ხშირად იხსენიება. ცხოველთა სამყაროს ეგზოტიკური წარმომადგენლებიც, ასე ვთქვათ, ბიოლოგიური მიმითებლები: ვეფხვი, ღოში, ამირანის თქმულების სხვადასხვა ვარიანტებში არაერთხელ ნახსენები სპილო, ასევე ცალარქა-მარტორქა, ტერმინი „სპილოტანი“, მცენარეების, ღობიოს ინდური სახელიც „ლუბია“, თუ სხვა ცხელი ქვეყნისაკენ, უკვე ჩანს, ინდოეთისაკენ უნდა წარმართაედეს ჩვენს ყურადღებას.

მატერიალური კულტურის ძეგლთაგან, ცნობილია, რომ სვანეთში, „მულახის ღვთისმშობლის ეკლესიის ხის ფალოსი, ლითონისა და ქვის კვირისტავეები ძლიერ ემსგავსება შაქტის ძველინდური ფალოსის კულტის ატრიბუტებს“ (გელოვანი, 1983:494).

სარიტუალო ლუდის სახარში ფშაე-ხევსურული ქვაბი ზუსტად იმეორებს ინდოეთში, ფენჯაბში გავრცელებული შაქრის სახარში ქვაბის ფორმას (ქხ.პ.1, 1972:323).

მესხეთში მიგნებული მოზეინული მიწის პირამიდების, პირამიდული ფორმის საცხოვრებელი დარბაზები, ასევე, აღმ. საქ. მთიანეთის წარმართულ სამლოცველოთა საფეხურებიანი პირამიდული ფორმები კვავს ინდურს, სადაც საკულტო ნაგებობათა განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენს საფეხურებიანი პირამიდები სიდიდით მიწის პატარა ბორცვაკიდან ქვის დიდ ნაგებობამდე (რატცელი, 1902:618). ინდური კვალი უნდა ჩანდეს სვანეთის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, მოსაზღვრე ჩრდ. კავკასიელთა საკულტო ნაგებობებში, შემორჩენილ

წარმართულ საკულტო სარიტუალო ნივთებში, საქართველოს, ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე მოპოვებულ უძველეს ნუმიზმატურ ნიმუშებში.

წარმომავლობადაუდგენელი რიგი წარმართული ქართული რელიგიური რიტუალების, წესწვეულებების (წაწლობა-სწორფრობა, ხატობები, მიცვალებულებთან დაკავშირებული რიტუალები, მოკლული ვეფხეის დატირება და სხვა) კვლევას, ჩვენი აზრით, ასევე ძველ ინდურ სამყაროში შევყავართ (წულუკიძე, 2007, №1, №2).

ინდოელთათვის დამახასიათებელია მიცვალებულთა დაწვა - კრემაცია. ძველ საქართველოში ძირითადად ხდებოდა მიცვალებულთა დაკრძალვა - ინჰუმაცია. ამასთან, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, უძველესი სამაროვნების შესწავლისას, დადგენილია კრემაციის ფაქტებიც. თანაც შენიშნულია, რომ ინჰუმაცია და კრემაცია თანაარსებობენ გვერდიგვერდ, ერთ სამაროვანზეც კი. ასეთია, მაგალითად, ბრილისა და გვიანანტიკური სამაროვანი წებულდაში (ნარკვევები, I, 1970:683). ინჰუმაცია და კრემაცია გვერდიგვერდ, ჩვეულებათა ასეთი სინთეზი შენიშნულია პინდიქუშის მცხოვრებთა ერთ ნაწილშიც (იეტმარი, 1986:309). კრემაცია დამახასიათებელი იყო ძველი ელინებისათვის, ჩრდილო ევროპელებისათვის, განსაკუთრებით ინდოელთათვის. ზემოაღნიშნული, საქართველოში გამოვლენილი კრემაციის ფაქტები შეიძლება მიუთითებდეს მოსულ ინდოარიანთა შთამომავლების და ადგილობრივ მკვიდრთა ტრადიციების უკონფლიქტო თანაარსებობაზეც.

გარდაცვალების შემდეგ დედამიწაზე კვლავ დაბადების რწმენა დამახასიათებელია სხვადასხვა კულტურისათვის, განსაკუთრებით გამოკვეთილია იგი ინდურ რელიგიებში. დასაშვებია, მოსულ ინდოარიელთა ზეგავლენით, რეინკარნაციის იდეა გავრცელდა ქართულ წარმართობაში, სადაც: „ახლად დაბადებული, გარდაცვლილი წინაპრის ავატარას წარმოადგენდა... ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი შეხედულებით, სულების განსაზღვრული რაოდენობა მუდმივად

ხორციელდებოდა ყოველ თაობაში. მიცვალებული ადამიანის სული მგებრთა დახმარებით მიდიოდა სულთა ქვეყანაში (სულეთში)... მაგრამ შემდეგ კვლავ უკან ბრუნდებოდა სამზეოში და ახლად დაბადებულში ხორციელდებოდა“ (ბარდაველიძე, 1949: 154-155).

საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებული აშკარად არაქრისტიანული, ნებსით გლახაკობის ჩვეულებაც, როცა საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლებიც უარს ამბობდნენ პრივილეგიებზე, ოჯახზე და გლახაკობით ირჩენდნენ თავს, იგივე შინაარსის მატარებელი ინდური სანიასინობის რელიგიური ტრადიციიდან უნდა იღებდეს სათავეს. მანუს კანონებით ნებადართულია: „იმათხოვროს იმღენი, რაც ეყოფა თავის სარჩენად“ (ნადირაძე, 2005:52).

ინდური საზოგადოების უნიკალური სისტემაც, ოთხი კასტა, ჩვენი აზრით, დიდი სიახლოვეს ავლენს ძველი იბერიის საზოგადოების ოთხ გვართან, რომლის შესახებაც ცნობები სტრაბონმა შემოგვინახა (წულუკიძე, 2007: №1).

თუმცა ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი, ჩვენი აზრით, ქართულ მითოსში ყველაზე ვრცელი პლასტი ინდოარიულია. ქართულ წამართულ ღვთაებათა უდიდესი ნაწილი ინდური წარმომავლობისაა (წულუკიძე, 2007: 44-66). ინდოელი ვედანტიისტი პრაბჰუჰადა წერს, რომ კავკასიაში გადმოხვეწილი ინდოელები, ქმატრიები „ბრამანულ კულტურას მიეკუთვნებოდნენ“ (შრიმად ბჰაგავატამი, 1992:195). ბრამანიზმი ედებზე დაფუძნებული რელიგიაა. იგი საქართველოში ვერც ძალით გავრცელდებოდა და ვერც დიდი საქარაენე გზით შემოსულ ინდოელ სასულიეროთა მისიონერული მოღვაწეობით. საქმე იმაშია, რომ ინდოელები თავიანთ რელიგიას არავის ახვევდნენ თავს, მით უმეტეს – არაინდოელებს, მიანდნათ, რომ უცხოელები - მღვწეები (წარმართები, ბარბაროსები) არ იმსახურებდნენ „ორგზის შობილთა“ რელიგიით გაკეთილშობილებას.

თავად ინდოელი დაბალი ფენის წარმომადგენელი, შუდრა სასტიკად ისჯებოდა, თუ ვედების კითხვას მოუსმენდა, ხოლო

თუ ვედების ციტირებას დაიწყებდა, ენას აჭრიდნენ. ასევე ითვლებოდა, რომ ბრაჰმანი, რომელიც გადაწყვეტდა შუდრებისათვის ვედების სიბრძნე გადაეცა, თავისთავზე იღებდა უდიდეს ცოდვას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში ვედებზე დაფუძნებული რელიგიის შემოდწევა და დამკვიდრება განპირობებული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ერთით – აღნიშნული რელიგიის მიმდევარ ინდოელთა დიდი ჯგუფის გადმოსახლებით.

* * *

კავკასიაში შემონახული ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური გააზრებების, ტრადიციების შესახებ, შესაძლოა, იცოდნენ ჯვაროსანთა ეპოქის ევროპაშიც.

ზეიად გამსახურდია, როცა საუბრობს ეშენბახის "პარციფალზე", შენიშნავს, რომ "მას კონკრეტულად აქვს მითითებული კავკასიის მთიანეთი, კავკასიის ქედის მიმდებარე ქვეყანა, როგორც წყარო მისტერიალური კულტურისა და მეფე ხუცეს იოანეს სამკვიდრებელი, რომლის სახელმწიფოშიც არის სულიერი სიბრძნის კერა, რომელსაც, სხვათა შორის, ჯვაროსნები სულიერ ინდოეთსაც უწოდებდნენ" (გამსახურდია, 1991:213).

უძველეს რწმენა-წარმოდგენებში, მითოსში ჩაწნული ქართული ფილოსოფიის ფესვები, მნიშვნელოვანწილად, მართლაც ინდურია, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ჩვენი უძველესი სულიერი კულტურის ძეგლების სრულად შესწავლა და გააზრება.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვეყნის უმთავრეს მითს მიემართოთ, რატომ ეძებს ყამარს ამირანი ზღვას გაღმა, რატომ ეუბნება თავის ძალმძიმეულ ნათლულს ღმერთი: "...ზღვას გაღმა გაეხეხები?"

ინდურ მითოლოგიასა და რელიგიურ-ფილოსოფიურ გააზრებებში ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა პარამითა. მეცნიერები მის არსს ხსნიან სიტყვით "სრულყოფილება". მისი ტიბეტური

ექვივალენტი ითარგმნება, როგორც "გაღმა ნაპირზე გასული", ის, ვინც ნირვანას აღწევს (მითები, 2000:2285). ბუდიზმში მას პქეია პრაჯნია-პარამითა – „სრულყოფილი სიბრძნე“.

ინდუიზმში ეს რძის ოკეანის დღეების დროს ოკეანიდან ამოსული ვიშნუს მეუღლე ლაკშმის ძიებაცაა (მითები, 2000:271), რომლის ერთ-ერთი სახელია კამალა. ლაკშმი-კამალას ორი ინკარნაცია, სიტა და დრაუპადი ამირანის ძიების მიზნის, ყამარ/კამარის მითოსურ პროტოტიპებს წარმოადგენენ.

ზღვას გაღმა მეოფ ყამარზე თხრობისას ქართული ზეპირგადმოცემები მუდამ რაღაც ტკბილზე მიუთითებენ:

"ყამარ ქალ გამოვიყვანო, ამომავალი მზე ვითა,

თან ღვინო გამოვადევნო, ტკბილია დედის რძე ვითა"
(ნიქოვანი, 1947:283).

"თან ყურძენ გამოვაყოლო, ტკბილია დედის რძე ვითა"
(ნიქოვანი, 1947:320).

"ტკბილია დედის რძიანი..." (ნიქოვანი, 1947:328), და ა. შ.

დედის რძესავეთ ტკბილი ღვინო, ყურძენი და თავად ძიების მიზანი, ტკბილი ყამარი... როგორც წანს, ასე მოაღწია ჩვენამდე ინდურ ფილოსოფიაში ადამიანის უმაღლესი მიზნის - ნირვანის სანეტარო სიტკობების განცდის გააზრებაში.

მაგრამ რითაა გამოწვეულ ყამართან დაკავშირებით ასე ხშირად რძის ხსენება, "ტკბილია დედის რძიანი" და სხვა? აღნიშნული იმით უნდა აიხსნას, რომ ყამარის ინდური მითოსური პროტოტიპების დედაქალღმერთი ლაკშმი-კამალა რძის ოკეანიდან ამოვიდა, როცა ამრიტის მოსაპოვებლად ღმერთები და მათი მოწინააღმდეგე ასურები რძის ოკეანეს დღეებდნენ (მითები, 2000:235). ამიტომ უნდა იყოს კამალას ინკარნაცია კამარი ქართულ ზეპირგადმოცემებში "დედის რძიანი".

საგულისხმოა, რომ ლაზური ენის ათინურ, ასევე ვიწურ-არქაბულ კილოკავებში ზღაპრის მნიშვნელობით შემონახულია ტერმინი პარამითი (ფოლკლორი, 1975:60). ამასთან, ქართულ ხალხურ მეტყველებაში გვხვდება იდიომა: "გაეიდა გაღმა" - ამბობენ გარდაცვლილზე. ამ სიტყვებს შესაბამის

სიტუაციაში ორჯერ წარმოთქვამენ ცნობილი ქართული ფილმის "შერეკილების" გმირები. მისი თავდაპირველი მნიშვნელობა ნაწილობრივ დაეიწყებულა, მაგრამ ხსოვნას არამიწიერზე, იმქვეყნიურთან კავშირზე, როგორც ეხედავთ, ეს გამოთქმა მაინც ინახავს.

ღიმიტრი უზნაძეს აქვს ნათქვამი: "...ჩვენი არსებობის აზრი თვით (ჩვენი) სიცოცხლის ფარგლებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ და (მასზე) მაღლა" ("ომის ფილოსოფია"). ყამარი ზღვას გაღმა და მაღლა, ცაზე დაკიდულ კოშქშია. ამირანის მიერ ყამარის ძიების მითოსური ალეგორია შეიძლება გაეიაზროთ, როგორც სიცოცხლის აზრის ძიება. ასეთი დასკვნისაკენ ისიც გვიბიძგებს, რომ უკვე ათწლეულებია იუნგის იდეები შთააგონებს მკვლევრებს კოლექტიური არაცნობიერიდან მიმდინარე მითებში, ზღაპრებსა და ლეგენდებში ეძიონ პასუხები მარადიულ კითხვებზე. ტრანსპერსონალისტები მიიჩნევენ, რომ მითოლოგია – ეს თავისებური საკრალური ფსიქოლოგიაა, რომლის საშუალებითაც ადამიანებს შეუძლიათ ჩაუღრმავდნენ თავიანთი არსებობის სულიერ საწყისებს, მოახდინონ მათში მთვლემარე საოცარ შესაძლებლობათა რეალიზაცია.

არსებობის აზრს დასავლელი სწავლულები ჩვეულებრივ ეძიებენ მსჯელობა-განხილვებით, ფილოსოფიური გააზრებებით. აღმოსავლური კულტურა მსგავს საკითხებზე პასუხის მიღებისათვის უძველესი დროიდან იყენებს გონების კონცენტრაციას და მედიტაციას. იცნობდნენ საქართველოში სამყაროს შეცნობისათვის, თუ რაიმე პრობლემის გადაწყვეტისათვის გონების განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩაყენების ამ უპირატესად ინდურ ხერხს? ამირანის თქმულება ამ კითხვაზე დადებით პასუხს უნდა იძლეოდეს.

"საბნელოს ჩაჯდა ამირან, შამაიკრიფა ფეხები... ჩაჯდა საბნელოს. დღე და ღამე იმისათვის ერთი იყო. არც კაცი იცოდა და არც სხვა რამ სულიერი. არავის არ იკარებდა ახლოს. მაშინ მოუმატა ღმერთმა ამირანს... ღონე" და უთხრა: "ამირან, ძალს რომ გიმატა, მე რითი შემეცოდები, ზღვას აქათ

არა დაგიჭერს, ზღვას იქით გაეხეხები" (ჩიქოვანი, 1947: 324-325).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ამირანი მედიტაციას ეწეოდა. "ჩაჯდა", "შამაიკრიფა ფეხები", ეს აღმოსაველელი ბრძენის, იოგის პოზაა, რომელსაც ისინი მედიტაციის დროს მიმართავენ. მედიტაციის, შინაგანი თვითწარმადებების ხარისხს ზრდის ადამიანთაგან იზოლაცია, შინაგანი დუმილი, ამიტომაც ამირანი განმარტოებული.

სიბნელესაც არაერთი დატვირთვა აქვს მედიტაციის დროს.

სიბნელესა და სინუმეში განმარტოებით, ხანგრძლივად ყოფნა შესაბამისი მომზადებისა და მიზანდასახულობის პირობებში, როცა ხელეისა და სმენის ორგანოები გარესამყაროდან ინფორმაციებს ვეღარ ღებულობენ, ადამიანში აგროვებს სულიერ ძალებს და აღვიძებს სულიერ გონებას. იგი შეიგრძნობს, განჭვრეტს ადრე მისთვის დაფარულს.

"ყოვლადბრძენი... თვალდაწუხულია და ბნელში დგას, მაგრამ უჭვრეტს საგანთა არსს" (ლაო ძი, დაო დე ძინი, თავი 47).

აღმოსაველური ფილოსოფიის თანახმად, ყველაფერი თავის საწინააღმდეგოში გადადის, ამიტომ გარემომცველი უკუნი ასევე ხელს უწყობს ადამიანში შინაგანი ნათლის გამოვლენას.

სიბნელეში ხანგრძლივი ყოფნისას დღისა და ღამის მონაცვლეობა აღარ აღიქმება, დრო თითქოს ჩერდება, აღარ მდინარებს. "როცა დრო ქრება, თქვენ კედლებით დროის სამყაროში და აღდგებით მარადისობაში" (რაჯნეში). ასეთი განცდაც, მედიტაციაში მყოფის ცნობიერებას აახლოებს ზემიწიერთან, სადაც უნდა არსებობდეს ყველა პრობლემის გადაჭრის გასაღები, პასუხი ყველაზე რთულ კითხვაზე. „აგნი იოგა“ ასწავლის, რომ ზემიწიერი არის არა მხოლოდ სფერო, არამედ ცნობიერების მდგომარეობაც.

წარმატებას სულიერ ძიებებში, მედიტაციაში ხელს უწყობს საჭმლის მიღების შეზღუდვა, აღკვეთა. ამირანსაც,

"...მანამდე ღვთისთა ცხოვრობდა, საჭმელი არ სჭირდებოდა" (ონიანი, 1975:22).

ყამარი, როგორც ამირანის ცოლი, არ ჩანს თქმულებაში და ასეც უნდა იყოს. თვითშეცნობისაკენ მიმართულნი თავს იკავებენ ცოლქმრული კავშირისაგან (ინდ. ბრახბანარია). არ უნდა გვეუცნაუროს, რომ სულიერი ძიების ობიექტი სატრფოდ არის წარმოსახული, ეს უქველესი ალეგორიაა აღმოსავლურ თუ დასავლურ რელიგიებში. "მე ვარ სატრფო" – ამბობს უზენაესი ღმერთი კრშნა "ბჰაგავად-გიტაში" (9.18). ამირანს ღვეიზად შეეძლო გამოეყენებინა, ასევე, სოლომონ ბრძენის სიტყვები: "ჩემი ყრმობიდან მიყვარდა იგი და ვეძიებდი, და მოვიწადინე ჩემს სასძლოდ მომეყვანა და მისი მშვენიერების ტრფიალი შევიქენი" (სიბრძ. 8.2).

ეს აზრით ძიებაა. აზრის სიმბოლოს ამირანის თქმულე-ბაში თეთრონი გამოხატავს, რომელსაც "ერთწამიერ ხანს" შეუძლია დიდი სიერცის დაძლევა და მობრუნება. ამირანი თეთრონის (აზრის) მეშვეობით აღწევს პარამითას, გადის „გალმა ნაპირზე“.

მედიტაცია საკუთარი ნებით საკუთარ გონებაში წარმარ-თული პროცესია, რომელიც ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან, აზრის კონცენტრაციისა და საკუთრივ მედი-ტაციისაგან შედგება.

საბნელოში ჩაჯდომა, განმარტოება ამირანს ხელს შეუწყობდა მოეხდინა აზრების კონცენტრაცია. თქმულებაში მინიშნებულია, რომ ამირანის აზრები, გონება სრულად იყო მიმართული მიზნისაკენ: "იმას თავისი ყამარი ელანდებოდა სიზმარშიაცა და ცხადათაც" (ჩიქოვანი, 1947:319). ქრისტიანო-ბაში უმაღლესი მიზნისაკენ აზრის ფოკუსირება გამოხატუ-ლია სიტყვებით: "მთელი გულით, სულით, გონებით და ძა-ლით..." საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეკუთვნის სიტყ-ვები: „უნდა მივეჩვიოთ გონების მობილიზაციას, ყურადღების მოკრებას, უნდა ვისწავლოთ აზროვნების კულტურა. თუ განსჯის საგანზე შევანერებთ გონებას და მოვახერხებთ აზრების ერთ ფოკუსში თავმოყრას, თუ შევძლებთ გარეშე,

მეორეხარისხოვანი ფიქრებისა და ცუდი ზრახვებისაგან თავის დაღწევას, მოვიპოვებთ დიდ წარმატებებს და გამოვიმუშავებთ უნარს მობილიზებული, ღრმა და სწრაფი აზროვნებისა“ (საადდგომო ეპისტოლე, 1994წ.).

მეორე ძირითადი კომპონენტი მედიტაციისა აზრების კონცენტრაციის საპირისპირო მდგომარეობაა – უფიქრობის, შინაგანი დუმილის მიღწევა. ელენე ბლავატსკაია, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა, რათა ევროპა დაინტერესებულიყო ინდური ფილოსოფიით (მოწიფულობამდე წლები თბილისში გაატარა და შემდეგშიც სტუმრობდა), მედიტაციას განმარტავდა, როგორც აქტიური აზროვნების შეწყვეტას.

ბუდიზმის დიდი მასწავლებლები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ მედიტაცია ერთადერთი გზაა უმაღლესი მიზნისაკენ, ნირვანისაკენ. თვით გაუტამა ბუდამ გასხივოსნებას მედიტაციის მეშვეობით მიაღწია. ვისთვისაც აღნიშნული ცოტას ნიშნავს, მისთვის, შესაძლოა, უფრო გასაგები იყოს გასულ საუკუნეში მოღვაწე მექსიკელი ანთროპოლოგის კარლოს კასტანედას სიტყვები: - საკმარისია მიაღწიოთ შინაგან მდუმარებას და ყველაფერი ხდება შესაძლებელი... სხვა სამყაროში შესასვლელი ილება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ადამიანი ისწავლის შინაგანი დიალოგის შეჩერებას... ეს გასაღებია ყველაფრისა. ყველაზე დაუჯერებელი პროექტები ხდება შესაძლებელი და სხე. (კასტანედა 1999:118,119,120,240).

აღმოსავლურ რელიგიებში ეს გონების აზრებისაგან დაცლაა, ქრისტიანული ალეგორიითაც ღვთის ტაძრის, ადამიანის სამშენიელის გამოსუფთავებაა არა მხოლოდ ცუდი, არამედ ყოველგვარი აზრებისაგან, რათა იქ ღვთიურმა დაივანოს. ამიტომ ამბობს მოციქული: "თუ უაზრონი ვართ – ღვთისათვის, ხოლო თუ აზრიანები - თქვენთვის" (2 კორ. 5, 13). "თუ ვინმეს ამ წუთისოფელში თავი ბრძნად წარმოდგენია, დაე, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს" (1 კორ. 3, 18).

მხოლოდ მობორიალე აზრებისაგან თავისუფალ, მშვიდ, მდუმარე გონებაში ჩაიდევრება სიბრძნე. "ცოტანი თუ ეუფლებიან სიბრძნეს დუმილით" (დაო დე ძინი, 43). "დუმილი -

ოქრო რჩეული... ბრძენთ კმნეს დუმილი", ამ სიტყვების ავტორმა, გიორგი მერსულემ იცოდა სიბრძნის შინაგანი დუმილით დაუფლების შესახებ, სხვა შემთხვევაში ამას ვერ იტყოდა.

საბუნლოში, იოგის პოზაში ჩამჯდარი ამირანი სულიერს არავის იკარებდა ახლოს, ე. ი. ადამიანებთან, გარესამყაროსთან კონტაქტი აღიკვეთა, რათა დუმილი დაეცვა. "დუმილი სულიერ ძალებს კრებს", უთქვამს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. თქმულების მიხედვით, ამირანმა მიიღო ძალა და მოისმინა ღმერთის სიტყვები, "ამირან ძალს რომ გიმატა... ზღვას იქით გაეხეხები". აქ გადმოცემულია ინდურ ფილოსოფიაში ცნობილი პარამითა, ლოცვა-მედიტაციით უმეცრების მატერიალური ოკეანის დაძლევა, გაღმა ნაპირზე გაღწევა და ზემიწიერ სიბრძნესთან ზიარებით სრულქმნა.

მეცნიერული და რელიგიური თვალსაზრისით, პარამითა ადამიანის ცნობიერების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას უნდა გულისხმობდეს, სადაც "ყველა განსწავლული იქნება ღვთის მიერ" (იოან. 6, 45). პრაქტიკა ადასტურებს, რომ მსგავსი მდგომარეობა რეალურად არსებობს. დიდი მითოსის მფლობელ ჩვენს ხალხში ხშირად ხდება იმის დეკლარირება, რომ მითებში დიდი სიბრძნეა. როდის უნდა გამოვწუროთ და მოვიხმაროთ ეს სიბრძნე, თუ არა ახლა, როდესაც უჭირს ჩვენს ქვეყანას, უჭირს ჩვენს პლანეტას? ეს მითოლოგებთან ერთად რელიგიათმცოდნეების, ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების სამუშაოა. წინ გაჭრილი ქვეყნების წარმატების საიდუმლო ამ საკითხების მრავალწლოვან სიღრმისეულ კვლევასა და მისი შედეგების გამოყენებაშია.

ზემოთ მოთხრობილი იმაზეც მიუთითებს, რომ დიდ რელიგიებს საერთო ფესვები აკავშირებთ არა მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ დიდ მითებთან და მეცნიერებანსთანაც. აშკარაა, რომ ძველ საქართველოში სცოდნიათ მედიტაციის შესახებ და ეს ცოდნა შთამომავლებს მითში ჩაწნული შემოუნახეს.

მედიტაციის უმაღლეს საფეხურს, ტრანსულ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი თავისი გონებით ერწყმის უმაღლესს,

ღვთიურ ცნობიერებას, ინდურად ჰქვია სამადხი. იგივე უღერადობისა და სემანტიკური მნიშვნელობის არიული წარმომავლობის ქართული სიტყვა სამოთხე, ბიბლიური ალეგორიით, ასევე იმ სფეროს გულისხმობს, სადაც ადამი ღმერთთან ურთიერთობდა. ინდური "სამადხი" და ქართული "სამოთხე" საერთო წარმომავლობის სიტყვებად უნდა მივიჩნიოთ.

არაერთი ტერმინი ქართულ წარმართობაში, მათ შორის: ხატი, ბატონი (-უფალი), ღეთისნაბადი, დაელათიანი, ნაწილიანი, დასტური, შავეთი თუ სხვა, ინდურიდან გადმოქართულებული, ან გადმოტანილი ჩანს.

რას უფიქრობენ ამ თემაზე თანამედროვე ქართველი ღვთისმსახურები?

„ქართულ მითოლოგიაში ბევრი სულიერი ცოდნა არის დაფარული. ქართველთა დენის ერთ-ერთ მიზეზს სწორედ განსხვავებული რელიგიური ცოდნა წარმოადგენდა. ერთმორწმუნე „მომქმე“ ერები არანაკლები სისასტიკითა და მძულვარებით გედენიდნენ, სწორედ მათთვის გაუგებარი და მათზე აღმატებული რელიგიური ცოდნის გამო, ამიტომ ჩვენმა წინაპრებმა ცოდნა დაფარეს. ზოგი მათგანი კი მითებისა და ზღაპრების სახით ვრცელდებოდა ერში. სამწუხაროდ, ქართველებმა ბევრი ამ ცოდნიდან დაეკარგეთ ჟამთა სიავის გამო. დაეკარგეთ სულიერი ხედვაც და გასაღებიც ამ მითებში დაფარული ცოდნისა, რის გამოც ბევრი მითი მითადვე რჩება და სხვა რაიმე სერიოზული ჩაკერებების საგანს აღარ წარმოადგენს!... (მამა გიორგი, თავნი და ბოლონი იტყვიან: გიორგი. თბილისი, 2009.გვ.216).

მოწამეთაში, დავით და კონსტანტინეს სახელობის მამათა მონასტერში მოღვაწე მამა გიორგის (ბასილაძის) ზემოაღნიშნული სიტყვები, ვუფიქრობთ, გარკვეულწილად თანხმობაშია ჩვენს თვალსაზრისთან. ქართველთა „განსხვავებული რელიგიური ცოდნის“ წარმომავლობის შესახებ ღვთისმსახური აქ არ მიუთითებს, მაგრამ ნახსენები აქვს ინდოელები საგულისხმო კონტექსტში:

„ჩვენ ბევრი ვაპატიეთ მათ და თანაც ბევრჯერ! ქართველები გაეწყდით ინდოეთთან ომში, მაგრამ არ გავამარჯვე ბინეთ. ეს უძველესი ომია... (გვ.193. მითითებული ლიტერატურა).

თუ თვალს გავადევნებთ, ბუნებრივია, მამა გიორგის შეხედულებები მართლმადიდებლობითაა გამსჭვალული, ამასთან, ზოგი მისგან მომდინარე აზრი შეიძლება აიხსნას ინდუისტური რელიგიური თვალსაზრისით, ასევე „ნათლის მოძღვრებით“, ან, შესაძლოა, უნივერსალურ რელიგიურ არქეტის ეფუძნებოდეს.

ინდოელთა და ქართველთა წარსულში ჩაძირულ ბრძოლებსა თუ ურთიერთობებზე საუბრისას, მამა გიორგი, როგორც ჩანს, ეყრდნობა არა იმდენად საეკლესიო თუ სამოქალაქო არქივებში დაცულ ისტორიულ ცნობებს, არამედ სულიერი ხედვით მიღებულ ინფორმაციებს.

ის მცირედი, რისი წარმოჩენაც აქ მოხერხდა, უნდა გამოდგეს იმის მიმანიშნებლად, რომ ჯვაროსნებს გააჩნდათ საფუძველი საქართველოსათვის სულიერი ინდოეთი ეწოდებინათ. სხვა მოტივებთან ერთად, აღნიშნულიც შეიძლება გამხდარიყო მიზეზი იმისა, რომ დიდგორის ველზე, ურიცხვი მტრის წინააღმდეგ, დავით აღმაშენებლის საბრძოლო დროშის ქვეშ, "სულიერი ინდოეთის" დასაცავად ორასი ევროპელი რაინდიც იბრძოდა.

* * *

გერმანელმა მეცნიერმა კარლ იეტმარმა გასულ საუკუნეში ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შეისწავლა მოსახლეობა პინდიქუშისა, მათათა სისტემისა, რომელიც 800 კილომეტრზეა გადაჭიმული ავღანეთში, პაკისტანსა და ინდოეთში. ამ სივრცეში უნდა მოიპოვებოდეს მასალები, რაც განამტკიცებს ჩვენი შეხედულებების მართებულობას, თუ, რა თქმა უნდა, სწორ გზაზე ვდგავართ. იეტმარი თავის წიგნში "პინდიქუშის რელიგიები" წერს: "მე ისევ და ისევ ეპოულობდი მათში დამთხვევებს კავკასიურ სამონადირეო წარმოდგენებთან. ზოგ-

ჯერ ისინი საოცრად კონკრეტულია. ჩიტრალში მე მომიყვინენ, რომ ველურ ცხოველებს ორი მფარველი ჰყავთ: ერთი მამრობითი სქესისა და ერთი მდედრი. ისინი რიგრიგობით ასრულებენ თავიანთ სამსახურს. ოღონდ მამრობითი სქესის სული იყო დაუდევარი, ამიტომ მონადირეს წარმატებები კქონდა მხოლოდ იმ დღეებში, როცა ამ სულის რიგი იყო. საქართველოში არსებობს გადმოცემა, რომელიც სრულად ემთხვევა აღნიშნულს" (იეტმარი, 1963:13).

გაეცნოთ ფრაგმენტს იგივე გადმოცემისა, რომელიც გერმანელ მკვლევარს ე. ვირსალაძის შედგენილ წიგნში ამოუკითხავს: "დაძმა არიან ნადირთა პატრონები. თითო წლივით, მორიგეობით პატრონობენ ნადირს. ქალი როცა მწყემსავს, ნადირი მსუქანი და ფრთხილია, მისი მოკვლა უჭირს მონადირეს. ვაჟი როცა პატრონობს, ნადირი მკვლეა და ბრიყვი, ადვილად იკვლება" (ვირსალაძე, 1964:180).

იეტმარისავე ცნობით, პინდიკუშელთათვის ნადირობა წმინდა საქმეა. მონადირე წინასწარ იტარებს რიტუალურ განწმენდას, არ შეიძლება სექსუალური კავშირი მიწიერ ქალთან, მონადირემ თავი უნდა აარიდოს ძროხის რძისა და ზოგი სხვა პროდუქტის მიღებას (იეტმარი, 1986:257).

ქართული სამონადირეო წესჩვეულებითაც: "მონადირე სანადიროდ წასვლის წინ დიდ სიწმინდეს იცავდა. ცუდ სიტყვას არ იტყოდა, არც დაღუედა... ქონიანი, ან წვნიანი თან არაფერი უნდა კქონოდა. არც მის ოჯახში შეიჭმებოდა წვნიანი მის მოსულამდე... სწამდათ, რომ ნადირობის იღბალი ნადირთპატრონის, კლდის ანგელოზის, ადგილის დედის ხელი იყო.

ტყეში მისული მონადირე ნადირთპატრონს შესთხოვდა დახმარებას... კარგი სვე მომეცი, შენი დანიშნული ჯიხვი მომეცი... ჯიხვის მწყემსს დიდება! არჩვის მწყემსს დიდება! მარჯვენა დამილოცე, დალი!

ნანადირევი ძელების დახვრა, ან ძალღებისთვის გადაგდება აკრძალული იყო. ძველად სწამდათ, რომ ნადირთპატრონი მონადირისთვის ნადირთპატრონების მიერ ერთხელ შეჭ-

მულ და გაცოცხლებულ ნადირს იმეტებს მხოლოდ" (ვირ-სალაძე, 1964:168-169).

იეტმარის მიერ მოძიებული გადმოცემებითაც, პინდიკუშელ მონადირეებს ეხმარებათ იქაური ნადირთჰატრონები - პერები, რომლებსაც თეთრ სამოსში გამოწყობილ მარად ახალგაზრდა ღამაზ ქალღეთაებად წარმოისახავენ. ეს მითოსური პერ-სონაჟი გეხედება ჩრდილოკავკასიელთა, ასევე თურქულენოვან ხალხთა წარმოდგენებში, ზოგჯერ მათ ბუნებასთან, წყალთან დაკავშირებულ ქალღეთაებადაც წარმოაჩენენ (მითები, 2000:2286-287). პერი, როგორც ეტყობა, არის ის, რასაც აჭარულ ფოლკლორში ფერებს უწოდებენ.

ნადირთა გამგებელი პერები, ისევე როგორც ეს ქართულ გადმოცემებშია, თვითონ კლავენ და ჭამენ ცხოველებს. მხოლოდ, შემდეგ გულმოდგინედ კრებენ მათ ძელებს, ახვევენ ცხოველის ტყაეში და იგი ხდება "ისევ როგორც ცოცხალი". მხოლოდ ამის შემდეგ, ეს ცხოველი წარედგინება მონადირეს მოსანადირებლად და გამოსაყენებლად. მოკლული ნადირის, ჯიხვის რქები მიაქვთ წმინდა ადგილებზე, სამლოცველოებთან (იეტმარი, 1986:258).

გაეიხსენოთ, რომ აღმოსაველეთ საქართველოს მთიანეთშიც ჯიხვის რქებით ხშირად შემკობილია ჯვარხატთა საკულტო ნაგებობები.

პინდიკუშში, მტკიცებულებად იმისა, რომ ადამიანს შეუძ-ლია მოინადიროს მხოლოდ ზებუნებრივი არსებების მიერ მოკლული და აღდგენილი ცხოველები, გამოყენებულია ფარ-თოდ გაერცვლებული სიუჟეტი. მასში მხატვრულადაა აღწე-რილი, თუ როგორ მიიწვიეს პერებმა ერთი მონადირე სა-დილზე. მან არ შეასრულა თხოვნა - არ დაეტეხა და არ გადაესროლა ძელები. ამიტომ, პერები, როცა ცხოველი აღად-გინეს, იძულებულნი გახდნენ დანაკლისი ძვალი ხის ნაჭრით (პროთეზით) შეეცვალათ. მონადირე შემდეგ პოულობს ამ ხის ნაჭერს მის მიერ მოკლულ ცხოველში (იეტმარი, 1987:259).

იგივე ისტორია, პრაქტიკულად, წერილმანებითურთ, უცვლელად მეორდება ქართულ-კავკასიურ სამონადირეო გადმოცემებში (კიკნაძე, 2007:248-249).

პინდიქუშელ მონადირეებს მიაჩნიათ, რომ პერებს უნდა მოეპყრან უღრმესი მოწიწებით, მასთან ურთიერთობისას დაიცვან გარკვეული ვალდებულებანი, თუ ასე არ მოიქცევიან, მათ ელოდებათ არა მხოლოდ ნადირობისას ხელის მოცარვა, არამედ სხვადასხვა უბედურებანი და სიკვდილიც.

ისეც ხდება, რომ ულამაზესი თეთრსამოსიანი ქალღეთაება პერი, ისე როგორც სვანური მითოსის დალი, ემიჯნურება მონადირეს. ზოგჯერ, რომ დაუახლოვდეს, მონადირის ცოლის სახესაც კი ღებულობს და სახლში ეწვევა (მიახლოებული საქციელი და მაქციობა დამახასიათებელია ქართული მითოსის პერსონაჟ სამძიმარისათვის).

მოსარიდებელ სტუმარს ცნობენ იმით, რომ ქართული მითოსის დევებივით "კოჭუკულმართია", ტერფი და უეხის თითები უკანა აქვს მიქცეული.

ზოგჯერ მონადირე ახერხებს მაგიური საშუალების გამოყენებით (რაც უკავშირდება პერისათვის შეჭრილი თმის იარაღის რკინაზე დახვევას) საშიში ქალღეთაების დამონებას, იგი ხდება მონადირის ცოლი, აჩენს შვილებს, ეწვეა მიწიერი ქალის მძიმე ცხოვრებას და ა. შ. სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ გაიქცევა და შურს არ იძიებს დამონებისათვის (იეტმარი, 1986:259). პრაქტიკულად იგივე სიუჟეტი მეორდება ქართულ ზეპირგადმოცემებშიც (კიკნაძე, 2007:186-187).

პინდიქუშური გადმოცემებით, სანამ პერისა და მონადირეს შორის სიახლოვე, ინტიმური ურთიერთობა უკონფლიქტოდ, "წესების დაცვით" მიმდინარეობს, მონადირეს ხელი ემართება, გარანტირებული აქვს წარმატებანი ნადირობაში და სხვ. (იეტმარი, 1986:259). იგივე სიტუაციაა აღწერილი ქართულ გადმოცემებშიც (ვირსალაძე, 1964:179).

იეტმარის წიგნში გვხვდება სხვა დამთხვევებიც, საერთო პინდიქუშსა და კავკასიას შორის, მაგრამ ავტორმა, იმ დროს, ეტყობა, ჯერ კიდევ არ იცოდა მათ შესახებ.

საგულისხმოდ გვეჩვენება ისიც, რომ ნურისტანში (კაფირებში). ისე როგორც საქართველოში, შენიშნულია ხორბლისა და ვაზის მრავალი სხედასხვა, მათ შორის, აბორიგენული, ველურად მზარდი ჯიშები. მიუხედავად ისლამის გავრცელებისა, რომელიც ეწინააღმდეგება ალკოჰოლური სასმელების გამოყენებას, აქაც ღვინისათვის ფეხით სწურავენ ყურძენს. გააჩნიათ საკულტო ვერცხლის თასებიც (იეტმარი, 1986:34-35.86.91).

ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მისდევდნენ "მეკოპრობას", კაფირებსაც ახასიათებდათ შინაურთა თუ გარეშთა რბევა ნადავლის მოპოვებისა და "სახელის ქმნისათვის". თანასოფლელები, მათ შორის ქალებიც, ამაყობდნენ მათით, ვინც ბრძოლებში თავს გამოიჩინდა. ეწყობოდა ქეიფი და სხე. (იეტმარი, 1986:37-39). პინდიქუშელთა ერთი ნაწილისათვის გასული საუკუნის დასაწყისამდე დამახასიათებელი ყოფილა მოკლული მტრისათვის ხელის მტეუნის მოკეეთა და მისი საკუთარი სახლის თუ სიმაგრის კარზე მიმაგრება (იეტმარი, 1986:260). მოკლული მტრისთვის მარჯვენა მკლავის მოგლეჯის ეპიზოდი გეხედება ინდურ ეპოს "მაჰაბხარატაშიც". მოკლული მტრისათვის მარჯვენის მოკეეთის ჩეულება არსებობდა ხევსურეთშიც.

მიცვალებულები, ასევე ნამშობიარევი და დედათა წესის მქონე ქალები, არაწმინდად ითვლებოდნენ პინდიქუშის კალაშებშიც. ასეთ ქალებს განცალკევებით, იზოლაციაში ამყოფებდნენ, მათთვის ცალკე ნაგებობაც გააჩნდათ, მსგავსი ხევსურული სამრელოსი (იეტმარი, 1986:239-397).

კალაშების ჯესტაკხანაში (დაახლ. ხევსურული საფიხენოს ანალოგი) და საცხოვრებელ სახლებშიც გეხედება ქართული დედაბოძის მსგავსი ერთ-ერთი შიგა საყრდენი საკულტო ბოძი, რომლის უხვად შემკული ორნამენტებიდან გამოირჩევა ჯერისა და ბორჯღალოს ტიპის ამონაკვეთები (იეტმარი, 1986:383-384).

კაფირების სანათესაოში განსაკუთრებით წინწამოწეულია დედის ძმები (იეტმარი, 1986:42). ხევსურეთშიც, ნათესაებში

დედის ძმების როლი გამორჩეული და რიგ წესჩვეულებებში შეუცვლელია. აქ სწამდათ, რომ საიქიოშიც დედის ძმები შემოეგებებოდნენ და უპატრონებდნენ გარდაცვლილებს.

როცა კავკასიელთა და პინდიქუშელთა სამონადირეო ჩვეულებებსა და წარმოდგენებს შორის პარალელებზე საუბრობს, იეტმარი აღნიშნავს, რომ "ამჟამად არსებობს შესაძლებლობა მსგავსი დამთხვევები აიხსნას კულტურათა დიფუზიით" (იეტმარი, 1986:313). თუ ჩვენი თვალსაზრისი გაზიარებული იქნება, შეგვიძლია ვიყოთ უფრო ზუსტნი: ეს ტრადიციები და წარმოდგენები პინდიქუშიდან - "ინდოეთის მთიდან", კავკასიაში, საქართველოში მოიტანეს და დაამკვიდრეს ძველმა ინდოელებმა, რომელთაც ქართული საისტორიო წყაროები არიან-ქართლიდან მოსულებს უწოდებს.

იეტმარის წიგნში არის სხვაც მსგავსი საგულისხმო დამთხვევები (საბაბი პინდიქუშე ქართველ ეთნოლოგთა ექსპედიციისათვის), მაგრამ მათი რაოდენობა მაინც განსაზღვრულია. 2300 წელი საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ ამ სივრცეების დიდი ნაწილიდან, მათ შორის "ინდოეთის კავკასიონიდან" ინდოელთა გაუჩინარებასთან ერთად, ბევრი რამ სამუდამოდ დაკარგულიყო.

* * *

ინდური პლასტი ქართულ მითოსში, ჩვენი აზრით, ხსნის ქართული მითოსის ჯერჯერობით არასაკმარისად შესწავლილ სიახლოვეს ჩრდილოევროპულთან (სკალდურთან), რომელიც, როგორც ცნობილია, თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია ინდურ მითოსთან. ძიება დაადასტურებს, რომ ქართული - კავკასიური მითოსი რიგი თავისებურებებით ჩახვეულია ჩრდილოევროპული და ინდური მითოსების წნულში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ახალი, დღემდე უცნობი კავშირების წარმოჩენას ქართულ, ჩრდილოევროპულ და ინდურ მითოსებს შორის.

ინდოეთთან, სპარსთა მფლობელობაში მყოფ არიანა-ხორასანთან, ბაქტრიასთან ძველი კავშირის კვალი მცირედი

დაკვირვებითაც ჩანს. ქართული ხალხური პოეზიის პირველი ნაწილი ავიღოთ (ქსპ, 1972), რომელიც უბეველეს ქართულ ზეპირგადმოცემებს, წარმართობას მიმოიხილავს. იქ ნახსენებია, ზოგჯერ რამდენიმეჯერაც: ინდოეთი, ფენჯაბი, ბენარესი, დელი, ბახტრი, ბალხი, ხორასანი (ხოროშანი, ხორეშანი), ღურგა - ინდოელთა ქალღმერთი... ეს - რაც ზედაპირზეა. თუ ჩაუღრმავდებით და შევადარებთ უბეველეს გადმოცემებს, იმავე ტომში წარმართულ მითოსურ გმირთა ქართული, ან ღვთაებათა ქრისტიანულ წმინდანთა სახელები უმეტესწილად ნიღაბია, რომელთა სიღრმიდანაც ინდური წარმომავლობის მითოლოგიური პერსონაჟები და ღვთაებები შემოგვცქერიან, მაღალი იერარქიის ინდური ღმერთებიც კი წმინდა გიორგის საბურველში არიან გახვეულნი.

ვაჟა-ფშაველა თავის ეთნოგრაფიულ წერილებში ხშირად ახსენებდა ინდოეთს, სხვები - ისტორიკოსები, მითოლოგები, ეთნოგრაფები პოულობდნენ საერთოს ქართულ და ინდურ ზეპირგადმოცემებში, წეს-ჩვეულებებში, ტოპონიმიკასა და ონომასტიკაში. რა დასკვნები კეთდებოდა აღნიშნულზე? - „ინდური მასალა ჩვენში ვერ ახსნის ... წინააღმდეგ შემთხვევაში, ან ჩვენი და ინდური ცნობების საერთო წარმომავლობის საკითხი უნდა დაისვას, ან ურთიერთგავლენისა“ (ოჩიაური, 1967:80). როგორც ვხედავთ, ინდოეთსა და საქართველოს შორის წარსულში ჩაკარგული ურთიერთობების ძიების საკითხი მეცნიერთა შორის პრაქტიკულად დიდი ხანია მომწიფებული იყო.

* * *

ინდოეთისაკენ წარმართავს ჩვენს ეურადღებას ქართული ანბანიც. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზმა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, მაგრამ ლეონტი მროველმა თავი აარიდა იმის გამხელას, თუ რომელი დამწერლობა გამოიყენა ფარნავაზმა საფუძვლად. დღემდე მოღწეული ცნობების საფუძველზე ამ საკითხზე საბოლოო და ამომწურავი პასუხის გაცემა არ ხერხდება. ამჟამად უკვე ისიც გასარკვე

ვია, რომელი ანბანით წერდნენ არიან-ქართლიდან მოსულები? იმდროინდელი ისტორიული რეალობების გათვალისწინებით, უკვე საყურადღებო ჩანს მეცნიერების - კლაპროტისა და ბროსეს თვალსაზრისი. კლაპროტი ფიქრობდა, რომ ქართული მხედრული ანბანი შექმნილია ინდური დევანაგარი დამწერლობის საფუძველზე. ბროსეს თვალსაზრისით, ქართული ასომთავრულის ასო-ნიშნები ასევე ინდური დამწერლობებიდან უნდა ესესხებიანთ (პატარიძე, 1980:27).

ინდოეთში დამწერლობის არსებობას მეცნიერები ძვ.წ. VI-V საუკუნიდან ვარაუდობენ. თავდაპირველად აქ გავრცელებული იყო ბრაჰმის ანბანი, რომლის საფუძველზეც შემდგომ შეიქმნა ყველა სხვა ინდური ანბანი. ქვაზე ნაკვეთი ბრაჰმის მომრგვალებული ასოები მართლაც მოგვაგონებს ქართულ ასომთავრულს, თუმც უპეელესი პერიოდის ინდურ წარწერებში თითქოს ქართული მხედრულის მსგავსი ასონიშნებიც ჩანს. ბრაჰმი სპარსთაგან დაპყრობილ ინდურ ტერიტორიებზე შეერწყა სპარსულ მიმართულების არამეულ დამწერლობას, რის შედეგადაც წარმოიშვა ანბანი ქაროშითი (ბონგარდ, 1985:377-378). ბერძნულ-ინდური მმართველობის პერიოდში, ძვ.წ. IV-III საუკუნეებში აქ ელიქტები გამოიცემოდა ბერძნულით და არამეულით, ზოგჯერ ქაროშითის დამწერლობითაც. ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში ნაპოვნია იმ პერიოდის ბილინგვები ბერძნული და არამეული წარწერებით (ბონგარდ, 1985: 32-33). მიუხედავად საკმაო დაცილებისა დროსა და სივრცეში, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის უძველეს დამწერლობათა ნიმუშების შედარებაც ქართული დამწერლობის მონათესავედ მიჩნეულ არმაზულ დამწერლობასთან, არმაზის ასევე ბერძნულ-არამეულ ბილინგვასთან, შესაძლოა საყურადღებო შედეგის მომცემი აღმოჩნდეს.

ქართული ანბანური დამწერლობის სამი გრაფიკული ნაირსახეობის სახელწოდებანი - ასომთავრული ანუ მრგლოვანი, ნუსხური ანუ ნუსხა-ხუცური და მხედრული, შესაძლოა აირეკლავდეს წარსულის ხსოვნას, როცა „ინდური ასომთავრულით“ - ბრაჰმით მეფე-მთავრები გამოსცემდნენ ელიქტებს;

მხედრული „იყო“ ქმატრიებისათვის, მხედართა კასტისათვის; ნუსხა-ხუცური კი „იყო“ სასულიერო ფენის, ბრამანების სამწერლო ანბანი, რაზედაც შეიძლება მიუთითებდეს არა მხოლოდ ტერმინი „ხუცური“, არამედ „ნუსხურიც“. „ყოველი დამწერლის, ავტორის თუ მთარგმნელის საკუთარი ხელით ნაწერს, ავტოგრაფს ძველ საქართველოში „ნუსხაი“ ერქვა“ (ჯავახიშვილი, 1949:65). „ნუსხ“ ფუძიდანაა ნაწარმოები სიტყვა „მონუსხვა“ მოჯადოების, მაგიური ზემოქმედების ქვეშ ყოფნის მნიშვნელობით. „ათხარყავედას“ მაგიურ შელოცვებში განსწავლული ბრამანები წერდნენ „მოსანუსხ“ ტექსტებსაც. აჭარაში „ნუსხას“ დღემდე უწოდებენ ამ საქმეში გათვითცნობიერებული პირის მიერ დაწერილ შელოცვის ტექსტს (არაბულ ენაზე), ან მაგიურ ნიშნებს, რომელსაც მისთვის ვინც მას ატარებს მოაქვს წარმატებები, ხიფათის აცილება და სხვა. „ნუსხით“ შეიძლება ასევე არასასურველი პირის მონუსხვა - განიხიბვა. მსიხიბავი გრძნეულს ნიშნავს (აბულაძე, 1973:306). ამასთან, ივანე ჯავახიშვილს „ქართულ პალეოგრაფიაში“ სიტყვა „წერის“ და „მწერლის“ სინონიმურ ტერმინებად, სხეასთან ერთად, დასახელებული აქვს „ჩხრეკა“ და „მჩხაბაი“. (ჯავახიშვილი, 1949:50-51) სულხან-საბას განმარტებით („სიტყვის კონა“), „ჩხრეკა“ და „ჩხაბვა“ ავად მწერალს ნიშნავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაძლოა, საყურადღებო იყოს ისიც, რომ ინდურ ენაში, ვიშნუიტებში არსებობს ტერმინი „ჩხაპა“ - ტვიფრის, ანაბუჯდის მნიშვნელობით (ლალუ ჯი, 1937:181). ჩხაბვა შესაძლოა კავშირს ავლენდეს ინდურ ჩხაპასთან, რომელიც ქართულ ენაში, დასაშვებია, ასევე „ჩხაპნად“ იქცა.

ძველ ქართულ დამწერლობაში ასოთა დახასიათებისას ხშირად გამოიყენებოდა სიტყვა ტანი: ტანისა სისხო, ზედა ტანი, ქვედა ტანი, შუა ტანი (ჯავახიშვილი, 1949:367). შესაძლოა, ეს სიტყვა ინდოეთიდან შემოიპყვა დამწერლობას. „ტანუმ“ სანსკრიტში დაახლოებით ქართული „ტანის“ მნიშვნელობის (ფორმა, სხეული) მატარებელი სიტყვაა. ძველ ინდურ და ქართულ დამწერლობებთან დაკავშირებული ტერმი-

ნების შედარება, ვფიქრობთ, სხვა არაერთ, საგულისხმო დამთხვევებს გამოავლენს.

მეფე ფარნავაზი ქართული დამწერლობის შემქმნელი კი არა, რეფორმატორი იყო, ასეთი აზრი იკითხება რუსეთის არმიის ბელგიელი პოლკოვნიკის როტიეს მიერ 1819 წელს ვატიკანში წარდგენილ "მოხსენებით ბარათში", რომელსაც პროფესორმა ი. ტაბალუამ მიაკვლია. მეკლევრის აზრით, როტიეს მიერ მოპოვებული ცნობები სანდო წყაროებზე დაფუძნებული ჩანს და მას გულისყურით უნდა მოვეყილოთ. "მოხსენებით ბარათში" ნათქვამია: ფარნავაზმა გააუმჯობესა დამწერლობა, რომელიც დღემდე ხმარებაშია ქართველ მღვდლებს შორისო (ხაზგასმა ი. ტ-სი).

ამ უნიკალური ცნობის თანახმად, ფარნავაზს ქართული დამწერლობა კი არ შეუქმნია, არამედ მან მის დროს უკვე არსებული დამწერლობა გააუმჯობესა. საგულისხმოა ის, რომ ეს ცნობა როტიემ ზუსტად განმარტა კიდევ. მკითხველს ამცნო, რომ ფარნავაზმა გააუმჯობესა ის დამწერლობა, რომელსაც ქართული სამღვდლოება ხმარობსო. ასეთი განმარტების მეშვეობით მან ხუცური და მხედრული დამწერლობა ერთმანეთისაგან გამოიჯნა და გარკვევით გეითხრა, რომ ფარნავაზის დამსახურება ხუცური დამწერლობის გაუმჯობესება ყოფილა" (ტაბალუა, 1987:151).

როტიეს ზემოაღნიშნულ ცნობას ეხმაურება და შესაძლოა საფუძველსაც უქმნიდეს თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა: "არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარეს ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ ივინი უხუცესთა წერილითა, ესე იგი ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ხევისბერთა უხმობენ, ივინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩენი" (შარაძე, 1972:125).

თ. ბაგრატიონის ცნობაში მითითებული ქურუმები "მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ", ინდოელ ბრამმანთა საქართველოში გამოსული მემკვიდრენი უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც აზოს მიერ აღმართულ კერპებს, გაცსა და გას

(გაიმს), ჩვენი დასაბუთებით – შივასა და მისი მეუღლის მრისხანე ჰიპოსტასებს, ინდური წესისამებრ, მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ (წულუკიძე, 2007:44-66).

ივ. ჯავახიშვილს "ქართულ პალეოგრაფიაში" მოტანილი აქვს დ. ბაქრაძის სიტყვები: "ზოგი ჩვენი ასოებიც, მეტადრე ასომთავრულისა ხუცურში, როგორც თვით ფორმებით, აგრეთვე გამოთქმით უახლოვდება დევა-ნაგერსა და სხვა აღ-ფაბეტებს ინდოეთისას" (ჯავახიშვილი, 1949:19).

ქართული ანბანის შექმნაში რომ ინდურ ანბანსაც უდევს წილი, აღნიშნულზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში საუბრობდნენ, მაგრამ ინდოეთსა და საქართველოს შორის წარსულში არსებული ახლო კულტურული კავშირის შესახებ მაშინ არც კი ეჭვობდნენ, ამიტომ კვლევა ამ მიმართულებით აღარ გაღრმავებულა. ჩვენ მხოლოდ მიეუთითებთ, თუ რა გზით უნდა შემოელწია ინდურ ანბანს საქართველოში, ვისი მემკვიდრენი უნდა ყოფილიყვნენ ქართველი ქურუმები (ხევისბერები), რომელთა "დამწერლობა გააუმჯობესა ფარნაეაზმა".

სპარსთაგან დაპყრობილ, მათ შორის ინდურ ტერიტორიებზე საკანცელარიო ენა არამეული იყო, ხოლო ამ მხარეებიდან არიან-ქართლები - ინდოარიელები ბერძნებმა „ჩამოაცილეს“ იბერიაში, რაც შესაძლოა ახსნას უძებნიდეს დადგენილ ფაქტს, ქართულ ანბანში სპარსული მიმართულების არამეულისა და ელინისტური დროის ბერძნული ელემენტის არსებობასაც. ამასთან, ვფიქრობთ, დადგა დრო, რათა ინდურმა ანბანმა აღიდგინოს კუთვნილი ადგილი ქართული ანბანის შექმნის სათავეებში და ქართული დამწერლობის შექმნის დრო და ვითარებაც უფრო ზუსტად განისაზღვროს. აღნიშნულმა მეტი სინათლე უნდა შეიტანოს სომხურ დამწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებშიც.

* * *

ინდოეთი სამუშაო სიერცვა ჩვენი ანთროპოლოგებისათვისაც. ანთროპოლოგ მ. აბდუშელიშვილის მტკიცებით, „ჩვენი“ კავკასიური პალეოანთროპოლოგიური ტიპი გამოვლენილია

ინდის აუზის ძველ მაცხოვრებლებშიც, (აბდუშელიშვილი, 1964). ფილოსოფოს ანთროპოლოგებსაც შესაძლოა, ამ თემისადმი ინტერესი გაუჩნდეთ. იუნგის ცნობილი თვალსაზრისით, დასაველელი ადამიანის ცნობიერება მიმართულია გარე, მატერიალური სამყაროსაკენ. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, აღმოსაველელის ცნობიერება მიმართულია შიგნით. საითკენაა მიმართული ქართველის ცნობიერება? გრ. რობაქიძე თავის „ენგადში“ წერს: „ხევსურის გულისყური უფრო გონისა და სულისკენაა მიქცეული, ვიდრე მატერიალურისკენ“ (რობაქიძე, 1987:76).

არსებობს მიზეზთა საკმაოდ გრძელი ჩამონათვალი, რის გამოც, ჩვენი მეცნიერები ეძებდნენ ქართულ კვალს ინდოეთში, რასაც, ჩვენი აზრით, ასევე აქვს საფუძველი, მაგრამ არ უძებნიათ ინდური კვალი საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ წანამძღვრები არსებობდა, შესაბამისი სამეცნიერო თეორია არ შეიქმნა. ამ დროს კი კოლხურ-იბერიული უძველესი ხანისა და ქრისტიანული ეპოქის საქართველოს კულტურულ დანაშრეგებს შორის დევს ვრცელი და შთამბეჭდავი ინდოური წარმომავლობის პლასტი, რომელიც ათასწლეულებია თან მოგვყვება, როგორც ქართული, სისხლხორცეულად მშობლიური.

განსაკუთრებით, აღმოსაველეთ საქართველოს მთიანეთი და სვანეთი ინდური წარმომავლობის უძველესი მითოსური გადმოცემებით, ღვთაებებით, წეს-ჩვეულებებით, მატერიალური კულტურის ძეგლებით თუ სხვა, არიან-ქართლიდან გამოსულთა ისტორიის შემნახველ ცოცხალ მუზეუმებს წარმოადგენენ.

დიდი მოვლენები გვერდს ვერ აუქცევდა საქართველოს ძველ დედაქალაქსაც. „მცხეთის დაწინაურებას ხელი შეუწყო მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ საქართველოს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ხეობის, მტკვრისა და არაგვის შეერთების ადგილას. ელინისტურ ეპოქაში აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ფასიდ-კასპიის მაგისტრალმა. ეს მაგისტრალი იმ დიდი სანაოსნო გზის ნაწილს შეადგენდა, რომელიც დასაველეთთან აკავშირებდა

ბაქტრიას, ინდოეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს“ (ჯანაშია, 1988:108).

ცნობილი ისტორიკოსის აღნიშნული სიტყვები იმის დასტურადაც გამოდგება, რომ აღმოსავლეთ აზიისა და ევროპის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობებით დაკავშირების ალექსანდრე მაკედონელისეულ პროექტში საქართველოც აქტიურად იყო ჩართული. ს. ჯანაშია მიუთითებს პერიოდსაც, ეს იყო ელინისტური ეპოქა, რომლის ათელაც იწყება ძვ.წ. 334 წლიდან, როცა ალექსანდრემ თავისი არმია აღმოსავლეთისაკენ დასძრა.

2300 წლის წინათ განხორციელებული ისტორიული ფაქტის - არიან-ქართლელთა, ანუ ინდოარიანთა კავკასიაში, იბერიაში გადმოსახლების დროის, ვითარების, ისტორიული პიროვნებებისა და მხარეების შესახებ, მიუხედავად რიგი აღრეულობებისა, მაინც საკმაოდ მიახლოებით მიუთითებენ ქართული, ბერძნული, ინდური, სპარსული და სომხური ისტორიული წყაროები, ქართული ზეპირგადმოცემები.

* * *

როგორ წარიმართა იბერიაში გადასახლებულ არიან-ქართლელთა, მათი შთამომავლების ურთიერთობა წინაპართა სამშობლოსთან; რა ბედი ეწია არიანაში მდებარე, არიან-ქართლის ნაწილად მოაზრებულ მხარეს; რატომ არ გვხვდება ქართულ საისტორიო წყაროებში ცნობები არიან-ქართლის ადგილმდებარეობის შესახებ?

პინდიქუშის მთავარი ქედის სამხრეთით მდებარე ინდოელთა დასახლებანი ძვ.წ. 330-323 წლებში ალექსანდრე მაკედონელის გამგებლობაში შედიოდა. მისი სიკვდილის შემდეგ იმპერია დიადოხოსებმა დაინაწილეს. მოგვიანებით, არიანაში მდებარე ძველი ინდური მხარეები სელევკიდების გამგებლობაში მოექცა, რომელთა აღზევებაც ძვ.წ. 312 წლიდან იწყება. ძვ.წ. 306 წელს, დინასტიის დამაარსებელმა სელევკმა დაამარცხა ინდოელთა იმპერატორი ჩანდრაგუპტა მაურია, რის გამოც იწოდა ნიკატორად („გამარჯვებულად“). შემდეგ

მტრებს შორის ურთიერთობები დათბა. სტრაბონის მიხედვით (XI.2.9), სელევკმა მიიღო 500 საბრძოლო სპილო, სამაგიეროდ. ჩანდრაგუპტას დაუბრუნა არიანას ის მიწები, რომლებიც მათ წაართვა ალექსანდრემ. მაურთა იმპერიაში შესულ არიანას ნაწილში იგულისხმებოდა, როგორც ჩანს, პაროპამისადები, არახოტია და ჰედროსია. ვარაუდობენ, რომ ეს მოვლენები ძვ.წ. 303-302 წლების ზღვარზე უნდა მომხდარიყო (ბონგარდ, 1985:209).

სელევკიდთა ელინისტურ სახელმწიფოს, მისი ძირითადი ტერიტორიის მიხედვით, იმ დროს სირიასაც, ქართველები ასურეთს უწოდებდნენ. ქვეყნის დედაქალაქი ანტიოქია იყო. სელევკიდებს, როგორც ჩანს, სცოდნიათ არიანას ინდური მხარეებიდან იბერიაში გადასახლებულთა შესახებ და „პატრონობდნენ“ კიდევ მათ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, როცა ამბოხებულმა ფარნავაზმა აზო/აზონი გააქცია, „ამან ფარნავაზ წარავლინა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა – და წარსცა ძღუენი დიდძალი და აღუთქვა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღუენი მისი და უწოდა შვილად თვისად, და წარმოსცა გვირგვინი“ (ქართლის ცხოვრება, 1955:23).

ძვ.წ 250-130 წლებში პაროპამისადები ბერძენ-ბაქტრიელთა სამეფოში, შემდეგ კი ქუშანთა სამეფოში შედიოდა.

დამთხვევით თუ ჩვენს მიერ ჯერაც გამოუცნობი კანონზომიერებით, ისტორიული არიანას ჩვენთვის საინტერესო სივრცეში, 1245-1389 წლებში, ცენტრით, ქალაქი პერათი, არსებობდა ქართველთა სახელმწიფო, რომელიც ქართველთა ირანული წარმოშობის დინასტიამ შექმნა (ქსე, 10:458).

ისტორიული არიანას ძველ ინდურ მხარეში საბოლოოდ მომთაბარე ავღანელთა ტომები დამკვიდრდნენ. ინდოელები აქ აღარ ცხოვრობენ. მიუხედავად ამისა, უძველეს მკვიდრთა გადმოცემებით დანატოვარი, ჩვენთვის საგულისხმო წარსულის ხსოვნა აქ, შესაძლოა, მაინც ბუტუტადეს.

XVIII საუკუნეში მოღვაწე ინგლისელი მოგზაურისა და ნეოციანტის ჯჰანეის ცნობით, ავღანელები ქართველებს, (სომხებსაც) თავიანთ ნათესაებად მიიჩნევენ: „ ეს ხალხი, ავღანთა საერთო სახელწოდების, იყოფა სამ მთავარ ტომად, რომელთაც აღმოსავლეთის ბევრი სხვა ხალხის მსგავსად, საკუთარი გენეალოგია გამოჰყავთ ნოედან. მათი გადმოცემის თანახმად, იაფეტს ჰყავდა სამი ვაჟი: არმენი, ავღანი და ქართველი. აქედან, ორი პირველი ცხოვრობდა სომხეთში, რომლის სახელწოდებაც მოდის უფროსი ვაჟიდან. ხოლო ქართველი წარმოიშვა უმცროსი ვაჟისაგან, დაუფიქნდა ამ კუთხეში“ (ტუხაშვილი, 1992: 194).

არიან-ქართლად მოაზრებული ისტორიული ინდური მხარეების ძველი დასახლებანი წაიშალა აზიის პოლიტიკურ რუკაზე, მაგრამ დარჩა ინდოეთი, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა, რომელმაც შემოინახა ხსოვნა ქშატრიათა ერთი ნაწილისა, „რომელთაც პარაშურამასი შეეშინდათ და კავკასიონს შეაფარეს თავი, მოგვიანებით აბჰირებად გახდნენ ცნობილი“ (შრიმად ბჰაგავატამი, 1992:195). ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ სახელი „აბჰირები“-კავკასიაში გადმოსახლებულ ინდოელებს იბერებიდან მიუღიათ? თანაც პრაბჰუპადა იქვე შენიშნავს, რომ აბჰირებს შემდეგ პროვინცია სინდში უცხოვრიათ, მოგვიანებით კი ინდოეთში გაბატონებული მდგომარეობა დაუჭერიათ. პრაბჰუპადას ეს ცნობა, შესაძლოა, იბერ-ქართლელთა ინდოეთში ლაშქრობის ხსოვნასაც ეხმიანებოდეს.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ სირდარიიდან შეჭრილმა ტომებმა, ძვ.წ. II საუკუნეში, ბერძნებს წაართვეს ბაქტრია და იქ ქუშანის იმპერიას ჩაუყარეს საფუძველი. შემდეგ, ისინი ჩვენი ძიებისათვის საგულისხმო სიერცეში, ავღანეთის (პაროპამისადების) და ინდოეთის ტერიტორიებზე განეფინენ. სტრაბონის მიხედვით (XI 8.2), ამ ტომთა სახელწოდებებია: ასიები, ფასიანები, თოხარები და საკარაულები. მათი წარმომავლობის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი (ბონგარდ, 1985:394). ნახსენებ ტომთაგან, სხვებზე რომ აღარა-

ფერი ეთქვათ, ფასიანებს კოლხურ, ფაზისისპირას მაცხოვრებელ ან არაქსთან მცხოვრებ ქართველურ ტომებს უწოდებდნენ ბერძნები (ფუტკარაძე, 2005:118-119). ახლა, როდესაც თანდათან ჩნდება ჩვენი ქვეყნის ძველი ისტორიის აღმოსავლეთთან დაკავშირებული ფურცლები, განსაკუთრებით ინდოეთში შემჩნეული ქართველიზმები - ეთნონიმები, ტოპონიმები და ა.შ. ახლებურ ანალიზს ითხოვს. ჩვეულებრივ, მათ უკავშირებდნენ გასულ ათასწლეულში, სპარსელების მიერ განხორციელებული საომარი ექსპედიციების დროს, სამხედრო ბეგარის მოსახდელად, ამ სივრცეებში დიდი რაოდენობით ქართველი მეომრების შეღწევას თუ სხვ. მაგრამ, ამჟამად, წინ იწევს უფრო ადრეული პერიოდის შესაძლო მიზეზი - წინაპართა სამშობლოსაკენ ღტოლვა, რის გამოც, არიან-ქართლიდან გამოსულთა შთამომავლებს ბაქტრიული, ავღანური სივრცეების გავლით შეეძლოთ ინდოეთისაკენ ემოძრავათ. აღნიშნული თვალსაზრისით ინტერესის აღმძვრელია, მაგალითად, ეს ფაქტი რომ როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე ინდოეთის ისტორიულ ჩრდილო-დასავლეთში გეხდებოდა და გეხდება გუჯარ ფუძის მქონე ტოპონიმები და ეთნონიმები. გუჯართა ტომის მოსელას ინდოეთში I-V საუკუნეებში ვარაუდობენ. საკვლევია, ხომ არ იყვნენ ისინი ძველი ქართლის მკვიდრი გუჯარებიდან გამოსულნი?

აღნიშნულითაც ეს თემა ვერ ამოიწურება. მაკედონელის პროექტი, რომლის შესახებაც დიოდორე გეამცნობს, ითვალისწინებდა არა მხოლოდ აზიიდან ევროპისაკენ ხალხის გადასახლებას, ასევე პირუკუ - „ახლად მოწყობილ ქალაქებში უნდა გადაეყვანათ მოსახლეობა ევროპიდან აზიაში“ (ყაუხჩიშვილი, 1977:109). ამიტომ, ისიც დასაფიქრებელია, ხომ არ გადაუსახლებია მაკედონელს იბერიელები სინდეთში, „ან ინდოეთის კავკასიონის“ მხარეში, ევროპა-აზიის დამაკავშირებელ, ასევე უმნიშვნელოვანეს საგზაო მონაკვეთზე? ძველთაგანვე ცნობილ პაროპამისოსზე - „ინდოეთის კავკასიონზე“ მდებარე აღმოსავლეთთან, ამჟამად ავღანეთ-პაკისტანის დამა-

კავშირებელ უმნიშვნელოვანეს გასასვლელს ხაიბერი კქვია და შესაძლოა შემთხვევითი არ იყოს, რომ ამ სახელში იკითხება „...იბერი“, ან „...იბერი“.

იბერია-ქართლში დამკვიდრებულ არიან-ქართლელთა რწმენა-წარმოდგენები, მითოსი, ჩვენი დაკვირვებით, ძე-წ. IV ს. ჩრდ. დასავლეთ ინდოეთისათვის დამახასიათებელი თავისებურებებითაა აღბეჭდილი. ამასთან, უძველეს ქართულ ზეპირგადმოცემებში, ზოგი რამ ინდოეთიდან უფრო გვიან შემოღწეულს ჰგავს. თუ ეს მოსაზრება მეცნიერულად დადასტურდება, აღნიშნულიდან ის დასკვნაც შეიძლება გაკეთდეს, რომ საქართველოსა და ინდურ სამყაროს შორის კულტურული კავშირი არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთჯერადი და ცალმხრივი.

ინდურ-ქართულ ურთიერთობათა მინელების და წარმართულ ინდოეთთან ძველი კულტურული კავშირის ნაკეალევის გადაშლის მცდელობის პროცესი საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგ უნდა დაწყებულიყო. აღნიშნული თვალსაზრისით, ინტერესის აღმძვრელია „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, რომლის მიხედვითაც, გორგასალს, ირანელთა შემოთაუაზებით, მათთან, ასევე ბერძნებთან და სომხებთან ერთად, 50-ათასიანი ქრისტიანული ლაშქრით აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის, სინდეთსა და ინდოეთში ულაშქრია. ქრისტიანული დიდაქტიკური მოტივი საერთოდ თან მიჰყვება მროველი ეპისკოპოსის მიერ შედგენილ და რედაქტირებულ „ქართლის ცხოვრებას“. სინდეთში, ინდის აუზის ქვემო წელში მდებარე უძველეს ინდურ მხარეში გორგასალის მოქმედების ჯუანშერისეული თხრობა, ჩვენი აზრით, ატარებს საგანგებო დაკვეთის კვალს - ინდურ სამყაროსთან უწინდელი სიახლოვის (ასევე შესაძლოა, ამ მიმართებით გორგასალის მიერ კავშირის განახლების მცდელობის) გადაფარვას ძველი კავშირების იდეოლოგიურად უფრო მოგებიანად წარმოჩენის მიზნით. უძველეს, „მწვალებლურ“ ზეპირგადმოცემებს თუ მატრიანებს ახალი, ქრისტიანული სულით გაუღენთილი ისტო-

რიები ჩაანაცვლეს. ამასთან, ეს ახალი, მეტი დამაჯერებლობა რომ კქონოდა, შეიცავდა ძველი ისტორიის ელემენტებსაც.

„წყობა პირველთა მეფეთა იყო ანძიანძორს, სადა უკუე აწ არს საფლავი დიდისა მოძღურისა გრიგოლისი, და მუნით იოტნეს მეფენი ჩუენნი. ხოლო ჩუენ ათისა დღისა სავალი ჩამოგვეკლია, ჩრდილოთ მოქცეულ ვართ“ (ქართლის ცხოვრება, 1955:160). ვახტანგ მეფის ეს სიტყვები, რომელსაც მას ჯუანშერი ათქმევინებს, ქართველ მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ ქართლის სამხრეთით, ათი დღის სავალზე მხარეში, სადაც უბრძოლიათ ქართველთა პირველ მეფეებს, და საიდანაც ისინი წამოვიდნენ, სავარაუდოდ, „უნდა იგულისხმებოდეს „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობის, მცხეთის პირველი მეფის, აზოს სამშობლო - „არიან-ქართლი“ (ქავთარაძე, 1985:115). ჯუანშერის ზემოაღნიშნული თვალსაზრისი, თუნდაც იგი ისტორიულ სიმართლეს გადმოსცემდეს, ხომ არ არის აქ ისეთნაირად და იმიტომ მოტანილი, რომ არიან-ქართლის მაძიებელმა წარმართული ინდოეთისაკენ არ გაიხედოს და იგი ძველი ქართლის სამხრეთ პროვინციებში დაიგულოს?!

თხზულებაში არის ეპიზოდი სიტყვიერი პაექრობისა ვახტანგ გორგასალსა და სინდთა მეფეს შორის, რომელიც სამშობლოს მომხდურთაგან იცავდა. ჯუანშერმა აქ გორგასალს ქართლის მათხრებელ სპარსთა რწმენაზე კარგი ათქმევინა, სინდთა რელიგიურობა კი დაამცრო: „დაღაცათუ არ ჭეშმარიტსა სჯულსა ზედა არიან სპარსნი, არამედ მეცნიერნი არიან ღმრთისა დამბადებლისანი, და რწამს ცხოვრება სულიერი, ხოლო თქუენ სრულიად უმეცარნი ხართ ღმრთისანი და უგულისხმო, ვითარცა ცხენი და ჯორი“, და სხვ. (ქართლის ცხოვრება, 1955:183).

ეს სიტყვები, უნდა ვიფიქროთ, იმ ქართველ წარმართთა, მათ შორის ფხოველთა „გასაგონად“ ათქმევინა ავტორმა ვახტანგ მეფეს, რომლებიც ძალიან დიდხანს ერთგულობდნენ, ჩუენი აზრით, ინდის აუზიდან კავკასიაში გადმოხვეწილ წინაპართა რწმენა-წარმოდგენებს და ჯიუტად ეურჩებოდნენ ქრისტეს რჯულზე მოქცევას.

საგულისხმოა, რომ „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“ 15 ეპიზოდი მაინც არის, რაც ასევე გეხდება ინდუისტთა უფალ კრშნას ცხოვრების მითში (წულუკიძე, 2005:109-110).

უძველესი ქართული ზეპირგადმოცემაც, თითქოს გორგასლის ინდოეთში ლაშქრობის დროს მისთვის მეუღლეს ეღალატოს (ვირსალაძე, 1964:95), ანარეკლი უნდა იყოს ცნობილი ინდური თქმულებისა, რომლის მიხედვითაც, ბუდა შაკიამუნის ცოლი ინდრამ მოტყუებით აცდუნა. ეს ლეგენდა ბუდიზმის მოწინააღმდეგე ინდუისტთა გამოწაფონად ითვლება.

რისთვის დასჭირდათ მე-7 საუკუნის საქართველოში ბუდას ცხოვრების ქრისტიანული ვერსიის შექმნა? საეარაუდოდ, იმიტომ, რომ გადაეფარათ ბუდას ცხოვრების შესახებ ჩვენში არიან-ქართლელთაგან გაერცვლებული, ეტყობა, პოპულარული ინდური გადმოცემა. როცა არიან-ქართლელი იბერიაში გამოვიდნენ, ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედის დასაწყისში, ბუდიზმი ინდოეთში აღმავლობის გზაზე იდგა.

არიან-ქართლელთა შესახებ ქართული საისტორიო წყაროებით ჩვენამდე მოღწეული ცნობები არასრულყოფილია. თვით „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკები, რომელთაგან დაეღებულ ვართ არიან-ქართლის შესახებ, ზოგჯერ კატეგორიული ფორმით გამოთქმული (არსენ ბერი) ცნობებით, არიან-ქართლის ადგილმდებარეობის შესახებ არ მიუთითებს და ამ თემის ირგვლივ წამოჭრილ სხვა კითხვებსაც უპასუხოდ ტოვებს. როგორც ეტყობა, ქართულ სამოქალაქო ისტორიოგრაფიაში და სასულიერო მწერლობაშიც მოქმედებდა ცენზურა – არიან-ქართლის შესახებ ყველაფრის თქმა, მოსალოდნელი იდეოლოგიური, პოლიტიკური თუ ყოფითი გართულებების გამო, საჭიროდ არ მიაჩნდათ. არიან-ქართლელთა შთამომავლებს, მათ ნაწილს, შესაძლოა, წინაპართა სამშობლოს მონახულებაზე ეფიქრათ. მათ, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა წინაპართა ღმერთებისადმი პატივისცემა, დასაშვებია ინდოეთში, წმინდა ადგილებში პოლიგრიმობის სურვილი გასჩენოდათ. ყველაფერი ეს, გარდა იმისა, რომ საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებას ხელს არ

შეუწყობდა, ქვეყნიდან შორს მოსახლეობის გადინების, მისი კარგვის საშიშროებასაც შექმნიდა.

ასეთნაირად, ჩვენი აზრით, არსებობდა მიზეზი, რის გამოც არიან-ქართლის შესახებ ყველაფერი არ უნდა გამხელილიყო. ამასთან, ამ თემის თუნდაც ნაწილობრივი ტაბუირებით, ქართულ საისტორიო მწერლობაში წარმოქმნილი სიცარიელეც რაღაცით უნდა შეეესოთ და, როგორც ჩანს, ეს მისია „ქართლის ცხოვრების“ ავტორმა და რედაქტორმა დაიკისრა. ძნელი დასადგენი არ უნდა იყოს, რომ ამ უმნიშვნელოვანესი საისტორიო წყაროს საწყის ნაწილში, სადაც უძველესი დროის იბერია ქართლის შესახებაა მოთხრობილი, საუბარია არა მხოლოდ და არა იმდენად კავკასიის იბერიის წარსულზე, არამედ „მოქცევის...“ მიერ არიან-ქართლად წოდებულ მხარეზე. მაინც რატომ თვლიან ქართული საისტორიო წყაროები ასე ცალსახად, რომ ალექსანდრე მაკედონელი ბერძნულ ლაშქარს თავად შემოუძღვა იბერიაში? ამ კითხვას უკვე შეგვიძლია ვუპასუხოთ ასე: სიმართლე ჩვენ უფრო ის გეგონია, რომ ალექსანდრე მაკედონელთან შეხვედრა, მის ლაშქართან შეტაკების ხსოვნა არიან-ქართლად წოდებული ინდური მხრიდან შემორჩათ იბერიაში მოსულებს. მთიელი ინდოელები, სხვებთან ერთად, გავგამელას ველზე ებრძოდნენ მტრად მოსულ ალექსანდრეს და მის ლაშქარს. შედეგი იყო მარცხი, პაროპამისადების გავერანება და მის მკვიდრთა ბალხეთ-ბაქტრიაში გადახეწვა. ალექსანდრე მეფე იქაც მოვიდა, შეხვდა არიანელთა უფლისწულს და ა.შ ... იბერიაში ბერძენთა მხარდაჭერით, იძულებით გამოსული არიან-ქართლელთა შთამომავლები თაობიდან თაობას გადასცემდნენ ამ ისტორიას. დრო ყველაფერს შლის, სახეს უცვლის და როგორც ეტყობა, დაიკარგა რეალური ისტორიული მოვლების მიზეზშედგობრივი ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლი, წაიშალა ხსოვნა, რომ წინაპარი არიან-ქართლელები ალექსანდრე მაკედონელთან ბრძოლის, შეხვედრის და იძულებითი დაზავების შემდეგ მოვიდნენ იბერიაში.

ლეონტი მროველმა, როგორც ეტყობა, გამოიყენა არიან-ქართლიდან გამოსულთა მიერ წერილობით და ზეპირგად-მოცემებით შემონახული მშობლიური ინდური მხარის ისტორია, მათი ზნე-ჩვეულებანი, რელიგიური და სამყაროს აგებუ-ლებაზე ინდოელთა წარმოდგენები (ინდურ კოსმოგრაფიაში (პურანები) დედამიწის ცენტრში აღმართულია მთა მერუ, რომლის ირგვლივ ტრიალებენ მზე, მთვარე და ხუთი ვარსკე-ლაეი (მითები, I, 2000-537); არაარიული წარმომავლობის ზოგ აბორიგენულ ინდურ ტომებში გავრცელებული კანიბალიზმის აღწერილობა, ალექსანდრე მაკედონელის არიანაში ყოფნის ეპიზოდები, არიან-ქართლელთა საქართველოში გამოსვლას-თან დაკავშირებულ ისტორიულ პიროვნებათა შესახებ ცნო-ბები და სხვა. „მოქცევაის...“ მიხედვით, არიან-ქართლელთა უფლისწულად წოდებული აზო მაკედონელის თანამებრძოლ აზონ არიდოსის ძედ გამოცხადდა და ა.შ. ამასთან, რაკი ქვეყანა უკვე ატარებდა ინდური წარმომავლობის რაჯაკარტა-რების თუ კარტავირიასაგან წარმოქმნილ სახელს (თვითდასა-ხელებას), შეუძლებელი გახდა კარტავირიასთვის არ შეე-ნარჩუნებინა ეთნარქისა და ეპონიმის სტატუსი. სამაგიეროდ, მისი ინდური წარმომავლობა დაიფარა, კარტავირია თარგა-მოსიანად გამოცხადდა და ქართლოსად გადაკეთდა. ეთნარ-ქიის სახელის ბერძნული „ოს“ დაბოლოებით სიმპათია გამოე-ხატა საბერძნეთს, საიდანაც ქრისტიანობამ შემოაღწია საქართველოში, იმ კავშირის ხსონაც შემოინახეს, რომ არიან-ქართლელები და სატომო ღვთაება, კარტავირია ბერძნებს შემოჰყვათ ჩვენს ქვეყანაში. კარტავირია-ქართლოსის კავკასიაში, მოსვლის დრო ბიბლიურ წარსულში იქნა გადატანილი და სხვ.

ქვეყნის წარსულში მომხდარი არსებითი მნიშვნელობის მოვლენების ოფიციალურ საისტორიო წყაროში ასეთი რედაქ-ტირების შედეგად, საუკუნეთა განმავლობაში, ეჭვიც აღარავის გასჩენია იბერია-ქართლის ისტორიის რომელიმე მონაკვეთი ინდური სამყაროსათვის დაეკავშირებინა.

ძველბერძნულ წერილობით წყაროებს, ტრადიციულად, მეტი სინათლე შემოაქვთ ქრისტიანობამდელი საქართველოს ისტორიაში. ინდოელთა კავკასიაში, იბერიაში გადმოსახლების შესახებ, უნდა სცოდნოდა მეგასტენეს, სელევკიდების ელჩს ძვ.წ. 302 წლიდან ინდოელთა იმპერატორ ჩანდრაგუპტას კარზე (ბონგარდ, 1985:209). მაგრამ მეგასტენე საუბრობს მხოლოდ ნაბუქოდონოსორზე, რომელსაც თითქოს (პირინეის) იბერია დაუპყრია და იქ მცხოვრებნი პონტოს მარჯვნივ დაუსახლებია (მელიქიშვილი, 1965:10). იბერიის ნახევარკუნძულიდან კავკასიაში, თუ პირიქით, კავკასიელი იბერების დასაეღეთში გადასახლების ძველთაგანვე ცნობილმა და მრავალთაგან განმეორებულმა ისტორიულმა გადმოცემაც, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ინდოეთის კავკასიონიდან, ინდური სამყაროს მკვიდრთა დასაეღეთში, კავკასიის იბერიაში გადმოსახლების ისტორიული ფაქტის შთანთქმა-მივიწყებას.

„თუ რა საფუძველზე უწოდებს იოანე ცეცე კოლხებს ინდოელ სკეითებს... ძნელი სათქმელია“ (ურუშაძე, 1964:499). პროფესორ აკ. ურუშაძის, წყაროთმცოდნე ელინისტის მიერ გაცემით ნათქვამ ამ სიტყვებს პასუხი მე-20 საუკუნეში ვერ მოეძებნა. ამასთან, ქართველ ისტორიკოსებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ „ქართლის ცხოვრების“ საწყის ნაწილში, აშკარად შემოგდებული არმენოფილიზმის გარდა, შეუსაბამობანი სხვა ისტორიულ, მათ შორის, უცხოურ წერილობით წყაროებში გადამოწმებულ მონაცემებთან.

აღრეულობების შესახებ „ქართლის ცხოვრების“ მითითებულ ნაწილში, წერდა ჯერ კიდევ XII საუკუნეში მოღვაწე არსენ ბერი (არსენ ბერი, 1971:47,51). მროველის მიერ ძირფესვიანად სახეცვლილი ქართლოსის, ჩვენი აზრით, არჯუნა კარტავერიას ინდური წარმომავლობის მითიც, რადგან მისი ანალოგი ფრაგმენტების სახითაც კი ვერსად მოინახა, მეცნიერთა მიერ ლიტერატურულ გამონაგონად ჩაითვალა. აღნიშნულის გამო, ქართლოსი, როგორც მითოსური გმირი, თანდათან გაქრა მითოლოგიური ლექსიკონებიდან.

თუ რას უნდა გამოეწვია ზოგი, ერთი შეხედვით, უმოტიკაციო აღრეულობანი „ქართლის ცხოვრებაში“, ვერ გაირკვა. თავად არსენ ბერის მიერ თავდაჯერებით გამოთქმულმა აზრმა: „ჩვენ, ქართველნი, შვილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსრულთანი და ენაი მათი უწყით...“ (არსენ ბერი, 1971:47), გზა-კვალის საბოლოოდ ამრევის როლი ითამაშა. თანამედროვე მეცნიერები არიან-ქართლს ეძებენ ქართველურ ტომთა უძველესი განსახლების ადგილებში, ასეთად კი მიჩნეულია კავკასიის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები. ძიების ეს მიმართულება ბოლო თაობების ავტორიტეტულ ქართველ მეცნიერთა მიერ პრაქტიკულად აღიარებულია, როგორც ერთადერთი და სწორი მიმართულება. სხვაგვარად მოაზროვნეებმა, როგორც წესი, არ უნდა იქონიონ უფროსი თაობის მეცნიერთა მხარდაჭერის იმედი, ამ თემაზე მათ პუბლიკაციებსაც არ ჩათვლიან სერიოზული ყურადღების ღირსად და ა.შ.

- არიან-ქართლელებად წოდებული ქართულენოვანი ტომები მოვიდნენ კავკასიის სამხრეთით მდებარე სიერცეებიდან, ქართველურ ტომთა უძველესი განსახლების ადგილებიდან. კონკრეტულად, თუ საიდან მოვიდნენ, ეს დგინდება – აღნიშნული თვალსაზრისისადმი ურყევი რწმენით გაიღია ადამიანის ცნობიერებაში სტერეოტიპული აზროვნების მსხვერვისათვის ბიბლიაში მინიშნებულ 40 წელზე გაცილებით მეტი. ჩვენ, მაინც, არიან-ქართლს ვეძებთ იქ, სადაც, უკვე ჩანს, არასოდეს ყოფილა.

უსარგებლო ყავარჯენივით რატომ არ უნდა მოვისროლოთ თეორია, რომელიც წინსვლას ხელს კი არ უწყობს, არამედ აფერხებს და არიან-ქართლის მიგნებას გადაულახავი დაბრკოლებები შეუქმნა?

„ახალი თეორია ავლენს ძველი თეორიის როგორც ღირსებას, ის მის შეზღუდულობასაც და საშუალებას გვაძლევს ძველი გაგება შევაფასოთ უფრო ღრმა თვალთახედვით“, – უთქვამს აინშტაინს. არიან-ქართლი, რომელსაც ვეძებდით, მიკვლეულია. არიან-ქართლელები ინდური სამყაროდან მოვიდნენ კავკასიაში – ასეთია ჩვენი თვალსაზრისი.

აღნიშნულის სამომავლო კვლევა, გარდა იმისა, რომ ძლიერ სამოქმედო სტიმულს მისცემს ქართული პუბლიცისტური მეცნიერების ფართო სპექტრს, სცილდება ქართველოლოგიური, კავკასიოლოგიური კვლევის არეალს. გამოიკვეთება ქართველთა ერთგვარი სიახლოვე - ნათესაობა ინდოეთთან, მსოფლიოს უძველესი კულტურის მატარებელ დიდ ქვეყანასთან, რომელიც დღეს შთამბეჭდავ ნაბიჯებს დგამს თავისი კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლისათვის. ქართული და ინდოარიული ისტორიული კავშირების გონივრული და დაჩქარებული წარმოჩენის შემდეგ ინდოეთიც საქართველოს მეგობარი ქვეყანა გახდება, მხარს დაუჭერს საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებისას თუ სხვ.

საქართველო მოექცევა არიანისტიკით, ორიენტალისტიკით დაინტერესებულ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში. ჩრდილო-ეუროპელებიც საქართველოში დაინახავენ არა მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომელიც გამუდმებით საჭიროებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანადგომას, არამედ აღმოაჩენენ მათი „წინაპრების“ ისტორიის შემნახველ ქვეყანას. მათ ექნებათ მეტი მოტივაცია დადგენენ ჩვენს გვერდით, რაც, სწორედ ამჟამად, ძალიან გეჭირდება.

თვითგანსაზღვრა, თავისი ადგილის პოვნა მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობაში გაუჭირდება ვრს, რომელსაც თავისი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი დაეიწყებული აქვს, წარსულის გამოცდილებას, სხვა ხალხებთან ძველ კავშირებს ვერ აყენებს ქვეყნის წინსვლის სამსახურში.

1. აბულაძე 1973: აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. მეცნიერება, თბილისი, 1973.
2. აბდუშელიშვილი, 1964: Абдушилашвили М. Антропология древнего населения Грузии. Тбилиси, 1964.
3. არსენ ბერი, 1971: არსენ ბერი, ცხოვრება ნინოსისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები III, 1971.
4. ბარდაველიძე, 1974: ბარდაველიძე ვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, 1, 1974.
5. ბარდაველიძე, 1939: სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I, ტფილისი, 1939.
6. ბარდაველიძე, 1949: ბარდაველიძე ვ. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან. „მომომხილველი“, I. ივ ჯავახიშვილის ისტ. ინსტიტუტი. მეცნ. აკად. გამომც. თბილისი. 1949.
7. ბელოშვილი, 2001: ბელოშვილი ვ. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2001.
8. ბონგარდ, 1985: Бонгард-Левин Г. М. Ильин Е. Ф. Индия древности. Москва, 1985.
9. ბროსე, 1998: ბროსე მ. საქართველოს ისტორია. ბათუმი, 1998.
10. ბსე, 1955: Большая советская энциклопедия, второе издание, т. 32, 1955.
11. ბსე, 1970: Большая советская энциклопедия, третье издание, т. 2, 1970.
12. გამსახურდია, 1991: გამსახურდია ზ. საქართველოს სულიერი მისია წერილები ესსეები. „ხელოვნება“: თბილისი, 1991.
13. გამყრელიძე, 1980: Гамкрелидзе Т. В. Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и Индоевропейцы. Тбилиси, 1980.
14. გოილაძე, 1984: გოილაძე ვ. ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან. ჟურნ. „მნათობი“, №11 1984.
15. გელოვანი, 1983: გელოვანი აკ. მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 1983.
16. ენციკლოპედია, 1902: Большая энциклопедия, т. II, Арбуа де Жоенвиль-Беллинггаузенъ, С-Петербургъ, 1902.
17. ვირსალაძე 1964: ხალხური სიბრძნე. III, ელ. ვირსალაძის რედაქციით „აკადული“, თბილისი, 1964.
18. თანდილავა, 1977: თანდილავა ზ. ლეგენდა ქართველთა სილამაზის შესახებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III, მეცნიერება, 1977.

19. ინაძე 1969: Инадзе М.П. Причерноморские города древней Колхиды. Тбилиси, 1968.
20. იეტმარო, 1986: Йеттмар К. Религии Гиндукуша. изд. "Наука". Москва. 1986.
21. კაპანაძე 1965: კაპანაძე დ. წარსულის მაცნეები. ნუმისმატიკა. „ნაკადული“, თბილისი, 1965.
22. კაკაბაძე 1958: კაკაბაძე ს. ზოგი რამ თბილისის წარსულთან დაკავშირებით, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №10, 1958.
23. კეკელიძე 1981: კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I თბილისი, 1981.
24. კიქნაძე 2007: კიქნაძე ზ. ქართული მითოლოგია, სასკოლო ბიბლიოთეკა, ბაკმი, 2007.
25. კასტანედა, 1999: Кастанеда К. Колесо времени. Изд. "София" Москва, 1999.
26. კოტეტიშვილი, 1961: კოტეტიშვილი ვ. ხალხური პოეზია, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1961.
27. ლაო ძი, 1990: ლაო ძი, ლაო დე ძინი. „განათლება“, თბილისი, 1990.
28. ლალუ ჯი, 1937: Лалу джи Лал, Легенды о Кришне, I, (Прем сагар), Ленинград, 1937.
29. ლორთქიფანიძე 1989: ლორთქიფანიძე მ. რა არის „ქართლის ცხოვრება“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1989.
30. მაკალათია, 1933: მაკალათია ს. თუშეთი, თბილისი, 1933.
31. მაკალათია, 1934: მაკალათია ს. ხევი, თბილისი, 1934.
32. მაკალათია, 1984: მაკალათია ს. ფშავი, თბილისი, 1984.
33. მითები, 2000: Мифы народов мира. т. I, II, 1.2. Изд. "Олимп", Москва, 2000 г.
34. მოქცევა, 1964: მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი, 1964.
35. მელიქიშვილი, 1965: მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი, 1965.
36. მერგაუტოვა, 1969: Мергаутова Э. «Индуистская мифология»; «Священные рски», в книге: Боги брахманы люди. издательство «Наука», Москва, 1969.
37. ნადირაძე 2005: ნადირაძე ვ. მსოფლიოს რელიგიები, გამოშვ. „არტანუჯი“, 2005.

38. ნარკვევები, 1970: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970.
39. ონიანი, 1975: ამირანი, ვ. ონიანის რედაქციით. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975.
40. ოჩიაური, 1967: ოჩიაური თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1967.
41. პატარიძე, 1980: პატარიძე რ. ქართული ასომთავრული. თბილისი, 1980.
42. რატცელი, 1902: Народоведение проф. д-ра Фридриха Ратцеля, второй томъ, С-Петербург, 1902 г.
43. როგველა, 1989: Ригведа. Мандалы I-IV. Издание подготовила Т.Я.Елизаренкова. Москва, 1989.
44. რობაქიძე, 1987: რობაქიძე გრ. ენგაღი. ჟურნ. „მნათობი“, №8, 1987.
45. სანიკიძე, 1984: სანიკიძე ლ. ალექსანდრე მაკედონელი, თბილისი, 1984.
46. სინხა, 1945: Синха Н.К.Банерджи А.Ч. История Индии. Москва, 1945.
47. სტრაბონი, 1957: სტრაბონის გეოგრაფია თ. ყაუხჩიშვილის რედაქციით თბილისი, 1957.
48. ტაბაღუა, 1987: ტაბაღუა ი. ფარნავაზ მეფემ „გააუმჯობესა დამწერლობა“. ჟურნ. „მნათობი“, №9, 1987.
49. ტრუბაჩევი, 1977: Трубачев Л.Н. Лингвистическая периферия древнейшего славянства. Индоарийцы в Северном Причерноморье, Вопросы языкознания, №6, 13-29, 1977.
50. ტუხაშვილი, 1992: ტუხაშვილი ლ. ქართველები ინდოსტანის სუბკონტინენტზე წიგნიდან, ფარაონთა და ხალიფთა ტახტების მფლობელები. თბილისი, 1992.
51. ურუშაძე, 1965: ურუშაძე ა. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბილისი, 1965.
52. ფოლკლორი, 1975: ქართული ფოლკლორის ლექსიკონი II. ქართული ფოლკლორი V. გამომც. „მეცნიერება“, 1975.
53. ფუტყარაძე, 2005: ფუტყარაძე ტ. ქართველები. ნაწ. I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისი, 2005.
54. ქეთარაძე, 1985: ქეთარაძე გ. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, „მეცნიერება“, თბილისი, 1985.
55. ქსე, 19.10.11: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1, 1975; ტ. 9, 1985; ტ. 10, 1986; ტ. 11, 1987.

56. ქართლის ცხოვრება, 1955: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955.

57. ქართლის ცხოვრება, 1973: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973.

58. ქპ, 1972: ქართული ხალხური პოეზია, ნაკვეთი პირველი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1972

59. ყაუხჩიშვილი, 1976: ყაუხჩიშვილი ს. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი, 1976.

60. ყაუხჩიშვილი, 1983: ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი შწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, „მეცნიერება“, თბილისი, 1983.

61. ყაუხჩიშვილი, 1977: ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი შწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, „მეცნიერება“, 1977.

62. შარაძე 1972: შარაძე გ. თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, თბილისი, 1972.

63. შენგელია, 1964: შენგელია დ. მუღდმივი თანამგზავრები, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1964.

64. შრიმად ბჰაგავატამი, 1992: შრიმად ბჰაგავატამი, სიმღერა მეორე, სეამი პრამპუჰადას რედაქციით, გამომცემლობა „ბჰაქტიეუდანტა ბუქტრასტი“, მოსკოვი, 1992

65. ჩიქოვანი, 1947: ჩიქოვანი მ. მიჯაჭვული ამირანი, თბილისი, 1947.

66. ცანავა: 1991: ქართული ხალხური საუნჯე, I, პოეზია, შემდგენელ-რედაქტორი ა. ცანავა, თბილისი, 1991.

67. ძიძიგური, 1982: ძიძიგური შ. საენათმეცნიერო საუბრები „ნაკადული“, თბილისი, 1982

68. ძიძიგური, 1970: ძიძიგური შ. ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.

69. წულუკიძე 2005: წულუკიძე ნ. უკან ინდოეთისაკენ, წინ წასასვლელად, ჟურნ. „ჭოროხი“, №1-2, ბათუმი, 2005.

70. წულუკიძე 2007, №1, №2: წულუკიძე ნ. რაჯაკარტარები და არიელთა კავკასიური მოდგმა, ჟურნალი „ჭოროხი“, №1, №2, ბათუმი, 2007.

71. წულუკიძე 2007, №5: წულუკიძე ნ. „ძუღენი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გა-“, ჟურნ. „ჭოროხი“, №5, ბათუმი, 2007.

72. წულუკიძე, 2009: წულუკიძე ნ. ბაგრატიონთა მითოსური წინაპარი „მაჰაბხარატადან“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები IV, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბათუმი, 2009.

73. ჯგავახიშვილი, 1982: ჯგავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, VI, თბილისი, 1982
74. ჯგავახიშვილი, 1949: ჯგავახიშვილი ივ. ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949;
75. ჯანაშვილი, 1906: ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, 1906;
76. ჯანაშია, 1988: ჯანაშია ს. შრომები, VI, თბილისი, 1988;
77. ჯღანშერი, 1981: ჯღანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართული პროზა, I „საბჭოსა საქარსელო“, თბილისი, 1981
78. ხონელი, 1987: ხონელი მ. ამირანდარეჯანიანი, ქართული მწერლობა, II, „ნაკადული“, თბილისი, 1987;
79. ხორენაცვი, 1984: ხორენაცვი მ. სომხეთის ისტორია, „მეცნიერება“, თბილისი, 1984;
80. ხორნაული, 1974: ხორნაული, გ. მთიულეთ-გუდამაყრის ზოგიერთი ტოპონიმი უკრნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. 2. თბილისი, 1974.
81. ჰეროდოტე 1975: ჰეროდოტე, ისტორია, I, II თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თსუ გამომც., თბილისი, 1975.

ინდური ჰლასტი ქართულ მითოსში

საქართველო ძირძველი ქრისტიანული და, იმავდროულად, ქრისტიანობამდელი კულტურის ქვეყანაა. 2300 წლის წინათ კავკასიაში, იბერიაში გადმოსახლებულმა ინდოარიელებმა, რომელთაც ქართული ისტორიოგრაფია არიან-ქართლებითა სახელით იცნობს, ქართველთა კულტურის ისტორიაში სათავე დაუდო სრულიად ახალ მოვლენას. ქართული მითოლოგიის ერთი ყველაზე მოცულობითი პლასტი, რომელიც იმავდროულად შეიძლება შეადგენდეს ქართული მითოსის ძირითად ჩონჩხს, ინდოარიული წარმომავლობისაა. ქართველ მითოლოგთა შრომა, ნატიფი აზროვნების უნარი, აკადემიზმი, ბოლო პერიოდის ზოგჯერ არაარსებითი ძიებებიდან უნდა გადაერთოს ქართულ-ინდური მითოსური, ეთნოლოგიური საახლოვის კვლევაზე.

წინამდებარე სამეცნიერო ნარკვევი არის მცდელობა ინდურ-ქართული მითოლოგიური კავშირების თეთრი ლაქების ზღვიდან წარმოაჩინოს მცირე ამონარიდი მაინც. ნაწილს არ შეუძლია გადმოსცეს მთელის სისავეს, მაგრამ მას შეუძლია შექმნას წარმოდგენა, მიუთითოს მთელის არსებობაზე.

თამარის კულტის სათავეებისკენ

„მთელი ის თქმულებები, რაც თამარის სახელთან არის დაკავშირებული და გარკვეული მითოლოგიური ნისლით არის შებურვილი, ძველი წარმოშობისაა ამ თქმულებათა თამარი (ეს სახელი პირობითი იყვეს) უკვეყლად წარმართული პანთეონის წევრი უნდა იყვეს, რომელიც ბევრად ადრე შექმნილა, ვიდრე ისტორიული და სწორედ ეს პირველი სახება არის საძიებელი. უნდა მოიძებნოს ჩვენი თამარის კულტის სათავე“, წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი (კოტეტიშვილი, 1961: 374-378). იგი დაინტერესებული იყო თამარ მეფის მიერ მზის სხივისაგან ვაჟიშვილის გაჩენის თქმულებითაც: „თამარს შვილი არ უნდოდა, მაგრამ მზის სხივი ეკა და დაორსულდა თამარი შეწუხდა, სირცხვილის გამო სახლში ჩაიკეტა და საიდუმლოება მხოლოდ გამდელს გაანდო. ბავშვი რომ დაიბადა, თამარმა

გამდელს უბრძანა წაეყვანა და სადმე „უსიერ“ მთაში დაეტოვებინა. ასეც მოიქცა გამდელი, მაგრამ ბავშვს ირემი მოეკლანა პატრონად, რომელმაც დედობა გაუწია. მონადირეებმა შენიშნეს ირემს ამოკრული ბავშვი. წამოიყვანა საძარბა სავისი, შეილი და ასე გაიზარდა გიორგი ლაშო. თქმულება დასძენს, რომ მას აქეთ ბაგრატიონები ირმის ხორცს არა სჭამენო. მაგრამ რომ აღნიშნული თქმულება თამარის ეპოქას არ ეკუთვნის, არც ამას სჭირდება მტკიცება. ეს სქემა ძველისძველია. მისი ვარიაციები მრავლად გვაქვს როგორც ქართულ, ისე სხვადასხვა მოდგმათა ზღაპრებში“ (კოტეტიშვილი: 1961: 366) შემდეგ ვ. კოტეტიშვილს მოჰყავს მსგავსი ლეგენდები სხვადასხვა ხალხთა ზეპირგადმოცემებიდან და ინდურ პარალელზეც მიუთითებს: „ჰინდურ ეპოსში „მაჰაბხარატაში“ მოთხრობილია მეფის ქალის კუნტის ამბავი, რომელმაც მზე-ღმერთისაგან შობა ეპო, მაგრამ დედ-მამის შიშით, ბავშვი კალათში ჩააწინა და მდინარეს მისცა. მაგრამ ბავშვი გადაარჩინა უშვილო ცოლქმარმა“ (კოტეტიშვილი, 1961:366-367).

ახლა ვნახოთ, თუ როგორაა ეს ამბავი მოთხრობილი „მაჰაბხარატაში“. უფალ კრშნას მამიდამ, მეფის ასულმა კუნტიმ, თავისი უბიწოებითა და კეთილი ღირსებებით, ქალიშვილობისას მის ოჯახში სტუმრად მყოფი ბრაჰმანის წყალობა დაიმსახურა. თუმცა კუნტის არ უთხოვია, ბრაჰმანმა ქალიშვილს ასწავლა შელოცვა, რომლისაღ შეეძლო მოეწვია ყოველი ღმერთი, რომელსაც ისურვებდა და მისგან შეილი გაეჩინა. ბოლოს ბრაჰმანმა მადლობა გადაუხადა კუნტის მეფე მამასაც მის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისათვის და იქ მყოფთა თვალწინ გაჭრა, თითქოს ჰაერს შეერია. მეფის ასულს ცნობის-მოყვარობამ სძლია — ნუთუ მართლა შეეძლო ლოცვას ღმერთების გამოცხადება? და შელოცვის ძალის გამოსაცდელად, ქალწულმა ცაზე მოკაშკაშე მზე-ღმერთი სურია მოიწვია (არანიაკაპარეა, 1987:578-580). შელოცვამ გაჭრა, იოგური ძალით ორად გაყოფილი მზის ერთი ნაწილი ცაში აგრძელებდა ნათებას, მეორე კი, დეტაებრივი ბრწყინვალეობით, ალერსიანი და მომთხონი კუნტის წინაშე წარსდგა და სურვილის ასრულება შესთავაზა. დარცხვენილმა ქალწულმა შემოთავაზებაზე უარი განუცხადა, აუხსნა რომ მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო

წარმოსთქვა ლოცვა, მზისგან შეიღის გაჩენა არც უფიქრია და სახოვა უკანვე გაბრუნებულიყო. მაგრამ ამაოდ. სურიათ მას აუხსნა, რომ რაკი მაგიური ლოცვა, კუნტის მიერ, უკვე წარმოითქვა. მისი აღუსრულებლობა უბედურებას მოუტანდა ყველას, მათ შორის თავად კუნტის, მის მშობლებს, მთელს სანათესაოს დანებების შემთხვევაში კი მას არავითარი ჩრდილი არ მიადგებოდა, ქალწულობასაც შეინარჩუნებდა, თანაც უბლიერესი და ულამაზესი ვაჟიშვილის დედა გახდებოდა. ბოლოს და ბოლოს მეფის ასული იძულებული გახდა, თავისი ნების წინააღმდეგ დაეთმო. მზე-ღმერთმა ისე შეაღწია მის სხეულში, რომ კუნტის ქალწულობა არ დაუკარგავს. მათი კავშირით დაიბადა მზესავით მანათობელი ულამაზესი კარნა, თანდაყოლილი, სხეულზე შეზრდილი ოქროს აბჯრითა და ოქროსავე საყურეებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ნიშანს მისი უძლეველობისა და ღვთიური წარმომავლობისა. ყრმა დაბადებთანვე ზედგამოჭრილი მამა, მზე-ღმერთის ასლი იყო. მხოლოდ გამდელმა იცოდა კუნტის საიდუმლო, ის ეხმარებოდა ყრმის მოვლენის დროსაც. ახალდაბადებული, მზისგან გაჩენილი შვილი, რომლის შეყვარებაც დედამ უკვე მოასწორო, მტრადმა კუნტომ გამდელის რჩევით ჩასვა კარგად გასანთლულ კალათში, წყალს რომ არ შეედწია, ღმერთებს მისი მფარველობა შესთხოვა და მდინარე აშენადის დინებას მიანდო. კალათი გაცურდა და მდინარე ჩარმავანტში მოხვდა, იქედან — მდინარე იამუნაში, იამუნადან — განგის წყლებში შეცურდა და ნაპირზე გაირიყა აქ ის იპოვეს მეგტლემ და მისმა ცოლმა, რომელთაც შვილი არ ჰყავდათ. ამოიყვანეს კალათიდან „ბიჭუნა მსგავსი დილის მზისა, მანათობელი სახით“ და სიხარულით იშვილეს იგი (არანიაკაპარეა, 1987:580-585). კარნა ნიშნავს ყუროსანს, გულისყურიანის მნიშვნელობით. სიტყვა ყურს ქართულსა და სანსკრიტში საერთო ფუძე გააჩნიათ.

როგორც ეხედეთ, „მაჰაბხარატაში“ გადმოცემული ეს სიუჟეტი, ზოგადად, მართლაც იმეორებს ვ. კოტეტიშვილის მიერ ჩამოყალიბებული ქართული გადმოცემის სქემას ამასთან, ჩვენი აზრით, ეს ინდური გადმოცემა სქემატურზე მეტ სიხლოვეს ავლენს მ. ჯანაშვილის მიერ შემონახულ ლეგენდასთან „სამარ მეფის ვაჟი“ (ვირსალაძე, 1964:98-99).

— აღნიშნულის მიხედვით, ქალწულ თამარს შვილის გაჩენის აუცილებლობის შესახებ ერის ნება ეტრატის ამცნო სულიწმინდით შემოსილმა განდევნილმა ბერმა, რომელიც „ჰაერ-ჰაერ დადიოდა“ — ინდურ ეპოსშიც, ღმერთისაგან შვილის გასაჩენი შელოცვა ქალწულმა კუნტიმ გაიგო სასულიერო პირისაგან, ბრაჰმანისაგან, რომელიც ბოლოს დამსწრეთა თვალწინ გაქრა, ჰაერში გაუჩინარდა, ანუ მასზეც შეეძლოთ ეთქვათ სიტყვები „ჰაერ-ჰაერ დადიოდა“.

— ამ გადმოცემით, თამარი დაორსულდა მაშინ, როცა ბერის მიერ მირთმეულ ეტრატზე ამოიკითხა ფსალმუნის სიტყვები ნაყოფიერი და უნაყოფო ხის შესახებ. „მაჰაბხარატას“ მიხედვითაც სასულიერო ტექსტის — ბრაჰმანის მიერ ნასწავლი შელოცვის წარმოქმნას მოჰყვა მზე-ღმერთის გამოცხადება და კუნტის დაორსულება.

— თამარი დაორსულების წინააღმდეგი იყო, „როგორღა ვეჩვენო ხალხს, როგორღა ვიმარსლო თავე წინაშე ღვთისა, რომელსაც ქალწულობის აღთქმა მიეცეო“, მაგრამ მას გამოეცხადა ბრწყინვალე ფრთოსანი ვარსკვლავი და მოახსენა: — ხმა ერისა ხმა ღვთისა არს და ამიტომ შვილის გაჩენით ქალწულობა არ მოგეღებო“. სწორედ ამგვარადვე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ინდურ ეპოსში, მეფის ქალიშვილ კუნტის ქალწულობის შენარჩუნების აღთქმას აძლევს მასთან გამოცხადებული ბრწყინვალე მნათობი მზე და არწმუნებს რომ შვილის გაჩენა უზნეობად არ ჩაეთვლება, და თავისიანების სასიკეთოდ მოვალეა სწორედ ასე მოიქცეს.

— ბრწყინვალე ვარსკვლავმა, რომელიც თამარს გამოეცხადა, უწინასწარმეტყველა, რომ შობს ძეს, რომელსაც გაზრდის ნუკრის დედა. კუნტისთან გამოცხადებულმა ბრწყინვალე მნათობმა მზემ, ასევე უწინასწარმეტყველა მას, რომ გააჩენს უღამაზეს და უძლიერეს ძეს და სხე.

— თამარს „მეცხრე თვეზე ეყოლა ვაჟი, დაბადებითვე მსგავსი ბრწყინვალე ვარსკვლავისა“. კუნტის ვაჟიც დაბადებისთანავე ზედგამოჭრილი მამა — მზე ღმერთის ასლი იყო. მსგავსი დილის მზისა.

— თამარის ორსულობისა და შშობიარობის შესახებ მხოლოდ მისმა გამძლემა იცოდა. იგივე სიტუაციაა კუნტის შესახებ გადმოცემაშიც.

— სასწაულებრივი გზით ჩასახული თამარის ვაჟი გაუჩინარდა მას შემდეგ, როცა გამძლემა იგი სამეფო ბაღში დატოვა, რათა წყლის დასაღვად ჩასულიყო. კუნტის ვაჟიც დედას წყალთან, მდინარის მეშვეობით შორდება, სადაც იგი გამძელის რჩევით, კალათით ჩაუშვეს.

როგორც ეხედავთ, აღნიშნულ ინდურ და ქართულ გადმოცემებს შორის არსებობს არა მხოლოდ ზოგადი, სქემატური მსგავსება. ჩვენი აზრით, შეიძლება თქმა, რომ თამარ მეფის მიერ შშის სხივისაგან ვაჟიშვილის გაჩენის გადმოცემის პირველწყარო ინდური ეპოსი „მაჰაბჰარატა“, რასაც უნდა ადასტურებდეს ამ თემასთან დაკავშირებული სხვა გარემოებებიც.

ჩვენი აზრით, თამარის პირველ მემატანეს თამართან და ლაშა-გიორგისთან დაკავშირებული გადმოცემებისადმი საყვარელი პოზიცია აქვს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი სამეფო ოჯახის წევრებს იოლად ადარებს ზეციურებს, ანიჭებს მათ ღეთაებრივ ტიტულებს. იგი არაორთოდოქსი ქრისტიანი და სხედასხვა რელიგიებში, მითოსში, წარმართობაში გათვითცნობიერებული პიროვნება ჩანს. ერთგან მემატანე საუბრობს, რომ ამა თუ იმ ბაგრატიონს „გვარისაგან მოაქენდა“ — გვარისაგან მოსდგამდა „თანაშთამომავლობა“, სადაყოლილი ბედისწერა, სულიერ-ზნობრივი თუ სხვა, მათ შორის ბოროტული თვისებებიც, რომელსაც „გუართაუბედურობას“ უწოდებს (ქართლის ცხოვრება, 1959. 18). შესაძლოა ეს იყოს ცდა, ქართული ტერმინით გადმოიციეს ის, რასაც ინდური რელიგიური ფილოსოფია, ძველთაგან პიროვნულ, ან საგვარეულო კარმას — ბედისწერას უწოდებს. ისტორიკოსის მიერ შემოთავაზებული ტერმინი „თანაშთამომავლობა“, ზედმიწევნით კარგად გადმოსცემს ინდურ ფილოსოფიაში ცნობილი ინკარნაციის, ასევე კეთილი თუ ბოროტი ღეთაების დედამიწაზე დაბადების — აუტარობის არსს. აღნიშნული და ზოგიც სხვა ნოუანსი გეოფიქრებინებს, რომ მემატანისათვის ინდური რელიგიური ფილოსოფიაც არ უნდა ყოფილიყო უცხო და საყვარელი ამ ცოდნას იყენებს, რათა სამეფო ოჯახისადმი მოწინააღმდეგე შეუნარ-

ჩუნოს ან შთაუნერგოს მათ, ვისთვისაც იმ ეპოქაში უფრო მისაღები შეიძლება ყოფილიყო ბაგრატიონებზე ცნობილი, მათზე მიწერილი, ჩვენი აზრით, ინდური სამყაროდან გადმონერგული გადმოცემები (წულუკიძე, 2009: 38). ტახტის მემკვიდრის დაბადებას იგი ასე გადმოგვცემს: „თამარმან ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა...“ (ქართლის ცხოვრება 1959: 56). აქ იკითხება პარალელი „მაჰაბხარატას“ გმირთანაც — კარნა, მზელმერთის ახალშობილი ძე, იყო მამის ზუსტი ასლი, არა მხოლოდ გარეგნობით, იგი სურისა ნაწილობრივი ინკარნაცია, „თანაშთამომავალი“ იყო დედამიწაზე (არანიაკაპარეა, 1987: 717).

მდინარეს გატანებული ჩვილის მფარველობა, სხვა ღმერთებთან ერთად, კუნტიმ კარნას მამას — მზელმერთსაც შესთხოვა: „დაე ყოველ ჟამს გიცავდეს შენ, მნათობთა შორის საუკეთესო — მცხუნვარე, შენი მამა, რომელმაც სასწაულებრივად მაჩუქა შენი საევი, ჩემო შეილო!“ (არანიაკაპარეა, 1981:584).

ისტორიკოსის სიტყვები ეხმიანება ზემოაღნიშნულ ეპიზოდსაც, როცა იგი ყრმა ლაშას შესახებ წერს: „მოაქვსდეს თვის შორის ხატნი და სახენი თვისთა დამსახთა მშობელთანი და მნათობნი სცივდეს მას და ენთებოდა სული ზენისა სფეროისა“.

იქვე, როცა უფლისწულის ბედზე ბარდავისაკენ გალაშქრების ამბავის თხრობას იწყებს, ისტორიკოსი შენიშნავს: „პირველად შემკრებელთა ბელსა და სუესა ზედა ლაშასა, რომელ განმანათლებელად სოფლისა ითარგმნა (აფსართა ენითა) მიჰმართეს ბარდავად...“ (ქართლის ცხოვრება, 1959:58). აქაც ისტორიკოსის მიერ საგანგებოდ წინწამოწეული და განმარტებული უფლისწულის აფხაზური სახელი ლაშა ქვეყნიერების მანათობელი, პირდაპირი გაგებით, უპირველესად მზეს უნდა ნიშნავდეს, რაც ასევე ეხმიანება და ხელს შეუწყობდა ლაშა თამარის ძის მზის სხივისაგან, თუ მზისაგან ჩასახეის შესახებ ხმების გავრცელებას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამირანის თქმულების აფხაზური ვერსიის მთავარი გმირი აბრსკილი უბიწოდ ჩაესახა მდიდარი ოჯახის ქალიშვილს, რომელსაც ასევე ქალწულად დარჩენის აღთქმა კქონდა დადებული (ჩიქოვანი, 1947:387). გარდა იმისა, რომ კუნტისა და თამარის მზისგან, მზის სხივისაგან ქალწულობის დაურღვეველად დაორ-

სულემა უმანკო ჩასახედ შეიძლება იქნას გაგებული, არის კიდევ ერთი გარემოება. ცნობილია, ნ. მაროს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც აბრსკილი კომპოზიტური სახელია (აბრსკილ) ნიშნავს „შისი შეილს“, „ცის შეილს“ (მარი, 1933:74-239). როცა ამდენი დამთხვევაა, იქ რაღაც კანონზომიერებასთან უნდა გვექონდეს საქმე, ან ის მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ თამარის ძისადმი მაინცდამაინც ამ აფხაზური სახელის დარქმევა შემთხვევით არ მომხდარა.

არის ზოგიერთი სხვა გარემოება, რაც თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის სიცოცხლის დასასრულს ამსგავსებს ინდური ეპოსის აღნიშნულ პერსონაჟთა ცხოვრების ფინალს „მაჰაბჰარატას“ მიხედვით, მზე-ღმერთისა და კუნტის ვაჟი, კარნა წყალს გატანებული გადარჩა და მეფობდა კიდევ, ოღონდ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა წაეიდა ამქვეყნიდან, დაიღუპა ბრძოლაში, რომელიც ასევე საბედისწერო აღმოჩნდა მისი გარემოცვისათვის.

ქართული ზეპირგადმოცემით, შისი სხივისაგან ჩასახული ლაშა-გიორგი, წყაროსთან დაკარგული, გადარჩა და ოგი, რეალური ისტორიული პირი, იყო საქართველოს მეფე საბედისწერო იყო მისთვის და მთელი მისი გარემოცვისათვის ჯალღედინთან ბრძოლა. აქ მარცხის შემდეგ ქართველებს დიდი გამარჯვება დიდხანს აღარ უზეიმათ. ლაშა-გიორგი, ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისაგან, ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა ბაგაენს. „შისიუენა მეფემან ლაშაგიორგი ბაგაენ მყოფმან“ (ქართლის ცხოვრება, 1959:166-167). ტომონში „ბაგაენი“ ინდური წარმომავლობისაც შეიძლება იყოს „ბჰაგაენი“ ინდურ მითოლოგიაში უმაღლესი ღმერთის სახელეკითხვით (მითები, I, 2000-201).

თამარ დედოფლის საბოლოო განსასვენებელი ადგილი მიკვლეული არ არის. მითოლოგიზებული თამარის ინდური შესატყვისის, დედოფალ კუნტის საბოლოო განსასვენებელი — საკრემაციო ადგილი ასევე უცნობია. ეპოსის მიხედვით, სიცოცხლის ბოლო წლებში კუნტი, დიდი ქვეყნის დედოფალი, მეფე შეიღების ყურადღებით გარემოცული, უარს ამბობს ყოველგვარ ამქვეყნიურ სიკეთეზე და ინდური რელიგიური ტრადიციით სანაისინი (ქარს. განდევილი, მეუღაბნოე, ნებსით გლახაკი) ხდება. ოჯახიდან წასული, უბრალო სამოსით, ოგი

თავს ირჩენდა ტყის ნაყოფებითა და კეთილ ადამიანთა მიერ გაღებული მოწყალებით. სამეფო ოჯახის წევრებს, მის შვილებს იგი აღარასოდეს უნახავთ (მაჰაბხარატა, 1978: 550). საქრთველოში V საუკუნიდან წერილობითი წყაროებით ცნობილი, არაქრისტიანული ტრადიცია „ნებისთ გლახაკობისა“, როცა საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლებიც, ყველაფრით უზრუნველყოფილნი, მიდიოდნენ განდევნილად და თავს გლახაკობით ირჩენდნენ (მეტრეველი, 1991: 253-254), ინდური სანიასინობის ინსტიტუტიდან უნდა იღებდეს სათავეს.

ზემოაღნიშნული პარაფლები, მსგავსი ქმედებანი, ბედისწერა ინდური მითოსური და ქართული მითოლოგიზებული თუ ისტორიული პირობისა, თავის მხრივ, ხელშემწყობ გარემოებას ქმნიდა საქრთველოში გავრცელებული ინდური გადმოცემების კონტამინაციისათვის.

კუნტი და ღარეჯანი

„მაჰაბხარატას“ პერსონაჟი ქალი კუნტი, გარემო, რომელშიც იგი მოქმედებს, ჩნდება არა მხოლოდ თამარ მეფის შესახებ ქართულ ზეპირგადმოცემაში.

როცა კუნტიმ თავისი მზისსახიანი ჩვილი წყალს მიანდო, როგორც უკვე აღინიშნა, კალათამ გაცურა ოთხ მდინარეში, მათ შორის იხსენიება მდინარე იამუნა. ეს ეპიზოდი გვახსენებს დალის მიერ, მისი სურვილის წინააღმდეგ გაიწილ, კარნასავით „მზის მსგავს ვაჟს“, ახალშობილ ამირანს, რომელიც, დედის სურვილით, იამანის წყაროზე დატოვეს (ჩიქოვანი, 1947:357). აქ სიუჟეტთა სიახლოვესთან ერთად, ქართულ მითში ნახსენები „იამანის წყაროც“ ჰგავს ინდურ მდინარე იამუნას. ინდური მითოსი იცნობს ტყუპ სამეულს, ძმებს იამას, მანუს და მათ დას, რომლის სახელსაც ატარებს ინდოეთის წმინდა მდინარე იამუნა (ჯამნა). ქართულ მითში ნახსენები იამანი თავისებურად აერთიანებს ინდური მითოსის ხსენებულ სამეულს, გვხვდება სხვა ქართულ ზეპირგადმოცემებშიც. ტერმინი „იამანმახვილი“ შესაძლოა, ჯვართანას განეკუთვნებოდეს. მდინარე,

სახელწოდებით იამანი, გეხედება ჩრდილო კავკასიაშიც (ვაჟა, 1956:301).

„იამანის წყარო“, ჩენი აზრით, სახეცვლილი ინდური პიდრონიშია ამირანის თქმულებაში, წინააღმდეგ ფოლკლორისტთა შორის მიღებული შეხედულებისა, თითქოს სხვა ქვეყნიდან ნასესხებ ზეპირგადმოცემაში, უცხოური ტოპონიმები აღარ გეხედება. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ისევე „მაჰაბხარატას“ მიხედვით, მდინარე იამუნას ნაპირზე იზრდებოდა ყრმა კრწანც თავის ძმა ბალაბხადრასთან, (ბალარამასთან) ერთად და უძველეს ქართულ მითში აღნიშნულის კვალიც თვალსაჩინოდ იკითხება.

როგორც უკვე ითქვა, იამუნა (ჯამნა) ინდოეთში წმინდა მდინარედ ითვლება. აღსანიშნავია, მიხ. ჩიქოვანიც ფიქრობდა, რომ იამანის წყაროც ჩვეულებრივი არ იყო, მას სასწაულმოქმედ, ძალის მომცემ წყაროდ თვლიდა (ჩიქოვანი, 1947:114.136) ინდოეთში წმინდა მდინარის წყალს იყენებენ სხვადასხვა რელიგიური რიტუალების შესრულებისას, მასში განიბანებიან და ითვლება რომ ცოდვებს ჩამოირეცხავენ. წმინდა მდინარის წყალი, მისგან შორს მყოფი მორწმუნეებისათვის, უძველესი დროიდან, დააქეთ პროფესიონალ მეწყლოურებს საგულისხმოა, რომ ამირანის თქმულების სევანურ ვარიანტში ნახსენებია „იამანის მეწყლოები“ (ჩიქოვანი, 1947:357). უხეწყლოებიან სევანეთს ისე არასოდეს უჭირდა რომ საგანგებო წყლის მზიდავები ჰყოლოდათ, რაც თქმულების ამ ნაწილის არაადგილობრივ წარმომავლობაზე მიუთითებს და მადიებლის მზერას იმ ცხელი ქვეყნისაკენ მიაპყრობს, რომლის ადგილმდებარეობასაც იამანის წყაროს ინდური შესატყვისის, მდინარე იამუნას სახელი აზუსტებს.

კუნტის ამოცნობა ამირანის თქმულებაში გაგვიადვილდება, შესაბამისად, ინდური პიდრონიშის კავკასიაში გადმოტანაც უფრო სარწმუნოდ წარმოგიდგება, თუ თვალს გაგვიდევნებთ დედოფალ კუნტის და მისი გარემოცვის მითოსურ თავგადასავალს „მაჰაბხარატას“ მიხედვით (მითები, 2000:II.28).

მზე-ღმერთისაგან ვაჟიშვილის შეძენის შემდეგ კუნტი გათხოვდა. საპატარძლოს მიერ საქმროს ასარჩევად მოწვეულ ხელისმადიებელთა თავშეყრაზე, სვამივარაზე (სვიმრა სევანეთშიც

ერქვა სახალხო შეკრებას (მარგანი, 1973:144), მეუღლედ მან „ლომეით პანდუ“ აირჩია. პანდუ დაწყველილი იყო და შეი-
ლები არ ეყოლებოდა, ამიტომ კუნტიმ მასთან შეთანხმებით,
ბრაჰმანისაგან ნასწავლი შელოცვის, გააჩინა სამი ვაჟი: დხარ-
მის, კანონიერებისა და სამართლის ღმერთისაგან (ზემთ ნახსე-
ნები იამა) მას ეყოლა ოუდპიშოხრა; ქარის ღმერთმა ვაიუმ
გაუჩინა ბჰიმასენა; უმცროსი ვაჟის, არჯუნას მამა თავად
ღმერთების მებრძოლი წინამძღოლი ინდრა იყო. მეუღლის
თხოვნით, კუნტიმ მაგიური შელოცვა ასწავლა პანდუს მეორე
ცოლსაც, რომელმაც განთიადისა და მწუხრის ტყუპი ღმერთე-
ბისაგან, აშენებისაგან გააჩინა ტყუპი ვაჟიშვილები ნაკულა და
სახადევა. ძმები, მამის სახელის მიხედვით, პანდაეებად იწოდე-
ბოდნენ (მითები, 2000:II.280). ისინი „მაჰაბჰარატას“ დადებით
გმირებს წარმოადგენენ. ამასთან, უშუალოდ კუნტის შვილებს
ეკოსში ხშირად მოიხსენიებენ დედის გვარისაგან — პრითჰი
ნაწარმოები სახელით — პარსჰა, რაც ნიშნავს პრითჰის ძეს.
ასევე კუნტის სახელისგანაა ძმების კიდევ ერთი სახელი კაუნ-
ტე — კუნტის ძე დედის სახელისა თუ გვარისაგან ნაწარ-
მოები სახელებით — კაუნტეა, პარსჰა, უფრო მაინც, კუნტის
სამი ვაჟიდან უმცროსს არჯუნას მოიხსენიებდნენ, რომელიც
დედას გამოჩრეულად უყვარდა (მითები, 2000:I.101). იგივე
ვითარებაა ამირანის თქმულებაშიც, ძმებს ხშირად იხსენიებენ
დარეჯანის ძეებად, ამასთან ისიცაა ნასქევამი, რომ „დარეჯანს
ძალიან უყვარდა თავისი უმცროსი ვაჟი ამირანი და ამიტომ
ამირანს დარეჯანის საკუთარ ძეს ეძახდნენ“ (ჩიქოვანი, 1947:313).

როცა არჯუნა კუნტის ძე დაეაჯაკცდა, მან მონაწილეობა
მიიღო მეფის ქალიშვილ დრაუპადის ხელის მოსაპოვებლად
გამართულ სეაიამეარაში, მშვილდით ტყორცნაში გაიმარჯვა და
მეფის ასულის ხელი მოიპოვა. იქ მზისსახიანი კარნაც იყო,
კუნტის უფროსი ვაჟი, მაგრამ მას შეჯიბრებაში მონაწილეობა
არ მიაღებინეს და დასცინეს, როგორც მდაბიოსა და
უგვარტომოს (მითები, 2000: I. 624).

სეაიამეარას შემდეგ, როცა დრაუპადი თავისთან, სასახლეში
მიიყვანეს, ვაჟიშვილებმა კუნტის ახარეს, რომ დაბრუნდნენ
დიდი ნადავლით. კუნტიმ, ისე რომ არც იცოდა, ყუ რა
ნადავლზე იყო საუბარი, შვილებს უთხრა: — „დატკბით მისით

ყველანი“. — ამ სიტყვებით დრაუპადი შეიქმნა ხუთივე ძმის, პანდაეების საერსო ცოლი (მისები, 2000:1395). ეს პოლიანდრიის ერთადერთი შემთხვევაა მთელს ინდურ მითოლოგიაში.

ძმები პანდაეების და მათი დედის — კრშნას მამიდა კუნტის, ასევე პანდაეების ცოლთან, დრაუპადისთან დაკავშირებული გადმოცემების ბევრი ეპიზოდი „მაჰაბარატადან“, ჩვენი აზრით, ინდოარიანთა (არიან-ქართლებთან) მოსვლის დროიდან შეერწყა ამირანის თქმულებას, რაც ვრცელი განხილვას ითხოვს. ამჟამად, ძიების მიმართულებიდან გამომდინარე, მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდზე შევიჩერდებით.

ვიშნუს მეუღლის, ქალღმერთ ლაკშმის ინკარნაცია დრაუპადი ყამარის ერთ-ერთი შესატყვისია. კუნტის სამივე ძე ბევრ ეპიზოდში მსგავსებას ავლენს უძველესი ქართული თქმულების დარეჯანისძეებთან, ე. ი. ბადრის, უსუპის და ამირანის დედას უნდა შეესატყვისებოდეს კუნტი, ნაწილობრივ ეს ასეცაა კუნტი სხვა ქალ მთაწლოგოურ გმირთაგან გამორჩეულია იმით, რომ სულ სხვადასხვა მამებისაგან, მართალია ზეცოურთაგან, გააჩინა ოთხი ვაჟიშვილი, რომელთაგანაც ერთი მდინარეს მიანდო. ასევე, კუნტის სიტყვების წყალობით, რძალი დრაუპადი შეიქმნა მისი სამი ვაჟის და ორი შვილობილის (გერის), სულ ხუთი მამაკაცის ცოლი. დედამთილის ამ გაუცნობიერებელ გადაწყვეტილებას მაშინ არც დრაუპადი შეწინააღმდეგებია კუნტისა და დრაუპადის ასეთი საქციელი ქართული ტრადიციული მორალით გარყვნილებად ჩათვლებოდა როგორც ეტყობა, სწორედ ამიტომ, ამირანის თქმულების ქართლურ, ფშაურ და ხევსურულ ვარიანტებში ამირანის ერთ-ერთი სახელეპითეტია ცოლდედაბოზი (ჩიქოვანი, 1947: 287, 322, 340, 344, 395). როცა ამირანის მიმართ ამ შეურაცხყოფელ მიმართვას იყენებს ყამარის გაბოროტებული საქმრო, ან კაცოჭამია დევი, ეს მათ აუყოობას შეიძლება მიეწეროს, მაგრამ ამირანს ასე ორჯის მიმართავს თავად ყამარი: „ამირან, ცოლდედაბოზო, ომი ვერ იცი კილოსა...“ (ჩიქოვანი, 1947: 322, 344). დასაშვებია, კუნტისა და დრაუპადისთან დაკავშირებული ეს ინდური წარმოდგენობის გადმოცემაც კქონდათ მხედველობაში და იგი მიეწერა იბერია-ქართლელთა წინაპრებს, როცა „ქართლის ცხოვრებაში“ ჩაიწერა:

— არა იცოდნენ ნათესავი, არცა ცოლქმრობა“ (ქართლის ცხოვრება, 1973:53).

კუნტის მეუღლე, მეფე პანდუ ადრე გარდაიცვალა. მისი შვილები მცირეწლოვნები იყვნენ, ამიტომ სამეფო ტახტზე პანდუს ძმა ბრმა დითორაშტრა ავიდა. ამის შემდეგ დითორაშტრა და მისი ვაჟები — კაურავები, სულ იმის ცდამი იყვნენ, რომ სამეფო ტახტის პრეტენდენტი ბიძაშვილი პანდავები ჩამოეკვილებინათ. კაურავები დემონური სამყაროს მიწიერ ხორცშესხმას წარმოადგენდნენ და მოქმედებაც შესაბამისი ჰქონდათ. ცდილობდნენ დაეღუპათ კუნტი და მისი ვაჟიშვილები. ერთხელ, საგანგებოდ აგებულ, ადვილად წვადი მასალით აგებულ სახლში მიიწვიეს ბიძაშვილები და ღამით ცეცხლი გაუჩინეს. პანდავები გადარჩნენ, მაგრამ დემონური სულის კაურავეთაგან ისევ მოსალოდნელი სასიკვდილო საფრთხის შიშით გადაიხვეწნენ და იმალეობოდნენ. აღნიშნულს უნდა აირეკლავდეს ამირანის თქმულების ფშაური ვარიანტის ეპიზოდი: „სულკალმახი მოკვდა იმის მტერს დეეებს დრო მიეცათ ჯავრის ამოყრისა. დაეცნენ ობლების სახლ-კარს და სულ ცეცხლის ალი აადინეს, ააოხრეს და დააბუნდოვეს ძმები, დეეების დაშინებულები, სულ გადაიკარგნენ, გასწირეს თავისი ქვეყანა“ (ჩიქოვანი, 1947:313).

აქ პანდუს სულკალმახი ჩაენაცვლა და მსგავსება ინდურ და ქართულ გადმოცემებს შორის თანდათან, ვფიქრობთ იკვეთება. მიხეილ ჩიქოვანი იმასაც შენიშნავს, რომ ამირანის თქმულების ზოგიერთი ვარიანტი „ასახავს ხელმწიფის შვილების ბრძოლას მამის მემკვიდრეობის გაყოფაზე“ (ჩიქოვანი, 1947:414).

დემონური სულის კაურავეთა გარემოცვაში მყოფ კუნტის ერთადერთ იმედად რჩებოდა მისი ძმისშვილი, მათურის (ტოპონიმი გეხვდება ფშაეშიც) მეფე კრშა. ერთხელ კუნტის აკრურა ესტუმრა. „აკრურა კუნტის ერთ-ერთი ბიძაშვილი გახლდათ, ამიტომ მასთან შეხვედრის შემდეგ კუნტიმ მამის მხრიდან ნათესავების ამბავი გამოჰკითხა. მას შშობლიური ადგილები გაახსენდა და თვალები ცრემლით ავესო, ჰკითხა აკრურას, ახსოვდათ თუ არა იგი მამას, დედას, ძმებს, დებს, განსაკუთრებით კრშა და ბალარამა, თავისი სახელოვანი ძმისწულები მოიკითხა — შინაგანად კუნტი თავს ფურირემად გრძნობდა ვეფხეებს შორის და მისი მდგომარეობა მართლაც ასეთი იყო-

იმედოვნებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს კრწხა მოვიდოდა და იხსნიდა მას განსაცდელისაგან“ (კრწხა, 1991: 306).

ქართულ-კავკასიურ მითოსში, კუნტის ამირანის თქმულების ფშაური ვარიანტის დარეჯანთან ერთად, ოსური გადმოცემების დარეჯანიანთა ასული — ამირანის მამიდა ენაცვლება. ფშაური თქმულების დარეჯანს მ. ჩიქოვანი ოსური გადმოცემების დარეჯანიანთა ასულთან აიგივებს: „დარეჯანიანთა ასული პერსონალურ სახელს არ ატარებს. ერთი რიგის თქმულებებში იგი ამირანის მამიდათ იწოდება, მეორეში ამირანის დეიძლი და არის დარეჯანიანთ ასული მანდილოსანია, დიდი ხანია იგი ქმრის ოჯახში ცხოვრობს, თუმც იქ ქვრივი ქალის მძიმე უღელს ეწევა“ (ჩიქოვანი, 1965:168). როგორც ვხედავთ, დარეჯანიანთა ასული — ამირანის მამიდა, თავის ხვედრით ჰგავს კუნტის. ქვემოთ ეს მსგავსება უფრო გამოიკვეთება. მაგრამ კრწხას მამიდა კუნტი რატომ შეიძლება შეესატყვისებოდეს ამირანის მამიდას? საქმე იმაშია, რომ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული მითოლოგიური გმირის ამირანის სახე კრებითა და სხვებთან ერთად ითავსებს „მაჰაბხარატაში“ აღწერილ კრწხას, მის იერსახეს, თვისებებს, საახლობლო წრეს ამირანს მიეწერება კრწხასთან დაკავშირებული არაერთი ეპიზოდი (წულუკიძე, 2009:45-46). კრწხას მამიდა კუნტის ამირანის მამიდასთან შესატყვისობას ლოგიკური საფუძველი გააჩნია.

მიხ. ჩიქოვანის მიერ დამუშავებულ „ამირანის თქმულებაში“, რომელიც მეზობელ კავკასიულ ხალხებში, მათ შორის ოსებში ამირანზე გავრცელებული თქმულებების შეჯერების ცდას წარმოადგენს, კუნტის განცდებთან დაკავშირებული ზემოთ მოტანილი ეპიზოდი ასეა წარმოდგენილი: „სულკალმახიანთ ერთი ასული შეიღი მთის იქით იყო გათხოვილი. დიდი ხანი გასულიყო და ქალს სამშობლო არ ენახა, თავისიანების ამბის გაგება კი სწყუროდა. გზაზე დევებს, ან მეკობრეებს ხელში რომ არ ჩავარდნოდა, ერთ დღეს შელად იქცა“ (ჩიქოვანი, 1961:51).

როგორც ვხედავთ, კუნტისაგან განსხვავებით, რომელიც საშიში დემონური გარემოცვის გამო „თავს ფურორემად გრძნობდა ვეფხეებს შორის“, მისი კავკასიური შესატყვისი,

დევების შიშით, „შეღალდ იქცა“. აქ ამირანის მამიდას კრწნას მამიდასაგან განსხვავებით მაქციობის უნარი მიეწერება.

გადმოცემის მიხედვით, ამირანი ძმებთან ერთად მიდის მამიდასთან, გაიგებს რომ იგი დაქვრივებულია, მტრად ბაყბაყ-დევნი შემოსწენია და თავის სამ შეიღთან ერთად მუდმივი საფრთხის შიშით ცხოვრობს. ამირანი ძმებთან ერთად ამარცხებს ბაყბაყდევს, გასაჭირიდან თავის დაღწევაში ეხმარება დაქვრივებულ მამიდას და მის შვილებს (ჩიქოვანი, 1961: 58-67).

„მაპაბხარატაშიც“ იგივე ხდება: კრწნა ეხმარება დაქვრივებულ, გასაჭირში ჩაყვარდნილ მამიდა კუნტს და მის შვილებს დემონური გარემოცვის დამარცხებასა და მათი კანონიერი უფლებების აღდგენაში.

აქვე დაისმის პანდუს შესატყვისობის საკითხი ამირანის მამიდის ქმართან, რომლის სახელიც კავკასიურ გადმოცემას არ შემოუნახავს. მიხ. ჩიქოვანი მას ცამცუმთან აიგივებს (ჩიქოვანი, 1965:166), ვფიქრობთ, მარსებულადაც. პანდუსა და ცამცუმსაც ინდური და ქართული გადმოცემები ღომებს ადარებენ, ორივე ადრე გარდაიცვალა, მათ დაობლებულ ცოლშვილს დემონური არსებები მტრობენ, გამოჩნდებიან მფარველები, მათი მუუღლებების ძმისშვილები, რომელთა მეშვეობითაც როგორც პანდუს, ისე ცამცუმის მოდგმა თავს აღწევს გასაჭირს. ვფიქრობთ, ყველაფერი ეს იძლევა საფუძველს ვისაუბროთ პანდუს, დარეჯანიანს ასულის ქმრის და ცამცუმის ურთიერთშესატყვისობაზე თუ არა, სიახლოვეზე მაინც.

დევნილობაში მყოფმა პანდავებმა ტყეში ააგეს ულამაზესი ქალაქი ინდრაპრასთაჰა. კაურავთაგან უფროსმა ძმამ, მეფე დურიოდხანამ გაიგო, მოინახულა ეს ქალაქი და კიდევ ერთხელ აეცხო გული შურითა და მსაკერობით. მან პანდავები სატახტო ქალაქ პასტინაპურში მიიწვია და უფროსი ძმა იუდპიშთხირა კამათლებით თამაშში გამოიწვია. პოემის მთავარი გმირები ქმატრიათა — მეფეთა და მეომართა კასტის წარმომადგენლები არიან. ქმატრია უარს ვერ იტყვის არა მხოლოდ ბრძოლაზე, არამედ მოწინააღმდეგისაგან საერთოდ რაიმე სახის გამოწვევაზე ყველაფერი წინასწარ მოფიქრებულად მოხდა, იუდპიშთხირას კამათლებით, თამაშის ბევრი არაფერი გაეგებოდა. მოწინააღმდეგენი კი შულერები იყვნენ და იუდპიშთხირამ

წააგო ყველაფერი: სამეფო, ძმები, საკუთარი თავი და პანდა-
ვების საერსო ცოლიც — უმშვენიერესი დრაუპადი. ისინი მო-
ნებად იქცნენ. ეპოსის თანახმად, უფროსი პანდაეას ასეთი
უგუნურება სინამდვილეში მის მიერ განჭვრეტილი ღვთაური
წინასწარგანზრახულობით იყო ნაკარნახევი (მითები, 2000: II.677).
ამირანის თქმულების ოსურ გადმოცემას, სადაც ამირანი ყამარს
ინდოეთში ეძებს, ისიც ახსოვს, რომ „უფროსი ძმა იყო
გულთმისანი“ (ჩიქოვანი, 1947:391).

კაურავეების მამის, ბრმა დითირაშტრას ჩარევით, რომელიც
სინდისმა შეაწუხა, პანდაეები და დრაუპადიც მონობას გა-
დაურჩნენ, მაგრამ 12 წლის განმავლობაში განდევილობაში უნ-
და ეცხოვრათ, შემდეგ კი ერთი წელი ისე უნდა გაუჩი-
ნარებულყოყენენ, რომ ისინი ვერაეის ეცნო. ასეთი იყო პირობა.

კაურავეებსა და პანდაეებს შორის კონფლიქტის მთავარ
მიზეზად სამეფო ტახტთან ერთად, კაურავეთა მხრიდან დრაუპა-
დის შეურაცხყოფა ითვლება (მითები, 2000: I. 395). როცა
იუდჰიშთხირამ თამაშში დრაუპადი წააგო, პანდაეების სიძულ-
ვილით დაბრმავებულმა დუროდხანამ იჩქარა დაემცირებინა
რძალი, შებრუნდა, ტანსაცმელი აიწია და თავისი მარჯვენა
თეძო უჩვენა დრაუპადის მას არც სხვები ჩამორჩნენ ასეთი
შეურაცხყოფის გამო რისხვით ანთებულმა კუნტის ძემ,
გულფიცხმა ბჰიმასენამ მაშინ შესძახა: — დაე, ნუ მივადწევ
მე ჩემს წინაპართა სამყარომდე, თუ ბრძოლაში ლახტისა არ
დაგიფშენა ეგ თეძოები, დუროდხანა! — ბჰიმამ სხვა სიტყუ-
ებიც წარმოსთქვა, რაც წინასწარმეტყველური აღმოჩნდა (მაჰაბ-
ხარატა, 1978:424).

ცამეტწლიანი განდევილობის შემდეგ, პანდაეები თავიანთ
მომხრეებთან ერთად, იარაღით ხელში შეხვდნენ კაურავეების
ლაშქარს, კურუქშეტრას ველზე „მაჰაბხარატა“ ნიშნავს ბხარა-
ტების (ინდოელების) დიდ ომს ამირანისა და მისი ძმების მიერ
ყამარის დასანარჩუნებლად ქაჯთბატონთან გადახდილი ომის
ზოგი ეპიზოდი, რასაც აქ ნაწილობრივ შევსებით,
კურუქშეტრას ბრძოლიდანაა გადმოტანილი.

პანდაეების დედის, კუნტისათვის ეს ომი ორმაგად სამძიმო
იყო, რადგან მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმყოფებოდა და ბოლოს
სარდლობდა კიდევ კაურავეთა ლაშქარს მზელმერთისაგან

შეძენილი პირველი ვაჟიშვილი კარნა. კაურაევებმა დაიახლოვეს შზისსახიანი, უძლიერესი მეომარი, მასთან მეგობრობდა კაურაეთა უფროსი ძმა მეფე დუროდხანა. მათ უპატრონეს მეეტლის ოჯახში გაზრდილს, ანგების სამეფო ჩააბარეს. კარნაც მადლიერი იყო კაურაეებისა, ერთგულობდა მათ.

კუნტი ომის წინ მივიდა კარნასთან, აუხსნა რომ იგი მისი შვილი იყო და პანდაეების ძმა. სთხოვა ბრძოლაში პანდაეების მხარე დაეჭირა. კარნამ უპასუხა: — როგორ შეგეძლო შენ, მ-გეტოვებინე ასე, ბედის ანაბარა?! შენ მიმაგდე ძაღლის ლეკვივით, ახლა კი მეუბნები, რომ ჩამოვცილდე ჩემთვის ახლობელ ადამიანებს. მე ვიქნებოდი უმადური, შენს რჩევას რომ ავყავი ყველამ იცის: არჯუნა უდიდესი და უძლიერესი მეომარია. თუ მე მის მხარეს დაეიჭერ, ხალხი ლაჩრად ჩამთვლის, იტყვიან, რომ მე მისი შემეშინდა. არა, მე დავრჩები დუროდხანასთან იგი ჩემი მფარველი და მეგობარია. მაგრამ ერას გპირდები: ბრძოლაში დაეინდობ ყველა შენს შვილს, გარდა არჯუნასი. მასთან მე ვიბრძოლებ, და ჩვენს შორის ვინც არ უნდა დაიღუპოს, სულერთია, შენ მანც გეყოლება ხუთი შვილი (მაჰაბხარატა, 1978: 450).

კარნამ შეასრულა დედისათვის მიცემული პირობა, ორთაბრძოლაში დაამარცხა თავისი ძმები, მაგრამ შეუნარჩუნა მათ სიცოცხლე ბოლოს არჯუნას შეხვედა. ბრძოლის ბედი მათ შეტაკებას უნდა გადაეწყვიტა, ორივენი იყვნენ დაპირისპირებულ მხარეთა მხედართმთავერები, ორივე იყო უძლიერესი. იყო ბოლო ცდა უშუალოდ კარნასა და არჯუნას შეტაკების წინ დაპირისპირებულ მხარეთა შეროგებისა. ეს იდეა ეპოსში დემონური სამყაროს წარმომადგენლებად შერაცხულ კაურაეთა ბანაკში განიხილებოდა, მაგრამ იქვე ითქვა, რომ კარნა არასოდეს დათანხმდებოდა ამ წინადადებას (კარნაპარეა, 1990: 217). შესაძლოა, აღნიშნულის ანარეკლი იყოს ამირანის თქმულების ფშაურ ფრაგმენტში სიტყვები:

„დეეთა დაიწყეს ბაყ-ბაყი, ომისა დასამშვიდარა—
თქვენში კაცთა ნამდურაეთა შარიგება არ იცითა?“
(ჩიქოვანი, 1947: 312).

ზავი არ შედგა. ინდური ეპოსის ბრწყინვალე გმირი კარნა, რომელსაც სიძლიერთა და ბედისწერით ელინთა აქილევსს

ადარებენ, არჯუნასთან ორთაბრძოლაში დაიღუპა. ეპოსის მიხედვით, კარნას დაღუპვა მისმა ცოდვებმა განაპირობა, ესეც რომ არ ყოფილიყო, „მაჰაბხარატაში“ გატარებული აზრით, შეუძლებელია გაიმარჯვო მასთან, ვინც უფლის ერთგულია, მის რჩევებს მიჰყვება და ვის საბრძოლო ეტლსაც (სიმბოლო — ვის ცხოვრებასაც) თავად უფალი კრძნა წარმართავს.

„მაღლა რათა სცემ სპილოსა“

კაურაეებმა ბრძოლა წააგეს და თითქმის მთლიანად გაწყდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო დუროდხანა, კაურაეთაგან უფროსი. მფევე დუროდხანა (ინდურად — „ვისთანაც ძნელია ბრძოლა“) ბოროტების დემონ კალის მიწიერ ხორცშესხმას წარმოადგენდა (მითები, 2000: I 412). მისი სხეულის მთელი ზედა ნაწილი, აღმასებისგან შედგენილი, ყოველგვარი იარაღისაგან შეუვალი იყო (არანიაკაპარვა, 1987: 487). დუროდხანას ლაშქარიც, დიდწილად, დემონებისაგან შედგებოდა. ისინი საგანგებოდ დაიბადნენ დედამიწაზე, ან ჩასახლდნენ დუროდხანას მომხრეთა სხეულებში, რათა კურუქშეტრას ბრძოლაში ბოროტების მხარდასაჭერად ებრძოლათ (არანიაკაპარვა, 1987: 487).

ამირანის თქმულების მიხედვითაც, ყამარის მამა „ნახევრამდი ფოლადში იჯდა“ (ჩიქოვანი, 1947: 299), „მუხლებს ზემოთ რკინის ტანსაცმელი ჰქონდა“ (ჩიქოვანი, 1947: 305) და „ლაშქარი სულ ქაჯებისა და ეშმაკებისაგან იყო შემდგარი“ (ჩიქოვანი, 1947: 321), როგორც ეხედავთ, ამ შემთხვევაშიც ინდური და ქართული მითოლოგიური გადმოცემები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

სისხლისმღვრელი ბრძოლის მე-18 დღეს დუროდხანა დემონური მაგიის გამოყენებით ტბის ფსკერზე ემალებოდა სიკვდილსა და სირცხვილს (აღმ. საქ. მითიანეთში დაცული გადმოცემებითაც აესულები აბუდელაურის ან ბაზალეთის ტბის ფსკერზე აფარებენ თავს). პანდაეებმა მიაგნეს, დუროდხანა ტბის ფსკერიდან ამოიყვანეს და შესთავაზეს ორთაბრძოლაში გამოეწვია, ვისაც თავად ინდომებდა და ებრძოლა იმ იარაღით,

რომელსაც თავად აირჩევდა. — თუ გაიმარჯვებ, ისევ იქნები მეფე! — შექპირდა ოუდპიშისხირა.

დუროოდხანას ლახტით ბრძოლაში ადრე კრწანას ძმა ბალადევა ავარჯიშებდა. დემონსაა რჩეული უძლიერესი იყო ამ იარაღის ხმარებაში და არჩევანი მასზე შეაჩერა, ორთაბრძოლაში კი ბპიმასენა გამოიწვია. ბპიმასენა ძალით აღემატებოდა მას, სამაგიეროდ დუროოდხანა სჯობდა საბრძოლო ოსტატობით. წელსზემოთ აღმასებით დაცული დუროოდხანა ნებისმიერი იარაღისაგან დაცული იყო, წელს ქვემოთ დარტყმას კი ორთაბრძოლის ქმატროული წესი კრძალავდა.

ბრძოლა გაჭიანურდა. — თუ ისინი, ორივენი იბრძოლებენ პატიოსნად, ბპიმასენა ვერასოდეს დაამარცხებს დითირაშტრას შეიღს — უთხრა მაშინ კრწანამ არჯუნას — მხოლოდ მოტყუებით შეუძლია მას გაიმარჯვოს. ღმერთებმაც კი მოტყუებით დაამარცხეს ასურები. უზარმაზარ საფრთხეში ჩაგვაგდო ოუდპიშისხირამ თავისი დიდსულოვნებით. გაახსენე ბპიმასენას მის მიერ დადებული აღთქმის შესახებ. არჯუნა, დაე მან მოტყუებით გაიმარჯვოს დუროოდხანაზე!

მაშინ, არჯუნამ ანიშნა ბპიმასენას, ხელი შემოიკრა თეძოზე გაიგო ეს მინიშნება პანდუს შეიღმა: გაიხსენა თავისი აღთქმა, კამათლებით თამაშის დღეს მიცემული, რომ თეძოებს დაუფშენიდა დუროოდხანას ამასობაში კიდევ უფრო გაუჭირდა, მუზარადი გაიგლიჯა და თავი გაუსისხლიანდა. ფეხზე ძლიეს იდგა დუროოდხანა გადამწყვეტ დარტყმას ამზადებდა, ფრთხილობდა, ბპიმასენა თავს ხომ არ იკატუნებსო. ბპიმამ ძალა მოიკრიბა და გაქანდა მისკენ, დუროოდხანას სურდა გაქცეოდა, მაგრამ არ ელოდა, რომ მტერი მას დარტყმას მიაყენებს წელს ქვემოთ, პატიოსან ორთაბრძოლაში აკრძალული ხერხით. ბპიმასენამ სწორედ წელს ქვემოთ დაქკრა და ორივე თეძო დაუშისხერია დუროოდხანას (მაჰაბხარატა, 1978: 524-525).

ახლა გავიხსენოთ მსგავსი ეპიზოდი ამირანის თქმულებიდან. ამირანმა გაწყვიტა მთელი ლაშქარი და შეხვდა ბოლოს პირისპირ სიმამრს. შეუტიეს ერთმანეთს. სცეს ერთურთს მახვილი. უცქეროდა ყამარიც დიდხანს ამირანის და მამის უწყობას, კხედავდა, რომ ამირანს გაუჭირდებოდა და გაუჭირდა

კოდეც ქაჯთ-ბატონის მოკვლა. შეუშვითდა გული ყამარს და დაპემო ამირანი:

ამირან, ცოლ-დედა ბოზო, ომი ვერ იცი კილოსა,
მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოპკარ რბილოსა.
დააწყედებიან ძარღვები, დაეკემიან ძიროსა. (ჩიჭუანი, 1947: 322).

ამირანმა გაიგონა ცოლის სიტყვები, შემოპკრა ქაჯთბატონს ფეხებში ხმალი და დასტრა, მოკლა. (ჩიჭუანი, 1947:322).

ინდური და ქართული გადმოცემების ამ ორი ეპიზოდის საერთო წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ რატომ ჩაენაცვლა ქართულ მითში ყამარი კრშნას, რომლისაგანაც მოდის ინდურ მითში დუროდხანასადმი წელს ქვემოთ აკრბა-ლული დარტყმის მიყენების რჩევა? ეს არ არის მხოლოდ ათასწლეულთა განმავლობაში პირველადი მითის დაეიწყებით გამოწვეული აღრეულობა. საქმე იმაშია, რომ ინდურ ეპოსში, ჩენი აზრით, ყამარის შესატყვისი პერსონაჟის — დრაუპადის ერთ-ერთი სახელია, ასევე კრშნა — „შაე“, შაგერემანის მნიშვნელობით (მითები, 2000:1395). ეს არ არის უფალ კრშნასა და კრშნა-დრაუპადის სახელთა იგივეობით გამოწვეული ერთადერთი აღრეულობა, რის გამოც უფალ კრშნას მოქმედება ამირანის თქმულებაში ყამარს მიეწერება, რაც ცალკე განსახილველი თემაა. სახელთა იგივეობით გამოწვეულ ამ აღრეულობებს დადებისიცი ახლავს, იგი ადასტურებს ჩენს მურ განვითარებული შეხედულების მართებულობას — დრაუპადისა და კამარ-ყამარის ურთიერთშესატყვისობას.

ქართული მითოლოგიური პერსონაჟის, ყამარის ერთ-ერთი ინდური მითოსური პროტოტიპი — კრშნა-დრაუპადი, კურუქ-შეტრას ბრძოლის შემდეგ, იმ სამეფოს დედოფალი გახდა, რომლის დედაქალაქიც პასტინაპური — „სპილოთა ქალაქი“ იყო (მითები, 2000:1395). ფიდა კეიწინაძის მონათხრობ ამირანის თქმულების გორულ ვერსიაში ეს ეპიზოდი აირეკლა არც მთლად ზუსტად, და მაინც საკმარის მიახლოებით: „ყამარი სპილოთა ხელმწიფის შვილი იყო.“ (ღლონტი, 1952:14).

დარეჯანი და ჯანარდანა

მითოსურ პერსონაჟებს, კუნტის და დარეჯანს, ისევე როგორც მათ გარემოცვას, როგორც ეხედათ, ბევრი საერთო გააჩნიათ. მაგრამ რატომ უნდა დარქმეოდა ქართულ მითში კუნტს დარეჯანი? ჩვენი აზრით, სახელთა ასეთი შენაცვლება, შეიძლება კრწანს უკავშირდებოდეს, რომლის ერთ-ერთი სახელიცაა ჯანარდანა. ვიწნუ-კრწანს ერთ-ერთი სახელი ჯანარდანა ცალსახად არ ითარგმნება. იგი განიმარტება როგორც: „ადამიანთა სამოღვაწეოდ აღმძვრელი“, „ბოროტების ჩამდენთათვის სამაგიეროს მიბეები“ და „ადამიანთაგან პატივდებული“ (კარნაპარვა, 1990: 278). (ამ თემაზე იხილეთ ასევე „ბაპაგავატ-გიტა“, 1983:134). უფალ კრწანს — ჯანარდანას უყვარდა თავისი მამიდაშვილები, არაერთგზის უხსნია ისინი სასიკვდილო საფრთხისაგან, ეხმარებოდა რჩევებით, უნერგავდა იმედს, მიჰყავდა გამარჯვებისაკენ. კუნტის შვილებიც სიყვარულით პასუხობდნენ, მიიზნევენ მას მშობლის მაგიერად: — „შენ ჩვენთვის ხარ როგორც დედა!“. ასე მიმართავს კრწან-ჯანარდანას არჯუნა კაუნტვა (კარნაპარვა, 1990:168). საქართველოში, დროსა განმავლობაში, უფრო აღბაა ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების შემდეგ, როცა „მაჰაბხარატას“ — ინდუისტთა ბიბლიის ხსოვნა გაფერმკრთალდა, ძმებზე დედასავით მზრუნველი ჯანარდანას სახელი ამირანის თქმულების (ერთ-ერთ პოპულარულ) ფშაურ ვარიანტში, უნდა ვიფიქროთ, დარეჯანად იქცა ამ თვალსაზრისის მართებულობას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ ამირანის თქმულების სხვადასხვა ვარიანტებში დარეჯანი ყოველთვის არ აღნიშნავს მითოსური გმირების დედის სახელს. ერთ ქართლურ ვარიანტში სულკალმახის და მისი მოდგმის გვარია დარეჯანაშვილები (ჩიქოვანი, 1947:272). ხევსურულში „კაც ხქვიან დარეჯანი“ (ჩიქოვანი, 1947:342). სვანურ ვარიანტში „მონადირეს სახელად დარეჯელანი ერქვა“ (ჩიქოვანი, 1947: 356); ოსურ გადმოცემებშიც ძმებს „დარეჯანები“, „დარეძანტები“ ჰქვიათ.

ამასთან, საქართველოში უნდა სცოდნოდათ სახელიც — კუნტი. თუ შეთში, სოფელ დანოში გეხვდება მიკროტოპონიმი კუნტო (კურდღელაიძე, 1983:102). კუნტო ძველინდურად იგივეა,

რაც კუნტისა. თუშეთის სოფელ დანოში, როგორც ეტყობა, კუნტის მოსახსენიებული ნიში, სალოცავი არსებობდა, რომლის ხსოვნაც ჩვენამდე მიკროტოპონიმმა მოიტანა. კუნტის, როგორც კრწნას მამიდას და „მაჰაბხარატას“ ცნობილი პერსონაჟების დედას, ინდოეთში დღესაც მიაგებენ პატივს.

კარნა და თორღვა

გამითორებული, მზის სხივისაგან ჩასახული ლაშა თამარის ძე „მაჰაბხარატას“ ცნობილი გმირის — კარნას მკრთალად ფიქსირებულ შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ. შემოინახა ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ სხვა გადმოცემა ინდური მითოსის ამ მეტად კოლორიტულ გმირზე? კონტამინირებული გადმოცემა ხევსურ თორღვაზე (ოჩიაური, 1961:124-129) ამ კითხვაზე დადებით პასუხს უნდა იძლეოდეს.

ხალხური გადმოცემით, პირიქითელი ხევსური თორღვა კარნასავეთა არაცოლქმრული კაემირის შედგად გაჩენილა და რაც ასევე საყურადღებოა, მას ბაგრატიონის უკანონო შეილად მიიჩნევენ.

„ობლობით ამოიზარდა ვე თორღვა, ძაგან გეარია;

გამაჰყვა დაბადების დღეს მარჯვენა სისხლიანია;

ამოზდას ამიყოლა ცეცხლი და ნაღვერდალია; (მანძე, 1931:350).

„ამოყოლილი“ ცეცხლი და ნაღვერდალი, შესაძლოა, კარნას მამისაგან, მზე-ღმერთისაგან შეიღისადმი ნამემკვიდრევი ბრწყინვალეების და ცეცხლოვანების ხსოვნის ანარეკლი იყოს, თორღვას შესახებ გადმოცემაში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კარნას ერთ-ერთი სახელეპითეტია „კარნა-ცეცხლი“, იგი თავისი მამაცური ცეცხლოვანებითა წვეს მოწინააღმდეგეს როგორც ტყეს (კარნაპარვა, 1990:124).

ხალხურ გადმოცემებში თორღვას მიმართ გამოყენებული ეპითეტები: „ირემი თვირთვილიანი“, „ხარი მანძილა რქანი“, „ბაგრატიონთა ხარი“ და სხვ. ერთი ხალხური ლექსი „აზუსტებს“, თუ სახელდობრ რომელი ბაგრატიონის შეიღია თორღვა:

„ხევსურ ყოფილა თორღვაი, ერეკლეს ნაბიჭვარიო“ (კოტეტი-შვილი, 1961:129).

სამეფო გვარის წარმომადგენლის უკანონო შვილობა თორღვას ისედაც ამსგავსებს კარნას, ამასთან, ბაგრატიონთაგან მანკლდამანკ მეფე ერეკლეს შვილობაც ბევრის მთქმელია. როგორც თამარ მეფის მზის სხივისაგან ჩასახულ ძეს, ასევე: „ბატონისშვილ ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვიან.“ (სიხარულიძე, 1961:61). და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ხალხური რწმენით: „მეფე ერეკლე ზეცას არს, ღმერთთან არს წილნაყარიო“ (უმიკაშვილი, 1964:113). წუთისოფლიდან გასულ ერეკლეზე უთქვამთ: „არ მოკვდა, ღმერთთან წაეიდა, ძმა არის განაყარი“ (სიხარულიძე, 1961:66). ძელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, აქ იმ ფენომენზეა საუბარი, რომელსაც ინდოელები ავატარას, ღმერთის ინკარნაციას, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი კი თანაშთამომავლობას უწოდებს ხევსურული გადმოცემა „აზუსტებს“. რომ მეფე ერეკლე გუდანის ჯვარის მოძმე ყოფილა. ხევსურეთში რომ მოვიდოდა „ხევსურთ ჯარში გასაყვანად“, მაშინ, პირველად გუდანში ავიდოდა, შევიდოდა გუდანის ჯვარის ბუდეში, იქიდან კი საუბარი ისმოდა ერეკლეს და გუდანის ჯვარისაო. ისინი საუბრობდნენ ხევსურთ საჭირობო-როტო და აგრეთვე საქართველოს საკითხებზე გუდანის ჯვარს ხევსურნი ვერ ხედავდნენ, ერეკლეს კი პირდაპირ ეცხადებოდა და როგორც მოძმეს, ესაუბრებოდა. საუბარს რომ გააათვალებდნენ, ერეკლე გამოვიდოდა და გუდანის ჯვარის სურვილს შეყრილ ხევსურთ უამბობდა (ბარდაველიძე, 1982:14). ჩანს, მეფე ერეკლე ხევსურთა მიერ გუდანის ჯვარის (—ინდოელთა ინდრას შესატყვისი ქართულ მითოსში — ნ. წ.) მოძმედ, — ინკარნაციად იყო მიჩნეული და მისი შვილობა თორღვას კიდევ უფრო ამსგავსებს მზე-ღმერთის შვილ კარნას.

კარნას დაბადებიდან დაჰყვა მზე-ღმერთის ატრიბუტები, ამრიგად, უკვდავების წყლიდან ამოსული ჯაჭვი და საყურეები, ნიშანი მისი უძლეველობისა და ღვთიური წარმომავლობისა (არანიაკაპარეა, 1987:583). თორღვაც ნაწილიანი დაიბადა, ბეჭებზე მთვარის და მზის ნიშანი აზის: „დიდებულუბა დაუთქვეს, ბეჭებს უნახეს ჯვარიო/მარჯვნივ მზე წერებულიყვა/მარცხნისკენ მთვარის ნალო“ (ვანაგა, 1991:55).

„ღეთისაგან დაელათიან“ თორღვას ყველაფერში ხელი ემარსება. ნადირობისას მთის ნაპრალში ჩაყარდნის მუარველად გველეშაპი (გველი, ქაჯი, ეშმაკი) მოველინება და ჯადოსნურ ჯავს აჩუქებს: „ტანზე ჩააცვა ვეშაპმა ჯაჭვი და სამანქანოა“ (შანიძე, 1931:350). „ხმალი თუ ისარი, სადაც არ უნდა მოხვედრილიყო, ვერას აკლებდა თორღვას, რადგან ჯაჭვი იქ მოგროვდებოდა და ამრიგად არჩენდა თორღვას სიკვდილისაგან“ (კოტეტიშვილი, 1961:371). ასეთი ჯაჭვის ფლობა თორღვას ასევე ამგავსებს კარნას, რმოელსაც სხეულზე შეზრდილი ჯაჭვი და საყურეები — უძლეველობის ნიშანი დაბადებიდან დაჰყვა.

თორღვას ჯაჭვი, ზოგი ვერსიით, ეშმაკმა თუ ქაჯმა აჩუქა „ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, ეშმაკის ნაჩუქარიო“ (კიკნაძე, 1992:39-40). აღსანიშნავია, რომ კარნას მუარველი და მწყალობელი დუროდხანა ასევე „ეშმაკია“, ოგი ბოროტების დემონ კალის მიწიერი ხორცშესხმა (მთაბი, 2000:1412) და დემონსა რჩეულია. მათი წყალობით დუროდხანას სხეულის ზედა ნაწილი მრავალი აღმასისაგან შედგება და არ იხვრიტება არანაირი იარაღით (არანიაკაპრვა, 1987:487).

მშობელთაგან მიტოვებულ, მეტლის ოჯახში გაზრდილ, ღეთიურ და მეფეთა სისხლის მატარებელ კარნას მუარველად და მეგობრად მოველინება ბოროტების დემონის ინკარნაცია დუროდხანა. კარნა სწორედ ამ აესულის წყალობით აღზევდება და დაიმკვიდრებს ადგილს ამა ქვეყნის ძლიერთა შორის, ამასთან, დგება რა ბოროტთა მხარეს. ზოგჯერ უსამართლოა გასაჭირში ჩაყარდნილთადმი ამგვარადვე, ქაჯთან თუ ეშმაკთან დაძმობილების შემდეგ. მისგან ნაჩუქარი ჯაჭვის წყალობით, ხდება ისედაც ღეთიურთან წილნაყარი, დაელათიანი თორღვას აღზევება და გამპარტავენებაც. ოგი ამარცხებს ვაჟუს ძეს (ვაზუზის, ვაზურის), რომელიც ჩაგრავდა ხეესურებსა და ფშაველებს, მაგრამ შემდეგ თავად დაადებს მათ ბეგარას.

ბაგრატიონთა უკანონო ჩამომავალს მეფე იბარებდა:

„თორღვავე გიბარებს ბატონი: კახეთს ჩამოდი ბარადა!
ცხენსა მოგცემდი ისეთსა, შინ მიგიყვანდა ჩქარადა,
ხმალსა მოგცემდი ისეთსა, ვერეინ ჩამოგყრის ძალადა“ —
და ა. შ. (შანიძე, 1931:355). კარნაც ხშირად იმყოფებოდა კაუ-

რავების სამეფო კარზე, სადაც სჭირდებოდათ მისი მხედრული ძლიერება. მას იქ პქონდა ყველაფერი, რასაც კი ისურვებდა. ხაზგასმულია, რომ მან იქ მიიღო ოთხი სახის იარაღი (არა-ნიაკაპარუა, 1987:585) და მას ფლობაში უძლიერესად იქნა შერაცხული.

მხედრული ძლიერების პარალელურად, თორღვასთვის დამახასიათებელია უარყოფითი თვისებები — ქედმაღლობა, სხვათა დამცრობა. თორღვამ შეურაცხყო თავისი ძმობილი ჩოთა და მისი მეუღლე, შეუთვალა: — ამაღამ ძმობილმა თავისი ცოლი გამომიგზავნოსო — (ოჩიაური, 1967: 126). კარნას შესახებ გადმოცემაშიც არის ზემოთქმულთან მიახლოებული ეპიზოდი. ერთხელ, დრაუპადისა და საერთოდ პანდავებისათვის უმძიმეს წუთებში, როცა კამათელში წაგების გამო მათი უფლებები მონის უფლებამდე იყო დაცემული, საპირისპირო ბანაკში მყოფმა კარნამ დრაუპადის მიმართა სიტყვებით: „აირჩიე სხვა ქმარი, ო. მსუყესუძობიანო. შენი მეუღლეები აღარ არსებობენ“ და სხვ. (კარნაპარუა, 1990:181).

თორღვას მიერ ძმობილისა და მისი მეუღლისადმი მიყენებული შეურაცხყოფა გახდა მიზეზი იმისა, რომ ძმობილი ჩოთას თორღვას მოკვლა გადაეწყვიტა. — კარნას მიერ დრაუპადისადმი მიყენებული შეურაცხყოფა ასევე აცოფებდა დრაუპადის მეუღლე არჯუნას: — „არ ქრება ჩემი რისხვა. როგორ დასცინა მან დრაუპადის! შენ დღეს დაინახე, ო, გოვინდა: მე მოვსპობ კარნას, როგორც გაცოფებული სპილო — აყვავებულ ხეს“. ეს სიტყვები კარნასთან შებრძოლების წინ უთხრა არჯუნამ კრშნას (კარნაპარუა, 1990:215).

ჩოთამ თორღვას მოკვლა შეძლო იმიტომ, რომ თორღვას უკვე აღარ გააჩნდა ჯადოსნური დამცავი ჯაჭვი. — არჯუნას მიერ კარნას მოკვლაც შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ კარნას უკვე აღარ გააჩნდა უძლეველობის მიმნიჭებელი, ამრიტიდან ამოსული ჯაჭვი და საყურეები.

ორივე გმირს ჯაჭვები არაკეთილმოსურნეებმა დააკარგინეს. თორღვამ ჯაჭვი ალაზნის (ან იორის) პირას გაიხადა, მარგილით დააბა, დაწვა და დაიძინა. მის თანმხლებ პირთა შორის იყო კაცი, რომელსაც თორღვას ჯავარი სჭირდა იგი ჩუმად

ადგა და ჯაჭვი აუშვა. ჯაჭვი გაცურდა და ჩვერია წყალში“ (ოჩიაური, 1967:126).

სხვა ვერსიით, ჯაჭვი თორღვამ აბანოში დაკარგა. „თორღვას აბანო იმყოფება სოფების მთაში. როდესაც თორღვა აბანოში ჩასულა, აუხდია ჯაჭვი, მარგილით დაუბავ, მაგრამ ბანაობის გათავებამდე ჯაჭვი გაპარულა“ (კოტეტიშვილი, 1961:371). ყველა ვერსიაში თორღვას მიერ ჯაჭვის დაკარგვა წყალთანაა დაკავშირებული. როგორღა დაკარგა ჯაჭვი „მაჰაბ-ხარატას“ გმირმა? — შეადღისას, როცა კარნა, ჩვეულებისამებრ, მდინარეში რიტუალურ განბანვას ატარებდა, მასთან წყალობის სათხოვნელად მიდიოდნენ ბრაჰმანები და არაფერი იყო ისეთი, რასაც იმ დროს კარნა მათ არ მისცემდა. ღმერთების მებრძოლმა წინამძღოლმა ინდრამ იცოდა, რომ მისი და კუნტის შეიღს — არჯუნას სამკვიდრო-სასიცოცხლო შეტაკება ელოდა კარნასთან და ცდილობდა მის დასუსტებას ინდრამ ბრაჰმანის სახე მიიღო, მდინარეში მყოფ კარნასთან მივიდა და უძლეველობის მიმნიჭებელი ჯაჭვი და საყურეები სთხოვა. კარნა შეეცადა არ დაჰყოლოდა, გამოიცნო, თუ ვინ მოვიდა მასთან ბრაჰმანის სახით, მაგრამ ინდრამ მაინც აცდუნა. კარნამ დათმო სხეულზე შეზრდილი ჯაჭვი და საყურეები იმ პირობით, რომ მათი მოჭრის შემდეგ ტანზე ნაიარევეები არ დარჩებოდა, სამაგიეროდ ინდრას მისთვის უნდა მიეცა შუბი ამოგზა, ზეცოური იარაღი, რომელიც ერთი გასროლით ასობის, ათასობით მოწინააღმდეგეს აკლავდა და ისევე პატრონს უბრუნდებოდა. კარნას ამოგზა არჯუნას მოსაკლავად სჭირდებოდა, სხვებთან მარცხის შიში კი მას არ აფიქრებდა. ინდრამ შეასრულა მისი მოთხოვნები და შუბი ამოგზა გადასცა, იმ პირობით, რომ კარნას მისი მხოლოდ ერთხელ გამოყენება შეეძლო, შემდეგ კი ზეცოური იარაღი ისევე ინდრას დაუბრუნდებოდა (არანიაკაპარეა, 1987:586-588). კარნამ დათმო, მოუხედავად იმისა, რომ სიზმარში იყო გაფრთხილებული შხე-მამისგან არ დათანხმებოდა ინდრას მოთხოვნებს: — „სანამ შენთანაა საყურეები, ვერც ერთი ადამიანი, მათ შორის არჯუნა, ვერ დაგამარცხებს, ინდრა მის ისრადაც რომ იქცესო“ (არანიაკაპარეა, 1987: 575).

თორღვას შესახებ ქართულ ზეპირგადმოცემაში არის პერსონაჟი, რომელიც ხელს უწყობს, აქეზებს, რაჟა ჩოხამ მოჰკლას თორღვა. ჯერ ჯაჭვი დააკარგინა, შემდეგ კი თორღვას ძმობილს უახრა, შეურაცხყოფა მოგაყენა და მოჰკალი, ნუ გეშინია, სხვა ჯაჭვი აცვიო (ოჩიაური, 1967: 126). მსგავს რიგის ინდურ ეპოსში თამაშობს კრშნა. იგი ქინის პირობებს, აქეზებს არჯუნას, რათა მან მოხადოს თავისი ქშატრიული ვალი, შური იძიოს შეურაცხყოფელზე.

როცა კურუქშეტრას ბრძოლის ველზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ (კარნაპარვა, 1990: 222-229), არჯუნამ უკვე იცოდა, რომ კარნას აღარ იცავდა სხეულზე შესრდილი ჯაჭვი და საყურეები (აუცდენელი იარაღი ამოგხაც მანამდე უკვე გამოყენა კარნამ და იგი ისევ ინდრას დაუბრუნდა). — სწორედ ასევე, როცა თორღვას მოკლა გადაწყვიტა, ჩოხამ იცოდა, რომ მის შეურაცხყოფელ ძმობილს უკვე აღარ იცავდა ჯადოსნური ჯაჭვი.

კარნა ძამ მოჰკლა (ორივენი კუნტის შეილები იყვნენ). — თორღვა ძმობილმა მოჰკლა.

არჯუნამ შელოცვილი ისრით მოჰკლა კარნა (კარნაპარვა, 1990: 228) — ჩოხამაც ისრით მოჰკლა თორღვა.

ჩოხამ თორღვასადმი სასიკედილოდ ნატყორცნ ისარს მიაყოლა სიტყვები: — „აგემაი დედაკაც გამოგიგზავნეო!“ ამით გააგებინა, რისთვის კკლაედა. (ოჩიაური, 1967:126). „ძმობილის მოღალატესა ღმერთმ გიყვას სამართალიო“, მიმართავს მთქმელი თორღვას (შანიძე, 1931: 353). — კარნას, სიკედილის წინა წუთებში, ასევე შეახსენა უფალმა კრშნამ, რომ იგი სიცოცხლეს ეთხოვებოდა დხარმის — მორალური კანონების დარღვევისათვის, მათ შორის არჯუნას (პანდაეების) ცოლის დრაუპადის შეურაცხყოფისათვის (კარნაპარვა, 1990:227).

ეფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკმარა იმისათვის, რათა თორღვას მითოსური პროტოტიპი ინდოეთში ეპოვოთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბაგრატიონთა ჩამომავალ თორღვას აზნაურად იხსენიებენ. ბაგრატიონები არიან—ქართლიდან (ჩეენი აზრით, ინდური სამყაროდან) გამოსულთა შთამომავლებად ითვლებიან (არსენ ბერი). „ქარაღის ცხოვრების“ მიხედვით კი აზნაურებიც არიან — ქართლიდან გამოსულთაგან წარმოქმნილი

პრივილეგირებული ფენაა. მასზე მიმხრობილ აზოს მხედრებს (აზონაურებს) ფარნაეაზი კუთვლილ მოექცა „რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მხედრ იყენეს. და უწოდა მათ სახელად აზნაურნი“ (ქართლის ცხოვრება, 1955:25). ასეთნაირად ქართული ზეპირგადმოცემის გმირ თორღვასთან დაკავშირებული ეს ორი ნიუანსიც — მისი ბაგრატიონთაგან წარმომავლობა და აზნაურობაც ინდური სამყაროსაკენ უნდა მიაპყრობდეს ჩვენს ყურადღებას.

ათასწლეულების განმავლობაში კარნას შესახებ გადმოცემამ ქართულ გარემოში დიდი ცვლილებები განიცადა, ამის მოუხედავად, თორღვასთან დაკავშირებულ თქმულებებში, ეფიქრობთ, მაინც შესაძლებელია ინდური ეპოსის ერთ-ერთი ბრწყინვალე და კოლორიტული გმირის, შისისახიანი კარნას ამოცნობა.

* * *

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ გამოთიურებული თამარ მეფის ერთ-ერთი (არის სხეაც — თამარს, ფშაველები, ვიშნუს მეუღლე ლაკმშის ინკარნაციად მიიჩნევენ) ინდური პროტოტიპით და მისი მითიური გარემოცვით დაინტერესდით. ინდურ-ქართული კავშირები აქ აშკარაა. მათში ჩაღრმავება, გარდა იმისა, რომ ეხმარება ქართული ზეპირგადმოცემების პოპულარული გმირების წარმომავლობის დადგენას, ამ პერსონაჟთა შორის მანამდე მოუკვლევად კავშირებსაც წარმოაჩენს.

ჩვენი დაკვირვებით, კულტურული ზეგავლენის სვალსაზრისით, რაც ევროპული სამყაროსათვის იყო ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, ქრისტიანობამდელი საქართველოსთვის იგივე და უფრო მეტი ჩანს ინდური ეპოსები „რამაიანა“ და „მაჰაბხარატა“. სამომავლო კვლევა ნათელყოფს, რომ უძველესი ქართული თქმულებაც გაჯერებულია „რამაიანადან“ და „მაჰაბხარატადან“ ნასესხები ეპიზოდებით. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ ინდური პლასტი ამირანის თქმულებაში ვიშნუიტურია, რადგან ზემოაღნიშნული ინდური ეპოსები უფალ ვიშნუს, მისი ინკარნაციების — რამასა და კრშნას აპოლოგიას წარმოადგენს.

ძალიან ბევრ უძველეს ქართულ ზეპირგადმოცემაში იკითხება კავშირი ინდურ სამყაროსთან. ქარსული მითოსის ფერადოვანი ხალიჩა, ჩანს, ინდურ ქარგაზეცაა მოქსოვილი.

ქარსული მითოსის, წარმართობის, უძველესი დროიდან შემორჩენილი წეს-ჩვეულებების ანალიზი, მათზე სრული წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია ამ 2300 წლის წინათ ინდური სამყაროდან მოგარდნილი მძლავრი ეთნოკულტურული ტალღის მიერ ჩვენს ქვეყანაში დატოვებული ღრმა ანაბეჭდის შემწინებისა და აღიარების გარეშე.

უკვე წლებია, აღნიშნულ თემას დაუჩნებით ვთავაზობთ ჩვენს მითოლოგებს, ეთნოლოგებს და სხვებსაც. ისინი ჯერჯერობით არც არაფერს უარყოფენ და არც არაფერს ადასტურებენ. სიახლე ყოველთვის ძნელად იკვლევს გზას. ეტყობა, ვერ დაიძლია ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელზეც ჰაიზენბერგს აქვს ნათქვამი: „უზომოდ ძნელია უარი ეთქვათ წარმოდგენებზე, რომლებიც აქამდე ჩვენი აზროვნებისა და მეცნიერული მოღვაწეობის საფუძველს ქმნიდნენ“.

არანიაკაპარვა, 1987: Махабхарата, книга третья, Лесная (Араяньякаларва). Перевод с санскрита, предисловие и комментарий Я. В. Василькова и С. Л. Невелевой, Москва. 1987.

არსენ ბერი, 1971: არსენ ბერი, ცხოვრება ნინოსი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, 1971.

ბარდაველიძე, 1982: ბარდაველიძე ვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, II, ხევსურეთი, თბილისი, 1982.

ბჰაგავატგიტა, 1983: ბჰაგავატგიტა თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თამაზ ჩხენკელმა. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1983.

ვაჟა, 1956: ვაჟა-ფშაველა, VII, აღ. აბაშელის რედაქციით, თბილისი, 1956.

ვირსალაძე, 1964: ხალხური სიბრძნე (ქართული ეპოსი) III. ტომი შეადგინა ელენე ვირსალაძემ. „ნაკადული“, თბილისი, 1964.

კარნაპარვა, 1990: Махабхарата, книга восьмая о Карне (Карнапарва). Перевод с санскрита, предисловие и комментарий Я. В. Василькова и С. Л. Невелевой, «Наука» 1990.

კიკნაძე, 1992: ქართული ხალხური პოეზია კრებული შეადგინეს ზურაბ კიკნაძემ და ტრისტან მახაურმა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 1992.

კოტეტიშვილი, 1961: კოტეტიშვილი ვ. ხალხური პოეზია, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1961.

კრწნა, 1991: კრწნა, ღმრთეების უზენაესი პროფენება სვამი პრამ-ჰუპადას რედაქციით. გამომცემლობა „ბჰაქტივედანტა ბუქ ტრასტი“, მოსკოვი, 1991.

კურდღელაძე, 1983: კურდღელაძე ი. თუშეთი (მეურნეობა, ბუნება. ტოპონიმია, თბილისი, 1983.

მარი, 1933: Н. Марр. Избранные работы. I, Ленинград. 1993.

მარგინი, 1973: მარგინი ი. სვანეთი, წიგნში ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.

მაჰაბხარატა, 1978: Сказание о великой битве потомков Бхараты. Три великих сказания древней Индии. Москва, изд. «наука», 1978.

მეტრეველი, 1991: მებრეველი რ. მეფე თამარი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1991.

- მითები, 2000: Мифы народов Мира. Энциклопедия 1.2. изд. «Олимп». Москва. 2000.
- ოჩიაური, 1967: ოჩიაური თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1967.
- სიხარულიძე, 1961: ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია II. შეადგინა, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დაურთო ქს სიხარულიძემ, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1961.
- უმიკაშვილი, 1964: უმიკაშვილი პ. ხალხური სიტყვიერება მეორე გამოცემა მ. ჩიქოვანის რედაქციით. თბილისი. 1964.
- ქართლის ცხოვრება, 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I. სახელგამი, თბილისი, 1955.
- ქართლის ცხოვრება, 1959: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვის ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი, 1959.
- ქართლის ცხოვრება, 1973: ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა „ქართლის ცხოვრება“, IV თბილისი, 1973.
- ღლონტი, 1952: ქართული ხალხური ეპოსი (ფიდა კვიწინაძის ნაამბობი), ჩაწერა, გამართა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ალ ღლონტმა. სტალინირი, 1952.
- შანიძე, 1931: შანიძე ა. ქართული ხალხური პოეზია, I ხეცსურეთი, თბილისი, 1931.
- ჩიქოვანი, 1947: ჩიქოვანი მ. მოგაჭეული ამირანი, თბილისი, 1947.
- ჩიქოვანი, 1961: ამირანის თქმულება, დამუშავებული მ. ჩიქოვანის მიერ „ნაკადული“, თბილისი, 1961.
- ჩიქოვანი, 1965: ჩიქოვანი მ. ქართული ეპოსი, II, თბილისი, 1965.
- ცანავა, 1991: ქართული ხალხური საუნჯე, შემდგენელი რედაქტორი ა. ცანავა, თბილისი, 1991.
- წულუკიძე, 2009: წულუკიძე ნ. ბაგრატიონთა მითოსური წინაპარი „მამაბარატადან“. „სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები“ IV, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბათუმი, 2009.
- პაიზენბერგი, 1983: პაიზენბერგი ვ. ნაწილი და მთელი, „განათლება“ თბილისი, 1983.

ქირითალი დასაქვანები

ძველი ქართული, ანტიკური (ბერძნული, რომაული), სპარსული, სომხური, ინდური წერილობითი წყაროების ურთიერთ-შეჯერების, უძველესი ქართული და ინდური წესჩვეულებების, რწმენა-წარმოდგენების, მითოსის, ინდური და სპარსულ-ბაქტრიული წარმომავლობის ქართული ტოპონიმების, ონამასტიკონის ანალიზის საფუძველზე მივედით შემდეგ დასკვნამდე:

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული არიან-ქართლიდან გამოსულები ინდოარიელები იყვნენ, რომლებიც ძვ. წ. 329-323 წლებს შორის პერიოდში, ალ. მაკედონელის ნებით, მის დაქვემდებარებაში მყოფი ბერძნული და სპარსულ-ბაქტრიული სამხედრო ძალის მხარდაჭერით, ადრე სპარსთა მფლობელობაში მყოფი ინდური ტერიტორიებიდან გადმოსახლდნენ კავკასიაში, საქართველოში.

აღნიშნულით გასაგები ხდება, ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებიდან, ენათმეცნიერების ფუძემდებლად მიჩნეული გერმანელი მეცნიერი ფრანც ბოპი და სხვებიც, თუ რატომ ამჩნევდნენ ქართულ ენაში, მის დიალექტებში სანსკრიტულ სიტყვებს, გრამატიკის ელემენტებს და სხვა. ლინგვისტებს მოუწევთ ქართულ ენაში ინდოევროპული ენის ელემენტების შემოღწევისა და დამკვიდრების პროცესის პერიოდებად დიფერენცირება, რომელთაგანაც ერთის - ძველინდური დიალექტის შემოღწევის დრო ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედის დასაწყისით უნდა განისაზღვროს.

ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, მიუთითებს მეზობელ ჩრდილო კავკასიაში, ჩრდილო შაიზღვისპირეთსა და კასპიისპირეთშიც ენათმეცნიერთაგან შემჩნეული სანსკრიტული დიალექტის აღბუჭდვის დროსა და ვითარებაზე.

მოსულ ინდოარიელთაგან საქართველოში დატოვებული კვალი მრავალმხრივი და ღრმაა.

ქართული წარმართული ღვთაებები დიდწილად ინდური წარმომავლობისაა. ძველ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში,

მითოლოგიაში მეტად მოცულობითი პლასტი ინდოარიულია. ქართული ფოლკლორის ცნობარი თუ ქართული მითოსის ლექსიკონი ახლებურადაა გასააზრებელი და შესადგენი.

ინდური პლასტი ქართულ მითოსში ნაწილობრივ ახსნას აძლევს ქართული მითოსის ჯერჯერობით სუსტად ფიქსირებულ კავშირს ჩრდილოევროპულთან, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია ინდურ მითოსთან. კავკასიური, ქართული მითოსი ჩაწნულია ინდური და ჩრდილოევროპული მითების გრეხილში. აღნიშნულის გააზრება ხელს შეუწყობს ახალი, დღემდე უცნობი კავშირების წარმოჩენას ქართულ, ინდურ და ჩრდილოევროპულ მითოსებს შორის.

კავკასიელთა, ქართველთა ეთნოფსიქოლოგიის შესწავლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ რეგიონში ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მძლავრი ინდოარიული ეთნოკულტურული ტალღის შემოღწევის ფაქტი. ამ დროიდან აქ ძლიერი პოზიციები სჭერია ვედურ ბრამანინიზმს, ვიშნუიზმსა და შივაიზმს. ქართული კულტურის, ფილოსოფიის ფესვები ვედური, ძველინდური რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებებითაც არის ნასაზრდოები.

ქართული დამწერლობის სათავეებში შემჩნეული სპარსული მიმართულებების არამეულისა და ელინისტური ხანის ბერძნული დამწერლობის ელემენტებთან ერთად, ქართული ანბანის მოხაზულობის ძველინდურთან მსგავსება (კლაპროტი, ბროსე, ყიფიანი), ზოგიც სხვა საგულისხმო დამთხვევა, ქმნის საფუძველს მტკიცებისათვის, რომ ქართული დამწერლობის შექმნა ინდოარიანთა გამოსვლის შემდეგ, მათი მონაწილეობითაც მოხდა, ფარნავაზის ეპოქაში, როგორც ამას ქართული და სომხური საისტორიო წყაროები მიუთითებენ.

კავკასიაში, საქართველოში წარმომავლობადაუდგენელი მრავალი ტოპონიმი ინდური (მცირედი სპარსულბაქტრიული) ძირებისაა და მიუთითებს არიან-ქართლელთა განსახლების ადგილებზე. ჩვენი ეთნოსისა და ქვეყნის სახელიც, ჩანს, რომ ინდური წარმომავლობისაა. ქართველთა ეთნარქად მიჩნეული

ქართლოსის პროტოტიპი ინდური მითოსის ბრწყინვალე გმირი, არჯუნა კარტავირია უნდა იყოს.

წარმომავლობამიუკვლეველი უძველესი წეს-ჩვეულებები, მათ შორის, ხატობები, წაწლობა-სწორფრობა, ნებისთ გლახაკობა, მიცვალებულებთან დაკავშირებული რიტუალები, მოკლული ვეფხვის დატირების, ნადირობასთან დაკავშირებული ჩვეულებები თუ სხვა, შეუძლებელია აიხსნას ინდურ სამყაროსთან კავშირის გარეშე.

ერის ისტორიაში ინდოარიელთა როლის წარმოჩენა და აღიარება ქართველ მეცნიერთაგან ითხოვს ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევას, რიგ მყარად დამკვიდრებულ შეხედულებებზე უარის თქმას. ახლებურადაა გასაზრებელი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, არიან-ქართლიდან გამოსულთა დამკვიდრების, ქართლის პირველი სამეფოს შექმნის, ინდოარიელთა და იბერიელთა შერწყმის პროცესი, ინდოარიანთა ზეგავლენა ქართულ ეთნოსზე, კულტურასა და ეოფაზე.

ჩვენამდე მოღწეული თუ ეთნოგრაფთა აღწერილობით შემონახული უძველესი ზნე-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, ქართული ზეპირსიტყვიერების უძველესი ნიმუშები, მათ შორის, ისინიც, დამუშავებული და განმარტებული რომ გვეგონა, თავიდან ითხოვს ჩვენს ყურადღებას. არ უნდა დაიკარგოს ის, რასაც ჯერ კიდევ ინახავს ხალხის მეხსიერება, სწორი ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს მას, რაც შეკრებილია, გასწორდეს ის, რაც არასწორადაა გაგებული და ახსნილი.

ძველი ინდოეთის ენების, ისტორიის, რელიგიური ფილოსოფიის (მითოლოგიის), დამწერლობის ცოდნა, ჩანს, ახლო მომავალში ქართველოლოგიით, კავკასიოლოგიით დაინტერესებულ მეცნიერთა აუცილებელ იარაღად იქცევა.

საქართველოში დაცული თვალსაჩინო ძველი ინდური ანაბეჭდების შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართველოლოგიური, კავკასიოლოგიური კვლევის თვალსაზრისით. მას ზოგადეთნოლოგიური მნიშვნელობა აქვს, როგორც ძველი

ინდოეთის ცხოვრებიდან ამოჭრილ და შენახულ სურათს, რომელსაც შეუძლია პასუხი გასცეს არიანოლოგთა, ინდოლოგთა წინაშე მდგარ კითხვებს, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის მცხოვრებთა ისტორიას, რწმენა-წარმოდგენებს, ზნე-ჩვეულებებს, ზეპირგადმოცემებს, განსახლებას და სხეას რომ ეხება.

ორიენტალისტთა შორის ფეხმოკიდებული შეხედულებაც, ძველი ინდური კულტურისა და საზოგადოებრივი სტრუქტურის ჩაკეტილი ხასიათის, მისი სრული იზოლაციის შესახებ, განსაკუთრებით ინდოეთის დასავლეთით მდებარე სამყაროსაგან, გადასახედია. საქართველოს მაგალითი საპირისპიროს ამტკიცებს.

ინდოეთსა და საქართველოს შორის წარსულში არსებული სიახლოვის გონიერული წარმოჩენა ხელს შეუწყობს ამ ორი ქვეყნის დაახლოება-დამეგობრებას, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული კავშირის აღორძინებას.

ჩრდილოევროპელები, რომელთა ერთი ნაწილი მაინც, თავისთავს დღემდე მიაკუთვნებს "კავკასიურ რასას" (ევროპოიდური რასის ადრინდელი სახელწოდება) საქართველოში დაინახავენ "მათი წინაპრების" ისტორიის შემნახველ ქვეყანას, მეტ ინტერესს გამოავლენენ მისი წარსულისა და აწმყოსადმი.

ჩნდება პერსპექტივა იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი და სევანეთი თავისი ულამაზესი ბუნებით, აქ ჯერ კიდევ შემორჩენილი ინდური წარმომავლობის უნიკალური მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებით, ბოლოს და ბოლოს, გამოცხადდეს ცოცხალ ეთნოგრაფიულ მუზეუმებად, არა მხოლოდ ჩვეულებრივ ტურისტთა, არამედ ინტელექტუალებს, მეცნიერთათვის მიმზიდველ მხარედ.

2300 წლის წინათ ინდოარიული ეთნოკულტურული ტალღის საქართველოში შემოდწევის ფაქტის დადგენა, მისი კვლევა ძლიერ სტიმულს მისცემს სტაგნაციაში მყოფი ქართული პუმანიტარული მეცნიერების ფართო სპექტრს.

ARRIVED FROM АРНАН-КАРТЛИ

RESUME

According to the history of the sources of Georgia "Moktsevai Kartlisa", in support of military forces of Alexander III of Macedon, from arrived Arian-Kartli, as though sprang up Georgian people. Where was Arian-Kartli it is not established. At the discretion of the author the natives from Arian-Kartli were Indoaryans. Them earlier, from the Indian lands being in possession of Persia, Alexander III of Macedon has moved to Iberia. This was the part of the project of Alexander, with the purpose of rapprochement and make related of the Europe and Asia resettlement of people from the Europe to Asia and on the contrary (Diodore).

The data meet in the Georgian, Greek-Roman, Indian, Armenian, Persian sources which specifics, or assume about Alexander III of Macedon invasion to Caucasus, to Georgia and about arrival Indoaryans. At one time between India and Georgia, in the past the shown the signs on contacts the scientists for a long time have noticed, but them with the question of Arian-Kartli was not connected.

Indoaryans arrived 2300 years ago have left the deep trace in history of Georgia, in culture and the life. From them are presumably left the elements of grammar of the Sanskrit in the Georgian language (Bsose, Bopi). Also it is noticed similarity of the Georgian alphabet to signs on letters of the Indian writing (Klaprot, Brose).

It is found out, that many Georgian toponyms are Indian origin. Etnarx and Eponymos Georgians, mythical ancestor Chartlos is the known hero of Indian mythology Arjuna Cartavi ria. The foreseeable Indian layer is looked through in Georgian oral legends, myths, in the most ancient ceremonies, beliefs and representations.

Arian-Kartli to find interfered that circumstance, that the data about its location in sources were not kept, and the natives of these lends considered Georgian Language tribes.

ПРИБЫВШИЕ ИЗ АРИАН-КАРТЛИ

РЕЗЮМЕ

По данным истории источников Грузии «Мокцеваи Картлиса», в поддержку военных сил Александра Македонского, из прибывших Ариан-Картли, как будто возник грузинский народ. Где находился Ариан-Картли не установлено. По усмотрению автора, выходцы из Ариан-Картли были индоарийцы. Их раньше, из индийских краёв находящихся во владении Персии, Александр Македонский переселил в Иберию. Эта была часть проекта Александра, с целью сближения и породнения Европы и Азии переселение людей из Европы в Азию и наоборот (Диодоре).

Данные встречаются в грузинских, греческо-римских, индийских, армянских, персидских источниках, которые указывают, или предполагают о нашествии Александра Македонского на Кавказ, в Грузию и о приходе индоарийцев. Когда-то между Индии и Грузии, в прошлом проявленные знаки контактов учёные давно заметили, но их с вопросом Ариан-Картли не связывали.

Индоарийцы прибывшие 2300 лет тому назад оставили глубокий след в истории Грузии, в культуре и быту. От них предположительно оставлены элементы грамматики санскрита в грузинском языке.(Бросе, Бопи). Также замечена сходство грузинского алфавита со знаками букв индийской письменности(Клапрот, Бросе). Выясняется, что многие грузинские топонимы индийского происхождения. Этнарх и Эпоним грузинов, мифический предок Картлоса является известный герой индийской мифологии Арджуна Картавирия. Обозримый индийский пласт просматривается в грузинских устных преданиях, мифах, в древнейших обрядах, верованиях и представлениях.

Найти Ариан-Картли препятствовало то обстоятельство, что о его местонахождении данные в источниках не сохранились, а выходцев из этих краёв считали грузиноязычными племенами.

ს ა რ ჩ ე გ ი

შესავალი	3
არიან-ქართლიდან მოსულნი	9
ინდური პლასტი ქართულ მითოსში	91
ძირითადი დასკვნები	121
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	125
რეზიუმე რუსულ ენაზე	126